1)
825
1983
ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ." ( ვაჟა )

# თავისუფლების ტრიბუნა

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

რედაქტორ-გამომცემელი: გიორგი წერეთელი

**TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA**

Journal périodique en langue géorgienne

3

№41 პარიზი სექტემბერი 1983 SEPTEMBRE PARIS №41

გამოცემის მეათე წელი

1783 წლის ხელშეკრულობა და საერთოდ რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილი ნომერი

## შინაარსი


.2 არა ზეიმი, არამედ გლოვა და გმობა! — მოწინავე

.3 ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ.

.11 საქართველო და საერთაშორისო უფლება — ლუი ლო ფიურ

.20 გეორგიევსკი–200, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის 400 წლის გაკვეთილები — გიორგი წერეთელი

.46 ორი ხელშეკრულება — ირაკლი ოთხმეზური

.47 ვინ იყო იაკობ რაინეგსი? — დავით თაბორიძე

.49 ო, ღვთისმშობელო! –ლექსი– — ნამო

.49 სამშობლოს ქრონიკა — გრიგოლ წერეთელი

.51 დიახ, იყო წამებული! — ზურაბ ნარსია

.53 ჩვენი სათვისტომოს ამბებიდან — ეთერი

.55 სამგლოვიარო განცხადებები

მცირე რამ საერთაშორისო მდგომარეობაზე — გულბათ გულბათიშვილი

უკანასკნელ გვერდზე შემოწირულებათა სია


Editeur: G. TSERETELI. 8, Rue des Marchais. 75019 PARIS(19). Telephone: 607-08-14.

## ა რ ა ზ ე ი მ ი , ა რ ა მ ე დ გ ლ ო ვ ა დ ა გ მ ო ბ ა!

დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება(1983 წ. 24 ივლისი), სწორედ 200 წელიწადი სრულდება გეორგიევსკის ტრაქტატის ხელის მოწერიდან. რუსეთის თვითმპყრობელ ხელისუფლებასა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის შორის დადებულ ამ ხელშეკრულების მიზანშეწონილობის შესახებ მუდამ არსებობდა და დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა თვით ქართველთა შორის. ზოგი, იმდროინდელ პირობებში, აუცილებელ საჭიროებად თვლიდა და თვლის ერეკლე მეფის ამ ნაბიჯს, ზოგსაც, პირიქით, ის მიაჩნია, თუ დამღუპველად არა, მაშინდელ საქართველოს დიდ პოლიტიკურ მარცხად. ჩვენ უფრო მეორე აზრს ვიზიარებთ, მაგრამ აქ ამაზე დაწვრილებით არ შევჩერდებით, რადგანაც ამ საგანზე სხვაგან გვექნება საუბარი.

რაც უდავოა ყველა კეთილსინდისიერ მკვლევარისა და უმწიკვლო მამულიშვილისათვის, ეს გახლავთ ის, რომ პეტერბურგის მთავრობამ გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი მთავარი ვალდებულება – **საქართველოს დაცვა გარეშე მტრებისაგან** – არ შეასრულა და მით ხელი შეუწყო ისედაც დასუსტებული სახელმწიფოს კიდევ უფრო დაუძლურებასა და გაპარტახებას, რასაც ადგილი ჰქონდა სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატით განრისხებულ მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოთა შემოსევების შედეგად. გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოსთვის გამოდგა ტროას ხის ცხენი, რუსეთის მიერ ჩვენს სამშობლოში შემოპარებული. ტრაქტატმა რუსთა ჯარებს საშუალება მისცა უომრად გადმოელახათ კავკასიონის ქედი და საქართველოში დაბანაკებულიყვნენ, რომ შესაფერ მომენტში მფარველობაში მყოფი ქვეყანა დაეპყროთ.

**1801** წლის მანიფესტს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა, ხოლო მისი ტერიტორია და მცხოვრებნი რუსეთის იმპერიას უშუალოდ შეუერთდა, ვერავითარი უფლება ან მორალი ვერ გაამართლებს. ის იყო შიშველი ძალის გამოყენების დამახასიათებელი მაგალითი საერთაშორისო ურთიერთობაში. ცარისტული რუსეთის ეს ღალატი და შემდეგ ძალმომრეობა საყოველთაოდ უნდა იყოს დაგმობილი და არის კიდევაც. მისი გამართლება არავითარი საღი მოსაზრებით არ შეიძლება. ქართველი ხალხი ხან ბრძოლის ველზე სისხლის ღვრით, ხან პასიური წინააღმდეგობით ებრძოდა იმპერიალისტური რუსეთის ამ უსამართლობას მთელი **117** წლის განმავლობაში.

ამჟამად, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატს, ისე **1801** წლის მანიფესტს, მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და არა არსებითი, რადგანაც მას შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელობა დაემხო და ქართველმა ხალხმა, **1918** წლის **26** მაისის აქტით, აღიდგინა თავისი დამოუკიდებელი სრულუფლებიანი სახელმწიფო. ეს ქართული სახელმწიფო იცნეს იმ დროის უძლიერესმა და უმრავლესმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საბჭოთა რუსეთის მთავრობამაც. **1920** წლის **7** მაისს ხელმოწერილ ხელშეკრულებით, ლენინის მთავრობამ: **1**. აღიარა, რომ **„ცნობს ურეზერვოდ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას, და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომლებიც რუსეთს გააჩნდა ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.“**(მუხ.**1**.), **2**. ვალდებულება აიღო, **„გამოდის რა ხელშეკრულების წინ წამძღვარებული პრინციპებიდან, რ.ს.ფ.ს.რ.–ს მთავრობა ხელს იღებს საქართველოს სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევიდან.“**(მუხ. **2**.)

ამ ორი აქტით –საქ–ს დამოუკიდებლობის გამოცხადება და რუსეთ-საქართველოს **1920** წ. **7** მაისის ხელშეკრულება –საბოლოოდ გაუქმდა და არსებობა შეწყვიტა როგორც გეორგიევსკის ტრაქტატმა ისე **1801** წლის მანიფესტმა.

ყველამ იცის, რომ საბჭოთა რუსეთმა დიდ ხანს არ სცა პატივი საქართველოს რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებას, მას თავისი ჯარები შემოუსია და ხელახლად დაიპყრო იგი **1921** წელში; ეს დაპყრობა დღემდე გრძელდება, რომელსაც არავითარი საერთაშორისო უფლება არ გააჩნია. იგია მხოლოდ და მხოლოდ შიშველი ძალის ფაქტი.

აქედან გამომდინარე, გეორგიევსკის ტრაქტატის **200** წლისთავთან დაკავშირებით, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ საქართველოში წელს ატეხილი ზარ-ზეიმი შეიძლება სასაცილოდ მოგვეჩვენოს და ეს ასეც იქნებოდა ყველა თავისუფალ საზოგადოებაში, მაგრამ საბჭოთა დესპოტია იმედოვნებს, რომ ოფიციალური წამლეკავი ცრუ პროპაგანდა, რომელსაც შემდავებელი არ ჰყავს, ქართველ ახალგაზრდებში ჩანერგავს მპყრობელ რეჟიმისა და რუსების მიმართ მონური სიყვარულის, პატივისცემის და ერთგულების გრძნობებს.

ჩვენც გვაქვს იმედი, რომ ქართველ ხალხს დიდი გამოცდილება აქვს, მას ადვილად ვერ მოა-

ტყუებენ და მისი სულის საღ საკვებ ხორბალს გორვალასაგან გამოარჩევს. მიუხედავად საარაკო რკინის ფარდისა, სამშობლოდან გვესმის გაბედული საპროტესტო ხმების გამოძახილები. ჩვენც ჩვენს ხმას მათ ვუერთებთ და ჩვენს თანამემამულეებს ვეუბნებით: გეორგიევსკის ტრაქტატის წლისთავი, რუსეთის იმპერატორების პავლეს და ალექსანდრეს მანიფესტების წლისთავი, ისე როგორც **1921** წლის **25** თებერვალი, ჩვენი ეროვნული სიამაყისა და სიხარულის თარიღები კი არ არიან, არამედ სამგლოვიარონი და დასაგმობნი. დეე, ისინი ჩვენმა მპყრობელებმა იზეიმონ. თქვენ კი, მათ ღრეობაში არამც და არამც წილი არ უნდა დაიდვათ!

*** *** ***

## ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ
## [ 1783 წ.]*

**ყოვლად უგანათლებულესი, უთვითმპყრობელესი, დიდი ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნა, მპყრობელი** ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვოღოროდისა; მეფა ასტრახნისა, მეფა სიბირისა; ხელმწიფა პსკოვისა, და დიდი მთავრინა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, თვერისა, იუღორსკისა, პერმსკისა, ვიატსკისა, ბოლღარისა, და სხვათა ხელმწიფა, და დიდი მთავრინა ნოვოღოროდის ნიზოვის ქვეყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა მბრძანებელი, და ხელმწიფა ივერიისა ქუეყანისა ქართლისა, და საქართველოსა თავადთა და ყაბართოს ქუეჟნისა, ჩერქეზთა, და მთიურთა თავადთა, და სხუათა მემკვიდრე, ხელმწიფე და მფლობელი;

ირაკლი მეორე, წყალობითა ღმრთისათა და **თქუენის იმპერატორების დიდებულებისა** კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შა[მა]ქისა, და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

**თქუენმა იმპერატორებისა დიდებულებამან** მიიღო ყოვლად უმოწყალესობით თხოვა ჩუენი, უსამღუდელოესისადმი საყდრისა თქუენისა მორთმეული, მიღებისათვის ჩუენისა, და მონაცუალეთა ჩუენთასა ყოვლითა სამეფოთა, და სამფლობელოთა ჩუენითა, ყოვლად უმაღლესსა მფარუელობასა შინა თქუენსა, და მენაცულეთა საყდრისა თქუენის იმპერატორებისათა, აღსარებითა კერძოით ჩუენით უზენაესისა ხელმწიფებისა, ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისათა და ყოველთა ზედა სამფლობელოთა მათთა, მონარხობითითა თქუენითა ჩუენდამო წყალობითა და მოწყალებითა ინებეთ დამტკიცება ახლითა წინდითა, რომელიცა დამტკიცდა **თქუენის იმპერატორების დიდებულებისა** სრულის ძალის მქონებლისაგან და ჩუენ მიერთა სრულის ძალის მქონებელთაგან დღესასწაულობითითა პირობითა, რომელნიცა არიან აქა შემოხმულ ლექსითი-ლექსად..

### სახელითა ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა ერთისა სამწმინდაობასა შინა დიდებულისათა.

ადრითგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართველთამან ჰმსახურა მფარუელობითა, შემწეობითა, და შესავედრებელობითა მათ ერთათა, და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინ აღმდგომად მაჭირუებელთა, რომელთაცა ქუეშე შემვდრომ იყუნეს იგინი მეზობელთაგან თვისთა.

მფარუელობამან ყოვლისა რუსეთისა **თვითმპყრობელთამან** მეფეთა მიმართ საქართუელოისათა, ნათესავთა, და ყმათა მათდამი მინიჭებულმან, გამოიყუანა მოკიდებულებაი იგი უკანასკნელთა ამათ, პირუელთა ამათგან, რომელიცა უფროსღა იჩუენების რუსეთისა **საიმპერატოროისა** ტიტლოისაგან.

აწ ბედნიერად მმეფობამან **იმპერატორობისა მისისა დიდებულებამან** ცხად უყო ერთა, ამათ ნამდვილითა სახითა მონარხობითი თვისი კეთილ-ნებობაი, და დიდსულობით მზრუნველობაი კეთილობისათვის მათისა **თვისითა** ძლიერითა მეცადინეობისა დართვითა განთავისუფლებისათვის მათისა უღლისაგან მონებისა, და საყუედრელისაგან ტყუედ მიხდისა ვაჟთა და ქალთასა, რომელისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყუნეს. და განაგრძელებს თვისსა მომონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათდამი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მიღებულ იქმნა ტახტისადმი **მისისა დიდებულებისა** მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა, და მენაცუალითა თვისითა და ყოვლითა სამეფოთა, და სამფლობელოთა თვისითა მონარხობითსა მფლობელობასა ქუეშე **მისისა დიდებულებისასა**, და მაღალთა მემკვიდრეთა მისითა, და მოსაყდრეთა უზენაეს ხელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთისა **იმპერატორთა** მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაი მეგობრობითისა პირობისა ჰხსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთ კერძო უგანათლელესობა მისი სახელითა თვისითა და თვისთა მენაცულეთათა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარუელობასა **მისისა იმპერატორობის დიდებულებისასა** და მაღალთა მოსაყდრეთა [2] **მისთა** მფლობელთა ზედა, და ერთა სამეფოისა ქართლისა და კახეთისათა და სხუათა სამფლობელოთა შესაბამთა მათთადმი, რათა დანიშნულ ჰყოს (სამეუფოითა) დღესასწაულობითა და ნამდვილითა ხატითა შეკრულებაი თვისი, განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა.

ხოლო მეორით კერძო **დიდებულება იმპერატორებისა მისისა** ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს დღეასასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულებაი და სარგებელი მიენიჭების, მოწყალისა და ძლიერისა მარჯუენისაგან **მისისა** ჰხსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა.

დასამტკიცებლად ესევითარისა პირობისა, ინება **დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან** სრულისა ძალისა ქონებად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა ჰრომაულისა გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მხედართა თვისთა ღენერალ-ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა, განჰსწავლულისა და სხუათა მრავალთა სამხედროთა ძალთა, სენატორი სახელმწიფოისა, სამხედროისა კოლლეღიის ვიცე-პრეზიდენტი, ასტრახანისა და სარათოვისა, აზოვისა და ნოვაროსსიისა, მოადგილე ხელმწიფისა ღენერალ-ადიუნტატი თვისი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერ-ღუარდიისა კორპუსისა პორუთჩიკი, ლეიბღვარდიისა პრეობრაჟენის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირველესი მთავარი პალატისა სასაჭურუელოისა ხელოვნებისა, კავალერი ორდენთა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯუართა, კოროლთა პრუსიისა შავისა, და პოლშისა თეთრისა არწივისა, და წმიდისა სტანისლავისა, შუეციისა სერაფიმთა, დატსკისა სპილოისა, და ჰოლსტინიისა, წმიდისა ანნასი, ესევითარითა ხელმწიფეებითა, რათა არ ყოფასა მუნ თვისსა აღირჩიოსმცა ნებითა თვისითა სრულისა ძალისა მქონებლად, ვისიცა კეთილად განჰსაჯოს მან, რომელმან რომლისათვის აღირჩია, და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო, მაღალმსუელელი უფალი **მისის დიდებულების იმპერატორობისა** არმიის ღენერალ-პორუდჩიკი, ასტრახნის ღუბერნიის მხედრობისა მოკამანდე, **მისის იმპერატორების დიდებულებისა** დეისტვიტელნი კამერღერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდათა ალექსანდრე ნევსკისა, თავადის ვლადიმირისა პირველისა ხარისხისა, სამხედროს დიდის [V] მოწამისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისა, და ღოლშტინიისა წმიდისა ანნას კავალერი პავლე პოტემკინი.

ხოლო უგანათლებულესობამან, ქართლისა და კახეთისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან, აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყუნა კერძოით თვისით ბრწყინვალენი თავადნი: მხედრობისა თვისისა მემარცხენე სარდარი და უმთავრესი თანაგამძრახი, ერევნისა საქმეთა თავადი იოანე კოსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, და მისისავე უგანათლებულესობისა მანდატურთუხუცესი, და ზედამხედუელი ყაზახისა კნიაზ გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე.

ჰხსენებულთა მათ სრულისა ძალისა მქონებელთა, და შეწევნითა ღმრთისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს ნაცულის-მგებელთა სრულისა ძალისა მქონებლობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და დაამტკიცეს და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა, ან წევრთა:

### არტიკული პირუელი

უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა. სახელითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცულეთა თვისთა, დღესასწაულობით უკუჰსთქუამს ყოველსა ვა[სა]ლობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა, ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა, ანუ სხუათა მპყრობელთასა.

და ამით ცხადჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმე არა შერაცხს იგი თვისზედა და მენაცულეთა თვისთა ზედა სხუასა თვითმპყრობელსა, თვინიერ უზენაესისა ხელმწიფებისა და მფარუელობისა **მისისა იმპერატორების დიდებულებისა** და მაღალთა **მისთა** მემკვიდრეთა და მენაცულეთა საიმპერატოროსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღთქმული ტახტისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ერთგულებისა, და მზაყოფისა შეწევნისათვის სარგებელისა სახელმწიფოსა (რუსეთისა), ყოველსა შინა შეთხუევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

### ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ო რ ე

**დიდებულება იმპერატორებისა მისისა,** მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკუელისა აღთქმისა, აღსჰთქუამს თანასწორადვე და იმედეულ ჰყოფს **იმპერატორებ**რითა სიტყვითა **თვისითა,** თავისა **თვისისათვის,** და მოსაყდრეთა თვისთათვის, ვითარმედ მოწყალება და მფარუელობა თვისი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს მიეღების.

რომლისაც დასამტკიცებელად **დიდებულება მისი** აძლევს იმპერატორებრსა თავსმდებობასა **თვისსა** მრთლად (და დაუკლებელად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა; და წინადაჰსდებს განვრცელებასა ესევითარისა თავსმდებობისასა ესგუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა, რომელნიცა, წარმდინარეობასა შინა დროთასა, გარემოებითა და გჵრჩევითითა ხატითა, შესაბამად სამფლობელოსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

### ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ს ა მ ე

განცხადებასა შინა ამის უზაკუელობისასა, ვითარითაცა ხატითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარუელობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, განიწესების, ვითარმედ ჰხსენებულნი იგი მეფენი, ოდეს იგი მიიწევიან მემკვიდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მჰსწრაფლ აუწყებდენ ამისთვის კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს) ბოვრაყი, ანუ დროშა, ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თვისსა, ჰხსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ხრმალი, კუერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა.

ნიშანნი ესე, ან დესპანთა, ან მესაზღვრეთა მთავართა ძლით მიიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა, მუნ დასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულობისათვის, და გულსმოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა, და უზენაეს შერაცხვისათვის ხელმწიფობისა, და მფარველობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, ესევითარითა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათთანა.

წესი ესე თანა-აძს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა, და კახეთისა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა.

### ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ო თ ხ ე

დამტკიცებისათვის, ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანლებულესობისა განჰსჯითა ესოდენ მჰირსისა [v]შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა, და აღსარებისათვის უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლად უუბრწყინვაალესისა ამის იმპერიისა მფლობელთასა ვითარმედ არიან უზაკუელ, აღჰსთქუამს უგანათლებულესობა მისი, რათა უწინარეს თანხმობისა უპირველესისა მესაზღურისა მთავრისა, და მინისტრისა **მისის იმპერატორების დიდებულებისა** ჰრწმუნებულისა, არა აქუნდეს მიწერ-მოწერა გარემოთა მფლობელთა მიმართ.

ხოლო ოდეს იგი მოვალნ მათ მიერ დესპანნი, ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახუასა უპირუელესისა მიმართ მესაზღურისა მთავრისა, და მინისტრისა **მისისა იმპერატორების დიდებულებისასა,** უკუნქცევისათვის დესპანთასა და შესაფერისათვის სიტყვისგებისა მფლობელთა მათდამი.

### ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ხ უ თ ე

რათა ადვილად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჰირო მიწერ-მოწერა და თანხმობა რუსეთისა საიმპერატოროსა კარისა თანა, ჰსურს ამისთვის უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყუესმცა წინაშე კარისა მის მინისტრი, ანუ რეზიდენტი.

ხოლო **დიდებულება იმპერატორებისა მისისა** მოწყალებით მიმღებელი მისი აღჰსთუამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხუსა შინა სხუათა მფლობელთა მინისტრთა თანა, თანაჰსწორითა ნიშნითა თვისითა.

და გარდა ამისსა ჰნებავს რათა კერძოთცა თვისით ჰყუესმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგანათლებულესობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ე ქ უ ს ე

**დ ი დ ებულება იმპერატორებისა მისისა** მიმღებელი კეთილნებებით აღსარებისა უზენაესისა ხელმწიფებისა, და მფარუელობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა, და საქართველოისათა, აღსთქუამს სახელითა **თვისითა,** და მოსაყდრეთა **თვისითა:**

პ ი რ უ ე ლ ა დ , ერთა მის სამეფოსათა შეჰრაცხს ყოფად მჳირსითა კავშირითა სრულებით თანახმად იმპერიისა თანა **თვისისა,** მაშასადამე, მტერთაცა მათთა, შეჰრაცხს მტრად **თვისსა. რომლისათვისცა პორტის ათამანისა თანა**(ესე იგი, ხონთქრისა), ანუ სპარსეთისა, ანუ სხუათა მპყრობელთა, და სამფლობელოთა თანა მშვიდობა დამტკიცებული, სათანადო არს, რათა განგრძელდეს **დიდებულებისა მისისა** დასაფარუელთა ერთაცა ამათ ზედა;

მ ე ო რ ე დ, უგა[4]განათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა, და სახლისა მისისა მემკვიდრეთა, და მენაცულეთა, და ტომთა, დაიცავს უცუალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა, და კახეთისათა;

მ ე ს ა მ ე დ , შინაგანსა ხელმწიფებისა მმართუელობასა თანა შეუღლვილსა, მჳსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულებასა მეფესა, სრულსა შინა ნებასა, და სარგებლობასა მისსა, და დააყენებს მთავართა სამხედროსა, და სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცაღა იყო განწესება ერთა მათ ჴხსენევულთა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე შ ვ ი დ ე

მისი უგანათლებულესობა მეფე ღირსთანამდებობითითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყლებითისა იმედოვნებისა **მისისაგან იმპერატორების დიდებულებისა,** , აღსთქუამს თავისა თვისისა, და ტომთა თვისთათვის.

პ ი რ უ ე ლ ა დ , რათა იყოს ნიადაგ მზა სამსახურსა ზედა **მისისა დიდებულებისასა** მხედრობითა თვისითა.

მ ე ო რ ე დ, მთავართადმი რუსეთისათა რათა იქცევოდესმცა სამარადისოთა მიწერ-მოწერითა, რაცაღა თვის-ეყვს მისისა იმპერატორების დიდებულებისა სამსახურსა, და კმაჰყოფდეს თხოვათა მათთა, და ყმათა **მისისა დიდებულებისათა** ჰსცვიდეს ყოველთაგან განსაცდელსა და შეიწრებათა.

მ ე ს ა მ ე დ , განწესებასა შინა კაცთასა(თვისისა სამეფოსათა) ადგილთა ზედა, და აღყუანებასა ინა მათსა ხარისხთა შინა, ანუ აღსავალთა რომელთამე, რათა უსაკუთრესად აჩუენოსმცა უდიდესობა მსახურებისათვის რუსეთის იმპერიისა, ესევითარსა პატივის-ცემასა ზედა მოკიდებულ არს განსუენება, და ბედნიერობა ქართლისა და კახეთისა სამეფოსა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე რ ვ ე

დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი **იგი დიდებულება** ვითარმედ კათალიკოსსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღუდელთ- მთავართასა, მერუესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს, შემდგომად ტობოლსკისა და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმიდესისა სინოდის ჩლენობისასა.

ხოლო მართებისათვის საქართველო[v]სა ეკლესიათასა, და მიწერ--მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთვის უკუე დაიწერების სხუა არტიკული.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ც ხ რ ე

განვრცელებისათვის მოწყალებისა თვისისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათვის განაწესებს **დიდებულება იმპერატორებისა მისისა** ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებელ ყოვლითა მით უპირველესობითა, და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა.

ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით ჰშთამოსლუასა და შეიკრვის წარგზავნად კარისადმი **მისია დიდებულებისა** ნუსხასა ყოველთა კეთილშობილთა გუართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდვილი ზედმიწევნილება, თუ რომელსა ვითარიმე ნამდვილი ეშესაბამების სამართალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### არტიკული მეათე

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლის, და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად, და კუალად უკუნქცევადვე დაუყოვნებელად.

ხოლო ტყუენი, უკეთუ საჭურველითა, ანუ გამოხსნითა რომლითამე თურქთაგან, და სპარსთა, ანუ სხუათა ერთაგან განთავისუფლდენ, რათა განტევებულ იქმნენ ქუეყანასა თვისსა. მაგრა რაცაღა იგი წარგებულ არს გამოხსნასა, და მოყუანებასა ზედა მათსა გარდაიხადონ იგი.

თვით უკუე ამასვე უგანათლებულესობაცა მისი მეფე ღჰსთქუამს წმიდად აღსრულებად განჰსჯითა რუსთა ტყუეთათვის, რომელნიცა დატყუევებულ იქმნენ მეზობელთაგან.

### არტიკული მეათერთმეტე

ვაჭრობასა ქართლისა, და კახეთისასა აქუს თავისუფლება რათა განავაჭროს სავაჭრო თვისი რუსეთსა შინა, და ისარგებლონ მითვე სამართლითა, და პატივისცემითა, რომლითაცა მკვიდრნი რუსეთისანი სარგებლობენ.

ნაცვლადვე მისსა აღჰსთქუამს მეფეცა განწესებად თავთა მთავართა მესაზღურეთა, ანუ მინისტრთა **მისისა დიდებულებისათა,** ყოვლითა ძალი[5]თა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თვისთა, ანუ მგზავრ განმვლელთა რუსთა ვაჭრობისათვის, სხუათა შინა ადგილთა.

ამისათვის რომელ გარდა ეს გუარისა ნამდვილსა განწესებისა და ზავისა სარგებელთათვის ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს, (ესე იგი არს, სხუაგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

### არტიკული მეათორმეტე

ზავი უკუე ესე, ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ. მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რამე საჭიროდ შეცვალებად, ანუ დაჰრთუად ურთიერთისათვის სარგებელისა აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა.

### არტიკული მეათსამეტე

კმაყოფისათვის აწინდელისა ტრაქტატისა, სათანადო არს ურთიერთარს შეცუალებულ-ყოფა ექუსთა თთუეთა შინა ხელისმოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.

რომლისა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ ძალ-მქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა, და ამას თანა თვისნიცა დაჰსხნეს ბექედნი გიორგის ციხეში, იულისს *24* დღესა *1783* წელსა.

პავლე პოტემკინი
თავადი იოანე ბაგრატიონი
თავადი გარსევან ჭავჭავაძე

[სახე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულობასა ზედა **მისისა იმპერატორებისა დიდებულებისასა, თვითმპყრობელისა** ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა მფარუელობისა და უზენაესისა ხელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა]*

### სახე ფიცისა

მე უკუე ქუემო ჰხსენებული აღვჰსთქუამ და ვჰფუცავ ამას ყოვლისა შემძლებელითა ღმრთითა, წინაშე წმიდისა სახარებისა მისისა ვითარმედ მნებავს, და თანამდებცა ვარ **მისისა იმპერატორების დიდებულებისა** ყოვლად უბრწყინვალესისა და უმპყრობელესის დიდისა **ხელმწიფისა იმპერატრიცასა,** და თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა **ეკატერინა ალექსივნასა** და მისისა ყოვლად

---

*აღდგენილია ავპრ, ფ. „ტრაკტატი", *1783* გოდა, დ.№*178* რუსული ხელნაწერის მიხედვით.

საყუა[v]რელისა ძისა ყოვლად უბრწყინვალესისა ხელმწიფისა ცესარევიჩისა, და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტისა ჰსჯულიერისა მემკვიდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ სარწმუნო, და კეთილის-მწადნელ.

აღვიარებ სახელითა ჩემითა, მემკვიდრეთა და მენაცულეთა ჩემთა, და ყოველთა სამეფოთა, და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარუელობასა, და უზენაესსა ხელმწიფებასა **მისისა იმპერატორების დიდებულებისა**, და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა **მისთასა** ჩემზედა და მოსაყდრეთა ჩემთა, ქართლისა და კახეთისა მეფედა ზედა; რომლისაცა შედგომითა განვაგებ ყოველსა ჩემზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა, ვითართამე მისაღებელთა ტიტლოთა ანუ წინადადებათა, ვითარისამე უფლებისა, ანუ ხელმწიფებისა სხუათა ხელმწიფეთა, და მპყრობელთასა, და უარ-ვჰყოფ მფარველობასა მათსა.

შევიკრვი წმიდათა ქრისტეანებრითა სვინდისითა ჩემითა ვითარმედ მტერთა რუსეთისა სახელმწიფოსათა ვჰრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა ვითარმედ ვიყო მორჩილ, და მზა ყოველსა შინა დროსა, სადაცა სახმარ ვიყო მსახურებასა შინა **მისისა იმპერატორების დიდებულებისასა** და ყოვლისა რუსეთისა სახელმწიფოსასა; და ამას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე ჩემი, ვიდრე უკანასკნელ წუეთამდე სისხლისა;

სამხედროთა და სამოქალაქოთა **მისისა დიდებულებისა** მთავართა მიმართ, და მსახურთა ვიქცეოდე უმწუერუალესითა თანხმობითა.

და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებელისა და დიდებისა **მისისა დიდებულებისა** და **მისისა იმპერიისა** ვჰსცნა საქმე ანუ ჰაზრი, მყს განვაცხადო იგი.

მოკლედ უკუე ვიტყვი: ესრეთ ვიქცეოდე, ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთადმი, და შეკრულებისა ძლით ჩემისა განჰსჯითა მფარუელობისა, და უზენაესისა ხელმწიფებისა **მისისა იმპერატორების დიდებულებისათა** შესაბამ, და თანამდებობით.

ხოლო დასასრულ ჩემისა ამის ფიცისა ამბორს უყოფ სიტყუასა, და ჯუარსა მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ.

ჰმსახურებს სახე ყოფადთაცა შინა შემდგომთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა ყოფისათვის ფიცითისა აღთქმისა მეფობად მომავალთა, ოდეს-იგი მიიღებენ დამტკიცები[ნ]თსა წიგნსა დროშათა, და ინვესტიტურთა ბოძებულსა რუსეთისა საიმპერატოროსაგან კარისა.

რომლისაცა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრძალისა სრულ ძალმქონებლობითა მოვაწერეთ სახესა ამას ზედა, დავბეჭდეთ ბეჭდითა ჩუენითა, გიორგის ციხეში, იულისს *24* დღესა *1783* წელსა.

პ ა ვ ლ ე   პ ო ტ ე მ კ ი ნ ი
თავადი ი ო ა ნ ე   ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი
თავადი გ ა რ ს ე ვ ა ნ   ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მიმცემელი ღირს-თანამდებობითისა კრძალულებისა ესოდენთა **თქუენის იმპერატორების დიდებულებისა** მოწყალებათა ჩუენდამო, ტომთა, და ერთა ჩუენთა ზედა ჩუენებულთათვის, ჩუენ დღესასწაულობითთა ამათ მოქმედებათა, ხელითა ჩუენითა მოწერილთა, და სამეფოთა ბეჭდითა ჩუენითა განმტიკცებულთა, მიმღებელი, და დამამტკიცებელი ყოველთა ქმნილთა, და განწესებულთა ჩუენთა სრულის ძალის მქონებელთაგან აღვიარებთ, ვითარმედ იგი კმა-ჰყოფს სრულებით წადილსა ჩუენსა, და იმედებულ გუყოფს დროთა აწინდელთა, და შემდგომთა სახლისა, და მამულისა ჩუენისა განსუენებათა და კეთილდღეობათა, როლისათვისცა აღვჰსთქუამთ მეფობითითა სიტყვითა ჩუენითა წინაშე ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა, წინაშე უსაღმუდელოესისა **თქუენის იმპერატორების** საყდრისა, და წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა ჩვენთვის, და მენაცულეთა ჩუენთა, და ყოვლისა სამეფოსა და სამფლობელოსა ჩუენისათვის, ვითარმედ ყოველი პირობასა ამას შინა აღთქმული ნამდვილისა ძალსა, და სწორესა გულისხმის-ყოფასა შინა იქმნების წმიდად, მრთლად, და დაუხსნელად დაცული და აღსრულებული.

დასასრულ ამისა მოწყალებისა, და კეთილნებობისა თქუენს **იმპერატორების დიდებულებას** [v] მივაბარებთ თავსა ჩუენსა, და სამეფოსა სახლსა ჩუენსა, ყოვლითურთ სამფლობელოთ ჩუენით.

სატახტოსა ქალაქსა შინა ჩუენსა ტფილისს, თთუესა იანუარსა *24* დღესა *1784* წელსა შობითგან ქრისტესა, მეფობისა ჩუენისა მეორმოცესა წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე რ ე კ ლ ე
თავადი ორბელიანი დავით
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი

[1]* **ყოვლად უგანათლებულესი უთვითმპყრობელესი დიდი ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნა, მპყრობელი** ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვღოროდისა; მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახანისა, მეფა სიბირისა; ხელმწიფა პსკოვისა, და დიდი მთავრინა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლანდიისა, ლაფლანდიისა, კორელისა, ტვერისა, იუღორსკისა, პერმსკისა, ვიატსკისა, ბოლღარისა, და სხუათა ხელმწიფა, და დიდი მთავრინა ნოვოღოროდის ნიზოვის ქუეყანათა, ჩერნიგოვისა, რეაზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა მბრძანებელი, და ხელმწიფა ივერიისა ქუეყანისა ქართლისა, და საქართუელოსა თავადთა და ყაბართოს ქუეყანისა, ჩერქეზთა, და მთიურთა თავადთა, და სხუათა მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი;

ირაკლი მეორე წყალობითა ღმრთისათა, და **თქუენის იმპერატორების დიდებულებისა** კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შამახისა, და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

ვითარცა განწესებასა ზედა სრულის ძალის მქონებელთასა **თქუენის იმპერატორების დიდებულებისა**, და ჩუენთა ძალის მქონებელთაგან პირობისა მიღებისათვის ჩუენისა სამეფოთ, და სამფლობელოთ ჩუენით უმაღლესსა მფარუელობასა ქუეშე **თქუენის იმპერატორების დიდებულებისასა**, და უზენაესისა ხელმწიფებისა უმჯობესისათვის სარგებელისა ჩუენისა დაიმტკიცნენ ოთხი სეპარატისა არტიკულნი სახელით.

სეპარატისა არტიკული პირუელი

ჰაზრი მტკიცე **მისისა იმპერატორების დიდებულებისა**, რათა ერთმორწმუნენიმცა ერისა მისისანი ესოდენ მჭირსითა საკრუელითა შეერთებულნი **მისისა** თანა იმპერიისა ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანხმობასა [V] საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყლუელად შეერთებულითა ძალითა, მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსუენებასა, და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათვის უკუე აღიძვრის **დიდებულება მისი**, მისისა უგანათლებულესობისადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა, და განზრახვისა (ესე იგი ჰრჩევისა) დაცვისათვის მეგობრობისა, და კეთილისა თანხმობისა უგანათლებულესისა მეფისა მიმართ იმერთასა სოლომონისა, განწესებისათვის ყოვლისა მის რაცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერყოფად წინათუე ჰსწრობად ყოვლისა ვერ გულისხმის-საყოფელისა, აღჰსთქუამს **იმპერატორებრითა** სიტყვითა თვისითა, არათუ ოდენ შეწევნად მეცადინეობითა **თვისითა** ყოფისათვის ესოდენ სასარგებლოსა ამის საქმისა, არამედ ამას ესევითარსა ზედა მშვიდობასა, და თანხმობასა, მიჰსცემს **თვისსა** თავსმდებობასა.

უგანათლებულესობა მისი მეფე ირაკლი, მიმღებელი თანამდებობითითა მადლობითა დიდსულობასა **მისისა დიდებულობისა** ზრუნვისასა დაცვისათვის მეგობრობისა ერთა შორის ერთგუართა, და ერთჰსჯულთა, და უმაღლესსა თავსმდებობასა მისსა აღიარებს ამით, ვითარმედ ურთიერთთა შინა საქმეთა მათთა უგანათლებულესისადმი მეფისა სოლომონისა, აწ და შემდგომად შეჰრაცხს **მისისა იმპერატორებისა დიდებულებასა** სრულად მეშუამავლედ. და განაგდებს **მისისა** მიერ უზენაესისა განჩინებისა, ანუ განჩენისა ვერ გულისხმისსაყოფელთა შფოთთა, შორის ორთა ამათ მფლობელთა, უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

არტიკული მეორე სეპარატისა

დაცვისათვის სამფლობელოსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა, და სიმტკიცისათვის მხედრობისა მისისა უგანათლებუ[2]ლესობისა მეფისა, **დიდებულება იმპერატორებისა მისისა** აღჰსთქუამს შენახვად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი, და საჭმელი უსიტყუთა ხარისხისაებრ მხედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ

---

* აქ იწყება მეორე რვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნების ნაყოფიერების ძლით ქუეყნისა, თანხმობითა მისისა უგანათლებულესობისათა თავისა თანა მესამზღურისა მთავრისა დადებულითა ფასითა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი  მ ე ს ა მ ე  ს ე პ ა რ ა ტ ი ს ა

დროსა ბრძოლისასა, უთავესი იგი მთავარი მესამზღურე **მისისა იმპერატორების დიდებულებისა** კერძოთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ქართლისა, და კახეთისასა ეთანხმოსმცა, და დაჰსდუას ჰაზრი შეწევნისათვის თქმულთა მათ ქუეყანათა, და წინააღდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს.

ამას თანა განიწესების ესეცა, ვითარმედ უკეთუ რაოდენიმე მხედრობა ქართლისა და კახეთისა ხმარებულ იქმნეს სამსახურისათვის **მისისა იმპერატორების დიდებულებისა** გარეგან საზღუართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთვის შესანახავი სრული, თანაჰსწორი **მისისა დიდებულებისა** მხედართა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი  მ ე ო თ ხ ე  ს ე პ ა რ ა ტ ი ს ა

**დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღჰსთქუამს**, რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსმცა ყოველი შემძლებელობა მეცადინობისა ღონითა საჭუროველისათა.

ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათვის ქუეყანისა, და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა, და ძუელადვე [V]სამეფოსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუე დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა, საფუძუელსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუელობისათვის, და უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატისა არტიკულთა აქუსთ ესევითარივე ძალი, ვითარცა თვით ზემო წერილნი იგი ტრაქტატნი ზემო წერილისაებრ ლექსითი-ლექსად შემოყუანილ ქმნილ იყუნენ, რომლისათვისცა სრულ-ყოფასა ამისსა იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა, ანუ დაჭრთუასა.

რომლისა დასარწმუნებლად ქუემო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა მებრ ძალისა სრულ ძალ-მქონებელობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა, და ამასთანა თვისნიცა დაჰსხნეს ბეჭედნი, გიორგის ციხეში, იულისს *24* დღესა, *1783* წელსა.

პ ა ვ ლ ე  პ ო ტ ე მ კ ი ნ ი
თავადი ი ო ა ნ ე  ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი
თავადი გ ა რ ს ე ვ ა ნ  ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ჩუენ მიმღებელნი ამათნი თანამდებობითითა კრძალულებითა დამამტკიცებელნი ყოვლისა მის, რაცა ჩუენთა სრულის ძალის მქონებელთაგან მუნ განიწესნენ, აღუსთქუამთ მეფობითითა სიტყუითა ჩუენითა ღონითა ამის მოქმედებისათა, რომელიცა ხელითა ჩუენითა მოწერილ არს და სამეფოთა ბეჭდითა ჩუენითა განმტკიცებულ, წინაშე ღმრთისა და უსაღმუდელოესისა და **თქუენის იმპერატორების** საყდრისა, ჩუენთვის, და მენაცუღეთა [3] ჩუენთათვის,, და ყოვლისა სამეფოსა და სამფლობელოსა ჩუენისათვის, წმიდად, მრთლად, დაუხსნელად დაცუად, და აღსრულებად.

დასასრულ ამის მოწყალებისა, და კეთილნებობისა **თქუენს იმპერატორების დიდებულებას** მივაბარებთ თავსა ჩუენსა, და სძეფოსა სახლსა ჩუენსა, ყოვლითა სამფლობელოთა ჩუენითა.

სატახტო ქალაქსა შინა ჩუენსა ტფილისს, თთუესა იანუარსა **24**, წელსა შობითგან ქრისტესა **1784**, მეფობისა ჩუენისა მეორმოცესა წელსა.

ე რ ე კ ლ ე
თავადი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი  დ ა ვ ი თ
თავადი ქ ა ი ხ ო ს რ ო  ჩ ო ლ ო ყ ო ვ ი

---

***განმარტებები:** ტრაქტატის ორიგინალის ქართული პირი დაკარგულად ითვლება. იგი რუსებმა ეშმაკურად გამოსტყუეს სოლომონ ლეონიძეს. წინამდებარე ტექსტი თარგმნილია რუსულიდან, საკმაოდ მოგვიანებით, მაგრამ ძველი, მეფე ერეკლეს დროის , სალიტერატურო ქართულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართული სამართლის ძეგლები"-ის მიხედვით, ჩვენს მიერ ტექსტში მუქი ფერის ასოებით დაბეჭდილი სიტყვები, დედანში შესრულებული ყოფილა ასომთავრულით. თ.ტ.

*** *** ***

ლ უ ი ლ ო ფ ი უ რ
პროფესორი საერთაშორისო უფლებისა
პარიზის უნივერსიტეტში

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  დ ა  ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო  უ ფ ლ ე ბ ა*

ქართველი ერი დამოუკიდებლად ცხოვრობდა თავისი ისტორიის უძველეს დროიდან. რასა, რომელსაც ის წარმოადგენს, ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, და მიუხედავად მცირე შერევისა, ის დარჩა შესანიშნავად სუფთა საუკუნეების განმავლობაში. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ისტორიაში. ჩაბღაუჭებული მის მთებს, რომლებიც უმაღლესებია ევროპაში, ის იძულებული იყო მრავალჯერ გამკლავებოდა დიდი იმპერიების დაპყრობის ცდებს, სპარსეთს და თურქეთს სამხრეთით, რუსეთს ჩრდილოეთით და ამ მთიელმა ხალხმა ყოველთვის ვერ შესძლო უცხოელთა უღლის აცილება. საქართველოს ისტორია სავსეა მის დამპყრობლებთან ბრძოლით, რომლებიც თითქმის ყოველთვის მთავრდება ამ მამაცი ხალხის განთავისუფლებით.

საერთო გამარჯვებებმა და დამარცხებებმა, სიხარულმა და ტანჯვამ ძლიერ ხელი შეუწყვეს ქართული ეროვნული ერთობის გამომუშავებას, რომელიც მისი მთელი ისტორიისორომტრიალში დარჩა შეუბღალავი.

### 1

მე-18-ე საუკუნის ბოლოს საქართველო განსაკუთრებულ კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. სამხრეთელი მეზობლების თავდასხმებმა იქამდე დაასუსტა, რომ იძულებული გახადა დახმარება ეძებნა რუსეთთან, ჩრდილოეთის ძლიერ მეზობელთან, რომელთანაც მას რელიგიური ერთობა აახლოებდა. ამ მიზნით ის მას ხელშეკრულებით შეეკრა, რომელიც რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მე-2-სა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მე-2-ს შორის დაიდვა 1783 წლის 24 ივლისს. ამ დრომდე საქართველოს საერთაშორისო იურიდიული მდგომარეობა ყოველგვარ სიძნელეთა გარეშე იყო. ეს სახელმწიფო სარგებლობდა სრული სუვერენობით, როგორც შიგნით, ისე გარეთ და არავითარი ვალდებულება არ აკავშირებდა სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან. საქართველოს მაშინ ჰქონდა, ყოველგვარი კონტესტაციის გარეშე, სრული საერთაშორისო ინდივიდუალობა.

გართულებებმა თავი იჩინეს მხოლოდ 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ. ამიტომ საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ეს ხელშეკრულება, თუმცა მას ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს და სხვა არაფერი. უპირველესად, ფორმის თვალსაზრისით 1783 წლის ხელშეკრულებას როგორც ყველა ხელშეკრულებას ორმხრივი ხასიათი აქვს, დადებულს ორ სუვერენ სახელმწიფოს შორის. ეს ხასიათი ცხადია ყოველგვარი კონტესტაციის გარეშე, როგორც შესავალიდან, ისე თვით ხელშეკრულობის შინაარსიდან. შესავალში ორივე ხელისუფალი: იმპერატრიცა ეკატერინე მეორე და მეფე ერეკლე მეორე ნიშნავენ სრულუფლებიან წარმომადგენლებს, რომლებიც მათი სახელით დებენ ხელშეკრულებას, რომელიც ორივე მხარესათვის სავალდებულო გახდება მხოლოდ მის შემდეგ, როცა ორივე მხარის ხელმწიფე ხელს მოაწერს.

1783 წლის ხელშეკრულობის ორმხრივობა კიდევ ხაზგასმულია თვით გარიგებაში. მართლაც, ორი მხარე(ხელშეკრულების დამდები) ცნობენ ზოგიერთ ურთიერთ უფლებას და ვალდებულებას კისრულობენ ურთიერთის მიმართ. და ბოლოს, მე-12-ე მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ რაიმე ცვლილება ხელშეკრულებაში „არ შეიძლება მოხდეს ორივე მხარის თანხმობის გარეშე." უეჭველია, რომ ჩვენ ვიმყოფებით საერთაშორისო გარიგების წინაშე, რომელიც დადებულია ორ თანასწორუფლებიან სახელმწიფოს შორის და, რომლებიც საერთაშორისო სუვერენული უფლებების მატარებლები არიან ორივე.

1783 წლის ხელშეკრულობის მიზანია რუსეთსა და საქართველოს შორის პროტექტორატის რეჟიმის დამყარება. პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოს ახალ მდგომარეობას, და ჩამოთვლის ვალდებულებებს, რომლებიც მას ეკისრება როგორც მფარველობაში მყოფ სახელმწიფოს. მას ეკრძალება რაიმე დამოკიდებულება დაამყაროს რომელიმე უცხო სახელმწიფოსთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ცნობს რუსეთის უმაღლესობასა და მფარველობას და ვალდებულებას ღებულობს, საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მას (რუსეთს).

ასეთი რეჟიმის დაწესების უეჭველი შედეგია ზოგიერთი სუვერენული უფლების შეზღუდვა საქართველოსთვის. სახელმწიფო, რომელიც მეორე სახელმწიფოს მფარველობაში შედის, თითქმის ყოველთვის ხელს იღებს მის საგარეო ხელმწიფების უფლებებზე, რომლებიც მფარველის ხელში გადადის. მართლაც, 1783 წლის ხელშეკრულობის მე-4-ე მუხლის მიხედვით, საქართველო ხელს იღებს მისი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე დამოუკიდებლად. ამ მუხლის მიხედვით, საქართველო „ვალდებულებას ღებულობს არ იქონიოს არავითარი ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან თუ წინასწარ არ შეათანხმა რუსეთის კავკასიის ხაზის უფროსთა, ან რუსეთის იმპერიის მინისტრთან, რომელიც იმყოფება აკრედიტებული საქ.-ს სამეფო კარის წინაშე. მაშასადამე, საგარეო ურთიერთობა დღეიდან დაექვემდებარება რუსეთის კონტროლს. საგარეო სუვერენობის  ასეთი ხელის აღება იწვევს საქართველოსათვის მისი საერთაშორისო პიროვნების დაკარგვას? ე.ი. საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით საქართველო ამ ხელშეკრულობით წყვეტს სახელმწიფოებრივ არსებობას? არა. საქართველო უარს არ ამბობს მისი საგარეო საქმეების წარმოებაზე მთლიანად, არამედ მისი უფლებები ამ მხრით ამის შემდეგ იქნებიან ზღვარდადებული რუსეთის სასარგებლოდ; ყველა გადაწყვეტილებისათვის, რომელიც ეხება საგარეო პოლიტიკას, საქართველოს ხელმწიფე ვალდებულია მოეთათბიროს კავკასიის ხაზის უფროსს, ან მასთან აკრედიტებულ რუსეთის მინისტრს.

ერთი უდავო მოწმობა იმის სასარგებლოდ, რომ 1783 წლის ხელშეკრულებას მთლად არ შეუწყვეტია საქართველოს ინტერნაციონალური პიროვნების არსებობა მიუხედავათ იმ შეზღუდვებისა, რომლებსაც გარიგება შეიცავს და, რომლებიც ჩვენ ეს-ეს არის გავაანალიზეთ, ეს არის წარმომადგენლობის ( აქტიურის და პასიურის ) უფლება, რასაც მისთვის ცნობს ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი. მართალია, ეს უფლება მისთვის ფორმალურად არ არის ცნობილი, არამედ რუსეთისათვის; მაგრამ ყოველგვარი საწინააღმდეგო პირობის არ არსებობის გამო საჭიროა ზოგადი პრინციპის მიყენება, რომ პროტექტორატის ხელშეკრულებათა ბუნება უნდა გაგებული იქნეს შეზღუდულად. უფლება გვაქვს, მაშასადამე, დავასკვნათ რომ ის აგრძელებს არსებობას სხვა სახელმწიფოების მიმართაც. 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგაც კი საქართველო აგრძელებდა ყოფნას საერთაშორისო უფლების ქვეშ, ის ინახავდა მის სახელმწიფოებრივ ხასიათს საერთაშორისო უფლების გაგებით.

თუნდაც დავუშვათ, რომ საქართველოს მთლიანად ხელი აელო მის საგარეო დამოუკიდებლობაზე და მით შეეწყვიტა ყოფილიყო საერთაშორისო უფლების სუვერენული პირი, ამას არ მოყვებოდა თავისთავად შეწყვეტა სახელმწიფოდ ყოფნისა. მართლაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ხელის აღებას საფუძვლად ედვა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანიც იყო სახელმწიფოს დაცვა-შენარჩუნება. ხელშეკრულობის გაუქმებით, საქართველო კვლავ იდგენდა მთლიანად მის სუვერენულ უფლებებს.

რაც შეეხება მის შინაგან სუვერენობას, 1783 წლის ხელშეკრულობა არავითარ შეზღუდვას არ აკისრებს საქართველოს. მეექვსე მუხლის მიხედვით, რუსეთი „ვალდებულებას ღებულობს არ ჩაერიოს ქვეყნის საშინაო საქმეებში, არ მიიღოს არავითარი მონაწილეობა აღმასრულებელ ძალაუფლებაში, რაც ეხება შინაურ მმართველობას, სამართალს, ან ბეგარის აკრეფას.“ შინაგანი თვალსაზრისით, მაშასადამე, საქართველო რჩება სრულიად დამოუკიდებელი.

თუ ახლა მოვბრუნდებით რუსეთისაკენ, დავინახავთ, რომ ხელშეკრულება მას აკისრებს ზოგიერთ ვალდებულებას იმ უფლებების ასანაზღაურებლად, რომლებიც მას ეძლევა. ამ უფლებებს ჩვენ ვიცნობთ, ესენია ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს აკისრია. რაც შეეხება რუსეთის ვალდებულებებს, რომლებიც საკმაოდ მრავალია, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ვალდებულება საქართველოს ტერიტორიის დაცვის შესახებ ყოველგვარი თავდასხმისაგან( მუხ. 2 და 6). ხელშეკრულების საიდუმლო ნაწილში რუსეთი საქართველოს ჰპირდება შეუერთოს ტერიტორიები, რომლებიც წარსულში მას ეკუთვნოდენ.

მეორე მნიშვნელოვანი ვალდებულება გამომდინარეობს მე-6-ე მუხლიდან: რუსეთი პირობას იძლევა „იგულისხმოს საქ.-ს სამეფოს ხალხები მჭიდრო კავშირში და ჰარმონიულ თანხმობაში მისი უდიდებულესობის იმპერიასთან და, აქედან გამომდინარე, ამ ხალხების მტრებს ისე მოექცეს როგორც საკუთარ მტრებს“. ამ ორი ტექსტის მიხედვით, რუსეთი ვალდებული იყო დახმარებოდა საქართველოს ომის შემთხვევაში; სპეციალური კონვენცია აწესრიგებდა მის მესამე მუხლში თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს დახმარება.

ასეთია მთავარ ხაზებში 1783 წლის ხელშეკრულობა. მისი განხილვიდან გამომდინარეობს,

რომ ჩვენ ვიმყოფებით ორ სუვერენ სახელმწიფოს შორის დადებულ საერთაშორისო კონვენციის წინაშე. ის მათ შორის აწესებს მფარველობით ურთიერთობას, რომელიც რუსეთს, მფარველ სახელმწიფოს, ანიჭებს გარკვეულ უპირატესობას, მაგრამ ეს უპირატესობა სრულებით არ ვნებს საქართველოს სახელმწიფოებრივ ხასიათს; ის კიდევაც სტოვებს არსებობას, თუმცა შესუსტებულად, ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პიროვნებისას, რომელიც მხოლოდ მფარველობაშია.

ამის გარდა, 1783 წლის ხელშეკრულობა მეტია ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულობა, ისაა აგრეთვე მოკავშირეობისა და მეგობრობის ხელშეკრულობა (იხილეთ შესავალი), რომელიც არბიტრაჟს აწესებს ხელშეკრულების დამდებთა შორის უთანხმოების შემთხვევისათვის. ასეთი ხასიათის გარიგებები არსებობენ მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც სარგებლობენ თავიანთი სუვერენობით.

2

ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ შეგვიძლია შევეხოთ იმ მოვლენებს, რომლებიც მოყვნენ 1783 წლის ხელშეკრულებას. თარიღით პირველი იყო სპარსეთისაგან საქართველოში შეჭრა. მიუხედავად ფორმალური ვალდებულებისა, რუსეთი მაშინ არ დახმარებია საქართველოს. ეს უკანასკნელი მარტო საკუთარი ძალების ამარად ვერ გაუმკლავდა მტრის ჯარებს, მტერი შეიჭრა, გააპარტახა, ხოლო მისი დედაქალაქი, თფილისი, დაანგრია და გადაწვა (1795 ). აქ ადგილი ჰქონდა რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულების პირველ დიდ დარღვევას, რომელიც ამ ხელშეკრულებით ვალდებული იყო ხელში აეღო საქართველოს დაცვა. ერთსულოვნადაა მიღებული საერთაშორისო უფლებაში, როგორც აგრეთვე შინაგან უფლებაში, რომ ერთი მხარის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ანთავისუფლებს მეორე მხარეს მის ვალდებულებებისაგან. ერთი წინამორბედთაგანი საერთაშორისო უფლების, თითქმის თანამედროვე ამ ამბებისა, ვატელ, რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა სამფარველობლო ხელშეკრულებების გაუქმების საკითხი, შემდეგნაირად მსჯელობს ამ საგანზე: „როცა ერთი ერი მფარველობაში შედის მეორე უფრო ძლიე ერთან, ან თუგინდ მისი მორჩილი ხდება, რათა იგი მისგან დაცული იქნეს, თუ იგი მას საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ არ იცავს, მაშინ ცხადია, რომ ვინაიდან მფარველი თავის ვალდებულებებს არ ასრულებს, ის ჰკარგავს ყველა იმ უფლებებს რომლებსაც მას კონვენცია ანიჭებდა, და რომ მეორე, განთავისუფლებული მის მიერ დადებულ ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან, შედის ყველა მის უფლებებში და იღდგენს მის დამოუკიდებლობას ან მის თავისუფლებას.“ მაშასადამე 1783 წლის ხელშეკრულება ამ დროს შეიძლებოდა გამოცხადებულიყო ნულად და საქართველოს, ყველა ვალდებულებისაგან განთავისუფლებულს, აღედგინა ყველა მისი სუვერენული უფლება.

სინამდვილეში მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. წინააღმდეგ ხელშეკრულების მე-12-ე მუხლისა, რომელიც ხელშეკრულებაში რაიმე ცვლილებას უქვემდებარებს ორივე მხარის თანხმობას, რუსეთი, რამდენიმე წლის შემდეგ, ცალმხრივი აქტით, ახდენს საქართველოს სრულ ანექსიას. ანექსია გამოცხადებულიქნა ორი მანიფესტით, პირველი 1801 წლის 28 იანვარს ცარ პავლე პირველის მიერ, მეორე, პირველის დადასტურება, იმავე წლის 12 სექტემბერს, ალექსანდრე პირველის მიერ გამოცემული. ამრიგად, რუსეთი ისაკუთრებდა ცალმხრივი აქტით უფლებებს, რომლებიც ხელშეკრულობით მას არ ეკუთვნოდნენ. ეს ფაქტი საქართველოს ნებას აძლევდა ხელშეკრულობა ნულად გამოეცხადებია და განთავისუფლებულიყო რუსეთის მიმართ ყოველგვარი ვალდებულობისაგან. აქაც, ისევ ვატელი შემდეგი აზრისაა მისი წიგნის 198 პარაგრაფში: „იგივე პრინციპის ძალით, რომელიც ხელშეკრულების დამდებ ერთ მხარეს ანთავისუფლებს, როცა მეორე მხარე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს, თუ უძლიერეს სახელმწიფოს სურს მიითვისოს უფლებები, რომლებიც მას ხელშეკრულებით არ ეკუთვნიან, მაშინ მფარველობაში ან მორჩილებაში მყოფ სუსტ სახელმწოს შეუძლია ხელშეკრულება ჩათვალოს დარღვეულად და მის უშიშროებას მიხედოს მისი დაკვირვების მიხედვით, სხვანაირად რომ ყოფილიყო, მაშინ სუსტი ერი თავის დაღუპვას ნახავდა იმ გარიგებაში, რომლის დადებაც მან მხოლოდ თავის ხსნის მიზნით გადაწყვიტა, და, თუ ის კიდე დარჩებოდა შებორკილი იმ ვალდებულებებით, როცა მისი მფარველი არღვევს აშკარად თავისას, მაშინ ხელშეკრულება ხაფანგი გახდებოდა მისთვის.“

შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ რუსეთის მიერ მისი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შედეგად 1783 წლის ხელშეკრულებამ უფლებრივად შეწყვიტა არსებობა. საქართველომ თეორიულად აღიდგინა მისი სრული დამოუკიდებლობა და თუ მან ამით ვერ ისარგებლა, ეს

იმიტომ, რომ ის რუსეთის მიერ ჯარებით იყო დაკავებული. ანექსიით, რომელიც ძალადობის ფაქტს წარმოადგენს, **1783** წლის ორმხრივი ხელშეკრულებით შობილ მფარველობით რეჟიმს ცვლის ფაქტიური მდგომარეობა, ძველი იურიდიული მდგომარეობის ადგილს იკავებს შესრულებული ფაქტის მდგომარეობა. როგორია ამ ანექსიის იურიდიული შედეგები? შევნიშნოთ თავდაპირველად, რომ ის არასოდეს არ ყოფილა მტკიცედ ცნობილი უცხო სახელმწიფოების მიერ. პირიქით, **1801** წლიდანვე ბევრმა სახელმწიფომ, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, თურქეთმა და სპარსეთმა, პროტესტი განაცხადა ამ ფაქტის გამო. **1856** წელს, ყირიმის ომის დროს, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და თურქეთმა საქართველოს დაჰპირდნენ დამოუკიდებლობის დაბრუნებას. საფრანგეთის წარმომადგენელი **კონტ მეფრე** **1955** წელს წერდა: „ჩვენ თქვენთვის მოგვაქვს დამოუკიდებლობა და სიუხვე; ევროპას სურს რომ თქვენ შეხვიდეთ ცივილიზებულ ერთა ოჯახში.“ ოტომანთა ჯარების გენერალისიმუსი თავის მხრით წერდა იმავე წლის **31** ნოემბერს: „რაც მათ (ევროპის სახელმწიფოებს) სურთ, ესაა ის, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები იყვნენ რუსეთისა და ყველა სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელი, და თავისუფალი მათ საკუთარ ხელისუფლებაში.“

დასასრულ, საქართველოს საკითხი ხელახლად აღიძრა **1956** წლის პარიზის კონგრესზე. ამ წლის **1** მარტის ოქმი მართლაც ასე გამოთქვამს: „ბ-ნი **კონტ ვალევსკი**, საფრანგეთის დელეგატი, აცხადებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოები მოითხოვენ, რათა განსაკუთრებული შესწავლის საგანი გახდეს შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების მდგომარეობა.“ ცხადია, აქ იგულისხმებოდა საქართველო. სამწუხაროდ ეს საკითხი არ ყოფილა კონგრესზე განხილული; მაშინდელი საერთო ვითარება სრულებით არ იყო ამის სასარგებლოდ განწყობილი.

მაგრამ მთავარი ფაქტორი ისაა, რომ ქართველ ერსაც არასოდეს არ მიუღია მისი ქვეყნის იძულებითი ოკუპაცია. შეუძლებელია ჩამოთვლა დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ყველა აჯანყებისა და ამბოხებების, განთავისუფლების ცდები, თითქმის ყოველთვის უმკაცრესად რეპრესირებული. მთელი მე-**19**-ე საუკუნის განმავლობაში აჯანყებები განუწყვეტლივ მეორდებოდენ საქართველოს ხან ერთ ხან მეორე კუთხეში, კერძოთ **1802**, **1804**, **1812**, **1819**, **1832**, **1878**-ში და ბოლოს **1905**-ში. **1907** წელს ქართველმა ერმა პეტიციით მიმართა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას; ის იქ მოითხოვდა თავის უფლებების აღდგენას და ბრალს სდებდა რუსეთს მათი შელახვისათვის.

თუ მე დავაწექი ამ ფაქტებს, ეს იმიტომ, რომ გამოჩნდენ იურისტები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებიან. იურიდიულ მსჯელობას უპირისპირებენ „ფაქტის ნორმატულ ძალას“; ფაქტი ქმნის და სპობს უფლებასო. —ამბობენ ისინი (მაგალითად ***V. Von Liszt, Die volkerrechtliche Stellung der Republik Georgien. Berlin, 1918.***). ის ფაქტი, რომ საქართველო დაპყრობილია რუსეთისაგან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, რომელმაც ძველი მფარველობაში მყოფი სახელმწიფო რუსეთის სამმართველოდ აქცია— საკმარისია იმისათვის, რომ გააუქმოს ძველი ხელშეკრულებები და შექმნას ახალი იურიდიული მდგომარეობაო. ასეთი მსჯელობა ნიშნავს, საერთაშორისო უფლებაში ვადაგასულობის (პრესკრიპსიონ) მცნების შემოტანას. [მთარგმნელის შენიშვნა: გარკვეული დროის მონაკვეთში კანონი კარგავს თავის ძალას, ე.ი. უქმდება;]. მაგრამ, ამ საკითხზე დავის სურვილის გარეშე, და რა მოსაზრებებიც არ უნდა იყვნენ ამ მიმართულებით ნახსენები, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ პოზიტიურ საერთაშორისო უფლებას არასოდეს არ განუსაზღვრავს ეს ვადაგასულობის ცნება და შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ მას ჯერ ის არ უცვნია. ბევრი ავტორი, უექველია, მონდომებული იყო საერთაშორისო უფლებაში პრესკრიპციის შემოტანის, თუნდაც შეძენილის. შეიძლება ის მივიჩნიოთ როგორც საერთაშორისო უფლებისა და კერძო უფლების ერთ-ერთი საერთო დაწესებულებათაგანი. უშიშროება ხანგრძლივი და მშვიდობიანი ფლობისა არის ერთ-ერთი პირობა სოციალური მშვიდობიანობისა, კიდევ უფრო მეტად საერთაშორისო წესრიგში, ვიდრე საშინაო წესრიგში.

მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო უფლება ვადაგასულობის დარგში არ შეიცავს არავითარ გარკვეულ წესს, იყოს ის მისი პრაქტიკული გამოყენება, თუ იურიდიული შედეგები. ამ საკითხების მიმართ ჯერ კიდევ ვიმყოფებით გამომუშავების შუაგულ პროცესში და ავტორთა შეხედულებები ყოველთვის თანხმობაში არ არიან; განსაკუთრებით უთანხმოება არსებობს დიდი ვადის ხანგრძლივობის საკითხში. ესაა ძირითადი საკითხი, რომლის გადაწყვეტა დაექვემდებარება განსაკუთრებით პრაქტიკაში იმ პირობებისაგან, რომლებშიაც ხორციელდებოდა სახელმწიფოს მფლობელობა, სახელმწიფოსი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამ საშუალებით სამფლობელოს შეძენაზე.

თავდაპირველად, საჭიროა რომ მფლობელობა იყოს უდრტვინველი და უწყვეტი, რაც სინამდ-

ვილეში გულისხმობს თანხმობას, სულ ცოტა უთქმელად მაინც, ანექსირებულ მოსახლეობისას. არაუდრტვინველი მფლობელობა, რომელიც მხოლოდ ძალით ხორციელდება, ხელს უშლის ანექსიის მომხდენ სახელმწიფოს ისარგებლოს ვადაგასულობის პრინციპით. იგივეა, როცა მფლობელობას წყვეტს ფორმალური ოპოზიცია, როგორიცაა ანექსიაში მცხოვრებ მოსახლეობის აჯანყება. მართლაც, საქართველოს შემთხვევაში, მფლობელობა არ ყოფილა არც უდრტვინველი და არც უწყვეტი; ხალხის მუდმივი აჯანყებები და პროტესტები მპყრობელთა წინააღმდეგ, რომლებსაც ის არ სწყვეტს, ნებას არ აძლევს რუსეთს პრესკრიპციის ეფექტიური უფლება მოითხოვოს მის სასარგებლოდ.

იმისათვის რომ მფლობელმა სახელმწიფომ ვადაგასულობით ისარგებლოს, კიდევ საჭიროა რომ მან ამ სახელმწიფომ არ შეცვალოს თვითვე ხასიათი ამ საკუთრების. თუ, მაშასადამე, სახელმწიფო იტაცებს ტერიტორიას, რომელზედაც მას მხოლოდ შეზღუდული იურიდიული უფლებები ეკუთვნოდა, თუ შინაგანი სუვერენობა მაინც მეორე სახელმწიფოს კუთვნილებაში რჩებოდა,— მას არ შეუძლია ეს ტერიტორია შეიძინოს პრესკრიპციით. „სახელმწიფოს, ამბობს პ. ფოშილ (*P. Fauchille, Traite de droit international public, p.760.*),—არა უმეტეს, ვიდრე რომელიმე კერძო პირს, არ შეუძლია ბრძანება მისი თვისების წინააღმდეგ: შეუძლებელია თვითვე შეცვლა მისი საკუთრების მიზეზისა და პრინციპისა.“ თუ მფარველი სახელმწიფო, უმატებს სახელგანთქმული იურისკონსულტი, გადალაპავს მის მფარველობაში მყოფ სახელმწიფოს ადმინისტრაციას და მთავრობას იმ ზომამდე, რომ მას მხოლოდ დაუტოვებს წმინდა ნომინალურ დამოუკიდებლობას, ასეთი დასაკუთრება რაც უნდა ხანგრძლივი არ იყოს მას ვერ შეძენს სუვერენობას.“ იგივე წესი მიუდგება, როცა საქმე გვაქვს კანონის დარღვევის კიდევ უფრო აშკარა შემთხვევასთან, მაგალითად, როცა მფარველი სახელმწიფო აუქმებს, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია, სრულიად მის მფარველობაში მყოფ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და მას აქცევს მის ერთ პროვინციად.

„ფაქტის ნორმატული ძალის“ საბუთი ამრიგად დამარცხებულია, განსაკუთრებით იმ კერძო შემთხვევაში, რომელიც ჩვენ გვაფიქრებს. რუსეთის მიერ საქართველოს დასაკუთრება, თუნდაც ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, თავისთავად საკმარისი არ იყო მისთვის, რომ სუვერენობა შეეძინა ამ ქვეყანაზე. ეს იყო წმინდა ფაქტის მდგომარეობა, რომელსაც არ შეეძლო ევნო საქართველოს უფლებისათვის. როგორც ეს სამართლიანად თქვა **იელინეკმა** (*G. Iellinek, L'Etat moderne et son droit*, ნაწ. 2, გვ.507), „გულდასმით უნდა განვასხვაოდ იურიდიული თვალთახედვა და პოლიტიკური თვალთახედვა. იურიდიულ დამოუკიდებლობას სრულიად შეუძლია თანაარსებობა პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან, რომელიც ძალიან შორსაა წასული. პრაქტიკული თვალსაზრისით ამ განსხვავებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რაც არ უნდა დიდი იყოს ფაქტიური დამოკიდებულება, როცა სახელმწიფო იურიდიულად დამოუკიდებელია, იგი სუვერენულია და შეუძლია მოითხოვოს ყველა ის უფლება, რომელიც მას ეკუთვნის საერთაშორისო სამართლით.“

ეს მტკიცება პირდაპირ უდგება საქართველოს შემთხვევას: უბრალო და წმინდა ანექსია რუსეთის—მფარველი სახელმწიფოს—მიერ, რომელმაც პირიქით დახმარება აღუთქვა, იურიდიულად საქართველოს უბრუნებს წინანდელ სუვერენობას, რომელიც ხანგრძლივმა დასაკუთრებამ ვერ მოსპო, რადგანაც პრესკრიპციისათვის მას აკლდა ყველა სხვა საჭირო პირობები.

## 3

საერთაშორისო თვალსაზრისით რუსეთის მიერ მოხდენილ ანექსიას ის შედეგი ჰქონდა, რომ საქართველომ დაჰკარგა საერთაშორისო უფლების პიროვნების თვისება. სახელმწიფოთა წარმოშობა და გაქრობა პოზიტიურ საერთაშორისო უფლების შეხედულებით არიან ფაქტები, რომლებსაც იგი აღნუსხავს მხოლოდ. მაგრამ საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ფაქტიური მდგომარეობისა, მან შეინახა თავისი დამოუკიდებლობის იურიდიული სახე: სახელმწიფომ შეიძლება არსებობა შეწყვიტოს როგორც ასეთმა, მაგრამ მას შეუძლია აღსდგეს, და მაშინ დიდ სარგებლობას წარმოადგენს მისთვის თუ შეუძლია დაამტკიცოს მისი უფლების უწყვეტი არსებობა (ნახ. იელინეკ, ნაწ.2, გვ.507.). მაშინ მართლაც ადგილი აქვს არა ახალ სახელმწიფოს შობას, არამედ წინად არსებულ სახელმწიფოს აღდგენას, რასაც იელინეკმა სრულიად მართებულად უწოდა „საერთაშორისო იურიდიული პიროვნების გაცოცხლება“ [*Das Wiederaufleben einer volkerrechtlichen Personlichkeit*].

სწორედ ეს მოხდა საქართველოსთვის 1917 წლის ნოემბერში, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსეთში, საქართველოში ბოლო მოეღო რუსული ძალაუფლების ფაქტს. ეს უკანას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნელი იმ დროს, როგორც ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოები, გამოეყო დიდ იმპერიას, რომელიც ემხობოდა; 1918 წლის 26 მაისს საქ.-ს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქ-ს დამოუკიდებლობა, და ეს აქტი სათანადო წესით ემცნო ყველა უცხო სახელმწიფოს. ადგილი ჰქონდა ახალ სახელმწიფოს დაბადებას თუ 1801 წლის წინ არსებულის ხელახლად გამოჩენას? ყველა წინა თქმულის შემდეგ, პასუხი არ შეიძლება საეჭვო იყოს: უდავოდ საქმე გვაქვს ძველი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენასთან. მისი უწყვეტი არსებობა მუდამ დაცული იყო მისი ორი ძირითადი ელემენტის არსებობით: ტერიტორია და მოსახლეობა. სრულიად სუვერენული სახელმწიფო რომ შეედგინა, საქართველოს აკლდა სახელმწიფოს მესამე მთავარი ელემენტი– სუვერენული მმართველობა. რუსული ძალაუფლების დამხობამ და ქართული ხელისუფლების მოწყობამ, გამოაჩინა რა იგი, შეავსეს რაც კიდევ აკლდა, რათა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს , ხელახალი შობა ყოფილიყო მიჩნეული როგორც შესრულებული ფაქტი.

დამოუკიდებლობის გამოცხადება დადასტურებული იქნა თფილისში 1919 წ. 12 მარტს დამფუძნებელი კრების მიერ. ამ კრების მიერ არჩეულ კომისიას დაევალა ახალი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. 1921 წ. 22 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ ხმა მისცა საბოლოო ტექსტს კონსტიტუციისას, რომელიც ამყარებდა პარლამენტარულ დემოკდემოკრატიულ რესპუბლიკას. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა საყოველთაო, თანასწორ პირდაპირ, ფარულ და პროპორციულ კენჭის ყრით არჩეულ პარლამენტს (მ.4) აღმასრულებელი ხელისუფლება– „რესპუბლიკის მთავრობას" (მ.66.), რომლის თავმჯდომარეს პარლამენტი ირჩევდა, ხოლო დანარჩენ წევრებს იწვევდა თვით თავმჯდომარე ( მმ.67 -68 ); მთავრობა სოლიდარულად პასუხს აგებდა პარლამენტის წინაშე ( მ.73); ბოლოს, თავი მეთოთხმეტე აწესრიგებდა უმცირესობათა უფლებებს. ის მათ ანიჭებდა უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ამას ითვალისწინებდა 1919 წლის საერთაშორისო ხელშეკრულობა უმცირესობათათვის ახლად შექმნილ სახელმწიფოებში.. კონსტიტუციას გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე დამოუკიდებელი სამოსამართლო ხელისუფლება ( მ.მ. 76 -83 ).

მაშასადამე, საქ-ს სახელმწიფოს არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს შინაგანი საზოგადოებრივი უფლების თვალსაზრისით; საერთაშორისო საზოგადოებრივი თ უფლების თვალსაზრისით კი, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ აქტებს 1918 წლიდან მოყოლებული, რომლებმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბეს საქ-ს მდგომარეობა; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ესაა დადგინდეს მისი მდგომარეობა რუსეთის მიმართ. უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ: როცა საქართველო რუსეთს გამოეყო, მან მხოლოდ ისარგებლა საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციით, რომლის მიხედვით, რუსეთის იმპერიის ყველა ხალხს ეძლეოდა უფლება ეროვნული თვითგამორკვევის, თვით გამოყოფამდე იმ სახელმწიფოდან, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ.

მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ესაა ხელშეკრულობა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის , 1920 წ. 7 მაისის. მისი პირველი მუხლით, „რუსეთი ურეზერვოდ ცნობს საქ-ს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომლებიც ეკუთვნოდენ რუსეთს ქართველი ხალხისა და ქართული მიწა-წყლის მიმართ." 1920 წ. ხელშეკრულობის მეორე მუხლი არანაკლებად დამარწმუნებელია: „რუსეთი, ვკითხულობთ იქ, ემყარება რა ამ ხელშეკრულობის წინ წამძღვარებულ პრინციპების პირველ მუხლს, ვალდებულებას ღებულობს ხელი აიღოს ყოველგვარი ჩარევისაგან საქ-ს შინაურ საქმეებში."

ცხადზე უცხადესია: რუსეთმა ფორმალურად იცნო საქართველო, როგორც სრულიად სუვერენული სახელმწიფო და ვალდებულება აიღო პატივი სცეს მის დამოუკიდებლობას. ჩვენ ახლავე ვნახავთ თუ როგორ შეასრულა მან ეს მისი დაპირებები, მაგრამ მის მიმართ ყოველშემთხვევაში, საქ-ს იურიდიული მდგომარეობა იყო შეუბღალავი.

რუსეთისაგან ამ ცნობას მოჰყვა, ან წინ უსწრებდა სხვა სახელმწიფოების მიერ საქ-ს ცნობა, კერძოდ ალიებისაგან და მათი მოკავშირეებისაგან. საქ-ს დამოუკიდებლობა იცნო de facto 1920 წ. იანვრის 11-ს ვერსალის კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ, ე.ი. საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, ბელგიამ და იაპონიამ. 1921 წ. 27 იანვარს კი იმავე უმაღლესმა საბჭომ საქ-ლო იცნო de jure (თუ რა განსხვავებაა de facto და de jure-ს ცნობას შორის იხ. ჩემი „Precis de Droit international, №597, note1, in fine.). საქ-ს დამოუკიდებლობა იცვნეს აგრეთვე სხვა სახელმწიფოებმაც, სახელდობრ: პოლონეთმა, რუმინეთმა, ლიუქსემბურგმა, გერმანიამ, ავსტრიამ, არგენტინამ, მექსიკამ, პანამამ, ჰაიტიმ, ოსმალეთმა, სიამმა, ლიბერიამ.

ერთა ლიგის კრების პირველ სესიაზე **1920** წ. განხილული იქნა საკითხი საქართველოს ამ საზოგადოებაში მიღების შესახებ. საქ-ს დელეგაციამ კონფერენციაზე წარმოადგინა, საქ. მთავრობის სახელით, თხოვნა ერთა ლიგის წევრობაზე, **1919** წ. **26** მაისს. ამ საკითხის განხილვის დროს, როგორც მეხუთე კომისიაში, ისე ლიგის საერთო კრებაზე ლიგის არც ერთ წევრს არ გამოუცხადებია პრინციპიალური წინააღმდეგობა საქართველოს მიღების შესახებ. კრებამ მაინც, თანახმად კომისიის წინადადებისა, გადაწყვიტა საქმის გადადება. გადადების აზრი იყო ის, რომ საქართველო, როგორც მეზობელი რუსეთის(საბჭოთა), რომელიც, ერთა ლიგის გავლენის გარეშე იყო, საფრთხეში იმყოფებოდა რუსეთის აგრესიულობით. ე. ლიგის პაქტის მეათე მუხლის ძალით, რომელიც უზრუნველყოფს ლიგის ყველა წევრის ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ერთა ლიგა ვალდებული იქნებოდა დახმარება აღმოეჩინა საქ-სათვის განსაცდელის დროს. ხოლო ლიგას არ მოეპოვებოდა საშუალება ეფექტიური დახმარების აღმოსაჩენად, და ეს შეუძლებლობა ზიანს მიაყენებდა მის(ლიგის) ავტორიტეტს.

რადაც არ უნდა ღირდეს ეს მოსაზრება, რომელიც შეიძლებოდა მოყვანილი ყოფილიყო ყველა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ გარდა საქართველოსი–მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მიღება არ ყოფილა საბოლოოდ უარყოფილი, არამედ ის იყო უბრალოდ გადადებული. კრების საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში, საქართველოსთვის ცნობილი იყო, თუ ის ამის სურვილს გამოთქვამდა, უფლება ისეთივე წესით ესარგებლა, როგორც ლიგის წევრებს ქენევის ორგანიზმის ტექნიკურ ორგანიზაციების წარმომადგენლობებში, კერძოდ შრომის საერთაშორისო კონფერენციის შემადგენლობაში.(*J.O. de la S.D.N. Actes 1920. p.634.*)

მაშასადამე, საქართველოს იურიდიული მდგომარეობა, მისი სრული დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში, საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით იყო ისევე ნათელი როგორც შინაგან საზოგადოებრივი უფლების თვალსაზრისით. უცხო სახელმწიფოთა უმრავლესობის ცნობამ, საქართველო შეიყვანა ხელახლა ერთა ოჯახში; იგი კვლავ გახდა პიროვნება სუვერენ ერთა.

მაგრამ ეს მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. რუსეთი, დაარღვია რა **1920** წ. **7** მაისის ხელშეკრულობა, რომლითაც ის ცნობდა საქ-ს სუვერენობას და ხელს იღებდა მის შინაურ საქმეებში ჩარევიდან, ხელახლა თავს დაესხა მას: **1921** წ. **11** თებერვალს რუსთა ჯარები შეიჭრენ საქ-ში; გააფთრებული წინააღმდეგობის შემდეგ, რომელიც ხუთი კვირე გაგრძელდა, **1921** წ. **20** მარტს წითელმა არმიამ დაიპყრო მისი ტერიტორია და ეს დაპყრობა გრძელდება დღემდე. ამრიგად რუსეთმა ორჯერ დაარღვია რეგულიარულად დადებული ხელშეკრულებები, და თუ ძველ იმპერიას **1801** წ. შეეძლო მოემიზეზებია საქ-ს სისუსტე, რომლის დაცვაც სწორედ მას ევალებოდა, საბჭოთა როსეთს ამის თქმაც არ შეეძლო, რადგანაც იმ დროს საქართველოს სხვა მეზობლის საშიშროება არ ჰქონებია, გარდა თვით რუსეთისა.

## 4

ახლა განვიხილოთ საქ-ს იურიდიული მდგომარეობა, ისე, როგორც ის დღეს წარმოგვიდგება. იგი ცოტა უფრო რთულია საერთაშორისო საჯარო უფლების თვალსაზრისით, ვიდრე ის იყო **1801** წლის ანექსიის შედეგად. სანამ გავარკვევდეთ მის ამ მდგომარეობას, საჭიროა შეინიშნოს: რუსეთის ოკუპაციის ფაქტი არასოდეს არ ყოფილა კანონიერად ცნობილი ქართველი ხალხის მიერ. ამის დასამტკიცებლად შეიძლება რამდენიმე ფაქტის დასახელება: თავდაპირველად ერთი არა პირდაპირი გამომდინარეობს იქიდან, რომ რუსები იძულებულნი არიან საქ-ში იყოლიონ დიდძალი ჯარები; ეს ფაქტი კარგად უჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ძალის საშუალებით არსებობს. კიდევ მეტი, როცა საქ-ს ეროვნული მთავრობა შეეცადა საკითხი შეთანხმებით მოგვარებულიყო –არბიტრაჟით, ან პლებისციტით–საქ-ს კომუნისტურმა მთავრობამ ყოველთვის უარყოფითად უპასუხა. მაგრამ ყველაზე პირდაპირი საბუთია **1924** წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყება, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა და, რომელიც მხეცურად იქნა ჩახშობილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მიუხედავად ამისა, ამის შემდეგაც სახალხო აჯანყებები რუს ოკუპანტების წინააღმდეგ არასოდეს არ შეწყვეტილა; მან მიიღო თითქმის საყოველთაო და მუდმივი ხასიათი **1929** წლიდან, კავკასიაში კოლექტივიზაციის დაწყების მომენტიდან; პარტიზანული ბრძოლები განსაკუთრებით გამრავლდა **1931**-ში; ეს მოძრაობა, რომელიც არ ცხრება ქვეყნის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში, რა თქმა უნდა, იწვევს საბჭოთა ხელისუფლებისაგან ახალ-ახალ რეპრესიებს.

ახლა შევეხოთ საქ-ს დღევანდელ იურიდიულ მდგომარეობას საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით. ეს მდგომარეობა, როგორც უკვე ვთქვით, უფრო რთულია, ვიდრე **1801**-ს შემდეგ;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსების ანექსიის შემდეგ საქ–ო აღარ იყო მთლად საერთაშორისო უფლების პიროვნება. მთლად ასე არ არის ამჟამად. მართალია, რომ საქ–ო ძალით იქნა გასაბჭოებული რუსეთის მიერ, და ამჟამად ის შედის, როგორც რესპუბლიკა, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში.[ამ საკითხზე საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ს.ს.რ.კ. კონსტიტუციის მეოთხე მუხლს, რომელიც კავშირის წევრ რესპუბლიკებს უტოვებს უფლებას კავშირის თავისუფლად დატოვებისა. **1924**-ში, ქართველმა ხალხმა აშკარად გამოაცხადა კავშირიდან გამოსვლის თავისი სურვილი და თავისუფალი თვითმმართველობის ნება-სურვილი. ეს სურვილი ჩაკლული იქნა რუსეთის სამხედრო ინტერვენციით. მაშ რაღა მაქნისია მუხლი **4**. ეს ერთი იმ კითხვათაგანია, რომელიც ყველაზე ცხადად გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კონსტიტუციის ყველა მუხლი იმისთვის არ არსებობს რომ ცხოვრებაში იყოს გატარებული.] მაგრამ ეს ნაძალადევი გასაბჭოება არ ყოფილა ცნობილი უმრავლესი უცხო სახელმწიფოების მიერ, ზოგიერთ მათგანში ძველი საქ–ს სახელმწიფო აგრძელებს წარმომადგენლობას; კერძოთ ის არის საფრანგეთის მთავრობასთან წარმოდგენილი ლეგაციით პარიზში; მაშასადამე ცხადია, რომ საფრანგეთს არასოდეს უცვნია საბჭოთა ძალების მიერ საქ–ს ოკუპაცია.

როცა საკითხი დაისვა ზოგიერთ სახელმწიფოს მიერ სსრკ–ს ცნობისა, რუსეთი შეეცადა ეცნოთ მისი სუვერენობა საქართველოზე, მაგრამ ეს მოთხოვნა არასოდეს ყოფილა დაკმაყოფილებული უცხოეთის სახელმწიფოების მიერ. დიდმა ბრიტანეთმა როცა ს.ს.რ.კ. იცნო, თავის ნოტაში მან შემდეგი ტერმინები შეიტანა: „ბრიტანეთის მთავრობა ცნობს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს როგორც მთავრობას **დე იურე** ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომელნიც ცნობენ მის ხელისუფლებას“. ეს რეზერვი გარკვევით გულისხმობს საქ–ს, სადაც ხალხმა არამც თუ არ მიიღო საბჭოთა ხელისუფლება, არამედ მუდმივ აჯანყებაშია მის წინააღმდეგ. ნოტა, რომლითაც საფრანგეთის მთავრობამ **დე იურეთი** იცნო ს.ს.რ.კ.–ს მთავრობა ნათქვამია: „ცნობს მას როგორც ყოფილ რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიების მთავრობას, სადაც მისი ხელისუფლება მიღებულია მცხოვრებლებისაგან.“ ამის გარდა ის შეიცავს კიდევ უფრო გარკვეულ რეზერვს საქართველოსა და ბესარაბიის შესახებ, რომლის მიხედვით საბჭ. კავშირის ცნობა „ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას“.

რომ აქ სწორედ საქ–ა ნაგულისხმები, ამას ამტკიცებს **ერიოს** გამოსვლა საფ. დეპ. პალატაში **1922** წ.: „საქ–ს სუვერენობა გადაჭრით იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, იგი იცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულობით რუსეთმაც. ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს კეთილი ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას“. პუანკარემ ამ კითხვაზე სრულიად ნათელი პასუხი გასცა: „პატივცემულმა ერიომ თვითონ გამოთქვა მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს საქ–ს სახელმწიფოს მიმართ, უკანასკნელს ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარიზში, რომლისთვის ღიაა ჩვენი საგარეო სამინისტროს კარები“(იხ. *J.O. 2 avril 1922, pp. 1357, 1359 - 1360*).

მართლაც **1921** წ. **25** თებერვლიდან, როცა საქ–ს რესპ. სრულუფლებიანმა მინისტრმა თავისი რწმუნებულების ქაღალდები წარუდგინა საფ. რესპ. პრეზიდენტს, საქ–ს ლეგაცია დაარსებულია პარიზში. რადგან ს.ს.რ.კ.–ს **დე იურე** ცნობა საფრანგეთის მიერ „ვერ შეეხება ვერც ერთ უკვე ნაკისრ ვალდებულებას“, ნიშნავს იმას, რომ იგი ვერ შეცვლის საქ–ს ცნობას საფრანგეთის მიერ, რომელიც მასზე ადრე მოხდა. ამ ცნობამ (საქართველოსი), რომელსაც არავითარი პირობა არ ახლდა, საფრანგეთს დააკისრა ამიერიდან ახალი სახელმწიფო მიიღოს როგორც საერთაშორისო უფლების სუვერენული პიროვნება.

კიდევ მეტი, საქ–ს ცნობა დადასტურებული იყო ნათლად მრავალი საერთაშორისო აქტით ალიებისა და მათი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ. რუსეთის წარმომადგენელი ორჯერ შეეცადა დაშვებული ყოფილიყო საერთაშორისო კონფერენციაზე როგორც საქართველოს წარმომადგენელი, ორჯერვე უნაყოფოდ. პირველად–გენუის კონფერენციაზე **1922** წ. საფრანგეთის მთავრობა საფრანგეთის დელეგაციისადმი, რომლის თავმჯდომარე იყო **ლუი ბარტუ**, მიცემულ ინსტრუქციებში აღნიშნავს სპეციალურად, რომ რუსეთის დელეგატები არ უნდა ყოფილიყვნენ მიღებულნი საქ–ს წარმომადგენლებად. საფრანგეთის დელეგაციის თვალსაზრისი გაიზიარეს ბრიტანეთის და სხვა დელეგაციებმა და რუსეთის დელეგაციის ყოველმა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა.

ასევე ჩაიშალა იგივე ცდა ლოზანის კონფერენციაზე **1922 - 1923**-ს. თვით რუსეთის დელეგაციის მოთხოვნით საქართველოს და უკრაინის სახელები შეტანილი იქნენ კონფერენციის პროტოკოლებში, მაგრამ იქვე განმარტებული იყო კონფერენციის მთავარი მდივნის, ბ. მასილის მიერ კონფერენციის თავმჯდომარეებთან შეთანხმებით, რომ ეს შეტანა არ უნდა იყოს

გაგებული თითქოს უკრაინა და საქართველო წესიერად არიან წარმოდგენილი კონფერენციაზე (ბ. მასილის წერილი რუსეთის დელეგაციის მდივნის საბანინის მიმართ მოთავსებულია ლოზანის კონფერენციის პროტოკოლებში).

გარდა ამისა, ლონდონის, რომის და პარიზის მთავრობების მოთხოვნით, სრუტეების შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა მხოლოდ რუსეთის სახელით. აღვნიშნავთ ბოლოს, რომ სრუტეების შეთანხმებამ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების წინადადებით ერთი ადგილი საქართველოსთვის შეინახა საკონტროლო კომისიაში. საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებმა არა ერთხელ დაადასტურეს თავიანთი სურვილი, რომ საქართველო იყოს დამოუკიდებელი. ამით მათ უარყვეს იცნონ ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საქართველოში საბჭოთა შემოსევის შედეგად. ერთა ლიგასაც აგრეთვე ხშირად მოუწია დაკავებული ყოფილიყო საქართველოს საკითხით; სახელდობრ მესამე კრებამ ერთხმად მოიწონა ბელგიის წარმომადგენლის წინადადებით შემდეგი რეზოლუცია: „ერთა ლიგამ განიხილა რა საქართველოს მდგომარეობა, მოუწოდებს საბჭოს დაბეჯითებით ადევნოს თვალყური ამბებს ამ მხარეში ქვეყნისა, რომ ისარგებლოს შემთხვევებით, რომლებიც შეიძლება მოხდნენ და დაეხმარონ მშვიდობიანი საშუალებებით და საერთაშორისო უფლების წესების თანახმად, რათა ეს ქვეყანა დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას.“

უფრო გვიან, **1924**-ში, იმ დროს როცა მიმდინარეობდა ერთა ლიგის მეხუთე კრება, იფეთქა ქართველების აჯანყებამ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. საფრანგეთის წარმომადგენლის, ბ. პოლ-ბონკურის ინიციატივით, საფრანგეთის, ბრიტანეთის და ბელგიის დელეგაციებმა რეზოლუცია შეიტანეს საქართველოს შესახებ. რომელიც ერთხმად იყო მიღებული ლიგის კრების მიერ **1924** წლის **25** სექტემბერს. ეს რეზოლუცია ანახლებს **1922** წლის **22** სექტემბრის რეზოლუციას; იგი მოუწოდებდა ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს ეთანამშრომლათ საბჭოსთან, მიეწოდებინათ მისთვის ცნობები და გარემოებისა და საშუალების მიხედვით დახმარებოდენ მათი მშვიდობიანი საშუალებებით.

ყველა ეს საერთაშორისო აქტი, რომლითაც ზოგიერთმა სახელმწიფომ ან თვით ერთა ლიგამ აღნიშნა თავისი უარი საქართველოში შექმნილი ფაქტიური მდგომარეობის მიმართ, რომელიც უდავოდ და სრულიად ეწინააღმდეგება საქართველოს უფლებებს,–აქვთ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. მათი გახსენება შეიძლება ყოველთვის, როცა საკითხი დაისმება რუსეთის ერთა ლიგაში მიღებისა. მაშინ ძნელი იქნება ერთა ლიგისათვის, საქართველოს სასარგებლოდ ამდენი რეზოლუციის მიღების შემდეგ, გვერდი აუაროს საქართველოს დამოუკიდებლობას და მისი ცნობა არ აიძულოს რუსეთს, როგორც მისი მიღების პირობა. [მომჭირნეობის თვალსაზრისით, აქ გამოვტოვებთ დაახლოებით ორ გვერდს, სადაც პროფ. **ლო ფიურ** აანალიზებს იმდროინდელ, როცა მისი სტატია იწერებოდა, საფრანგეთ-რუსეთის და საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობას და ასკვნის, რომ თავდაუსხმელობის პაქტი საფრანგეთ-ს.ს.რ.კ.–ს შორის, რომელიც ჯერ მხოლოდ პროექტია, თუ ოფიციალურად დაიდება, მაშინ საღი იურიდიული ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ მას არ მიეცეს ისეთი აზრი, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება საფრანგეთის მთელ წინანდელ მოქმედებასთანო. **თ.ტ.** ]

ყველა ამ მოსაზრების გამო უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობა შემსეველი სახელმწიფოსი საქართველოს მიმართ წარმოადგენს წმინდა ფაქტის მდგომარეობას, კიდევ უკეთ,–ძალადობის ფაქტის მდგომარეობას, რომელიც დაგმობილია თანამედროვე საერთაშორისო უფლების მიერ. საქართველოს დამოუკიდებლობა განაგრძობს არსებობას უფლებრივად; ის მოწოდებულია გაცოცხლდეს მაშინვე, როგორც კი მოისპობა ის ფაქტიური დაბრკოლება, რომელიც მას წინ ეღობება.

საქართველო მუდამ შემჭიდროვებული იყო მის დამპყრობელთა წინააღმდეგ; თუ ის გააგრძელებს მის ერთსულოვან წინააღმდეგობას, ისე, როგორც ის ამას აკეთებს აქტებით და არა მხოლოდ სიტყვიერად, მაშინ მისი ბედი იქნება, იმედი უნდა ვიქონიოთ, იგივე, რაც ყველა სხვა ხალხის, რომელთაც ერთსულოვნად სურდათ დამოუკიდებლობა; იშვიათია, რომ ის ადრე თუ გვიან გამარჯვებით არ დაგვირგვინდეს. გასულ საუკუნეში საბერძნეთი და ბალკანეთის და დუნაის სახელმწიფოები იძლევიან იშვიათ მაგალითს; ამ საუკუნეში, რომელიც მხოლოდ იწყება, ადგილი ჰქონდა აგეთვე პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ირლანდიის და ეგვიპტის დამოუკიდებლობას. უნდა ვუსურვოთ რომ დაუგვიანებლად ამ უკვე გრძელ სიას, მაგრამ არა სრულს, მიემატოს კიდევ ერთი ახალი სახელი, სიას იმ ერებისას, რომლებმაც მეტი თუ ნაკლები პერიოდის განმავლობაში უცხოთა მიერ დაპყრობილებმა აღიდგინეს თავიანთი დამოუკიდებლობა.

ლუი ლო ფიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

*[შ ე ნ ი შ ვ ნ ა. *Prof. Louis Le Fur : „La Georgie et le Droit des Gens"*, პირველად გამოქვეყნდა *„Revue Generale de Droit International Public"*-ის **1932** წ. ივლის-აგვისტოს ნომერში, სტატიის სახით. იმავე წელს ცალკე წიგნაკად გამოსცა პარიზში გამომცემელმა *.A. Pedone. 13, Rue Soufflot.* იგი მაშინვე ქართულად უთარგმნიათ და **1933**-ში წიგნაკად გამოუციათ. როცა ეს უკანასკნელი ხელში ჩავიგდეთ, პროფ. ლო ფიურის ნაშრომი უკვე მთლიანად ნათარგმნი და სანახევროდ აწყობილი გვქონდა. შედარებისას აღმოვაჩინეთ, რომ თუმცა თარგმანი, რომლის ავტორის ვინაობა ჩვენთვის უცნობია, მაღალ დონეზეა შესრულებული, მასში ზოგჯერ არ არის დაცული ორიგინალის ნიუანსები, რამაც კიდევ უფრო გადაწონა იმის სასარგებლოდ, რომ ჩვენეპური თარგმანით დაკმაყოფილდა. თუ ზოგიერთი იურიდიული ტერმინი სათანადოთ ვერ გადმოვაქართულეთ, მკითხველისაგან წინასწარ შენდობას ვითხოვთ. ჩვენ არც ამ დარგის სპეციალისტი ვართ და არც სათანადო ლექსიკონზე მიგვიწვდებოდა ხელი.

ჩვენი განსჯის მიხედვით, პროფ. ლო ფიურის ამ შრომაში დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა გაანალიზებული არა მარტო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის დადებიდან 200 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მას ვაქვეყნებთ, არამედ აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და აქედან გამომდინარე საქართველოს უფლებრივი მდგომარეობა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით, ტრაქტატიდან მოყოლებული 1932 წლამდე. ამ შრომაში გარჩეული ფაქტები და გამოტანილი დასკვნები დღესაც ინარჩუნებენ დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებებს; მით უმეტეს, რომ მის შემდეგ საქართველოს მდგომარეობა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით არ შეცვლილა; ამიტომაც , ამ ნაშრომის ხელახლად გამოქვეყნება მიზანშეწონილად ჩავთვალეთ. დასასრულს, ბბ. ლევან ფაღავას და მამია ბერიშვილს უმორჩილეს მადლობას მოვახსენებთ. პირველს ამ ფრანგული წიგნაკის, მეორეს კი **1933** წ. გამოცემული ქართული თარგმანის მოწოდებისათვის. **თ.ტ.** ]

***  ***  ***

## გ ე ო რ გ ი ე ვ ს კ ი - 200
## რ უ ს ე თ - ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ურთიერთობის 400 წ ლ ი ს გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი

გეორგიევსკის ხელშეკრულობის ხელმოწერიდან 200 წლის შესრულებასთან დაკავშირებით საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ჩვენს სამშობლოში გაჩაღებული საპროპაგანდო კამპანია ჩვენც, გადმოხვეწილობაში მცხოვრებ ქართველებს, არა პირდაპირ გვავალდებულებს ჩვენი აზრი საჯაროდ გამოვთქვათ ამ ორმხრივი საერთაშორისო დოკუმენტის სიავკარგეზე, მიზანშეწონილებაზე და იმ შედეგებზე, რომლებიც მის დადებას მოჰყვენ.

ფრანგი სწავლულის, პროფ. **ლუი ლო ფიურის** სრულყოფილი ნარკვევის აქვე ხელახლად გამოქვეყნების შემდეგ, თავისთავად ცხადია, მკითხველებს აღარ შევაწყენთ, არც თვით ტრაქტატის, და არც საერთოდ რუსეთ - საქართველოს ორასი წლის ურთიერთობის იურიდიული საკითხების გარჩევით.

ჩვენ განზრახული გვაქვს აქ ვისაუბროთ არა მარტო გეორგიევსკის ტრაქტატზე და მის შედეგებზე, არამედ საერთოდ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვან ეტაპებზე, რა თქმა უნდა ძალიან შემოკლებით, რომელსაც ზუსტად 400 წლის ისტორია აქვს.

სანამ ჩვენს საგანს შევეხებოდეთ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ჩვენი სამშობლო ამჟამადაც რუსეთის მპყრობელობაშია და, მაშასადამე, ყოველგვარი ლაქუცი, პირფერობა და პირმოთნეობა რუსების მიმართ იქნებოდა ჩვენის მხრით მონური სულმდაბლობის გამოვლინება.

მაგრამ, ჩვენ არც ის გვსურს, რომ ჩვენმა სამართლიანმა მრისხანებამ წონასწორობა დაგვიკარგოს, თეთრი და შავი ველარ ან აღარ გავარჩიოთ და ყველა და ყველაფერი მრუდე, მტრული სასწორით ვწონოთ. კიდევ მეტი, კრემლის აპოლოგეტებმა რომ ანტირუსული და ანტისაბჭოური წყაროებით სარგებლობა არ გვიკიჟინონ, ჩვენს საუბარში ძირითადათ გავყვებით საქართველოში დღეს მიღებულ სახელმძღვანელოს, **„საქართველოს ისტორიის ნარკვევები"**-ს მეოთხე ტომს, რომლის რედაქტორია პროფ. **მამია დუმბაძე,** ხოლო მთავარი რედაქტორია, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ლენინის ორდენოსანი, აკადემიკოსი **გიორგი მელიქიშვილი.** ბ. გიორგი მელიქიშვილი რომ საბჭოთა ხელისუფლების დიდი ნდობით არ სარგებლობდეს, მას არც ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობას მიანდობდენ და არც ლენინის ორდენით დააჯილდოვებდენ

მიუხედავათ ჩვენი ასეთი წინასწარგანწყობისა, მკითხველი თითქმის ვერსად შეხვდება რუსეთის სახელმწიფოს იმ კეთილშობილების მაჩვენებელ ადგილს რომლითაც მას ამკობენ თეთრი თუ წითელი იმპერიის აპოლოგეტები.

გეორგიევსკის ტრაქტატის პრეამბულის საწინააღმდეგოდ, რუსეთის იმპერია დევნილ და შევიწროებულ ქრისტიანთა თავშესაფარი როდი იყო, არამედ უსულგულო ურჩხული, რომელიც ყველაფერს ნთქავდა, რაც კი წინ დაუხვდებოდა, განურჩევლად ფერისა, სუნისა და გემოსი და იგი არად დაგიდევდათ უმტკივნეულობასა და უვნებლობას მისთა მსხვერპლთა, არამედ—საკუთარი ხახისას და სტომაქისას. საჭირო იყო საქართველოს მესვეურთა დიდი სიფრთხილე, რათა ურჩხულის ღია ხახაში არ ჩავვარდნილიყავით. მათ ეს ვერ გამოიჩინეს.

იმპერიის უძირო მუცელში ერთად ცვივოდენ სლავიანი და არასლავიანი ქრისტიანი ხალხები და კავკასიელი თუ შუააზიელი მაჰმადიანი ხალხები, ამიტომ სასაცილოა ანტიქრისტე პროპაგანდისტების მტკიცება: ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთება, მიუხედავათ ხელისუფლების მიერ წარმოებული იმპერიალისტური და ასიმილაციური პოლიტიკისა, დიდი ბედნიერება იყო.

## გეოპოლიტიკა *

მე-**16**-**17**-**18**-ე სს. საქართველოს ისტორიას როცა ვეცნობით, თვალში გვეცემა ის ფაქტი, რომ ქართველი მეფე-მთავრები მეტად ხშირად მიმართავენ რუსეთს დახმარებისათვის. ეს მიდრეკილება კიდევ უფრო ძლიერდება მთელი მე-**18**-ე საუკუნის განმავლობაში. რაშია საქმე? რატომაა ასეთი დაჟინებული და მუდმივი ლტოლვა მაინცდამაინც რუსეთისაკენ? ზოგიერთი საკითხს მარტივად ხსნის—რელიგიის ერთობით. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მართლაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს რუსეთთან დაახლოებაში, მაგრამ გადამწყვეტი მაინც იყო ამ ორი ქვეყნის გეოპოლიტიკა. განვმარტოთ.

**1453** წელს კონსტანტინეპოლის აღებით, ოსმალეთმა დასავლეთ ევროპის გზა გადაუკეტა საქართველოს. მიუხედავათ ამისა ქართველი მეფეები მაინც ახერხებენ თავიანთ ელჩების გაგზავნას დასავლეთის ქრისტიან მეფეთა კარზე (ნიკიფორე ირბახის და სულხან-საბას ელჩობები), მაგრამ ამაოდ: ქრისტიანობის საშველად მეტად კათოლიკე დასავლეთის მეფეები არც ოსმალეთს და არც სპარსეთს ომს არ გამოუცხადებენ, ეკონომიური ინტერესი იქ არ გააჩნიათ, ხოლო აღმოსავლეთთან სავაჭრო გზა, რომელიც წინად საქართველოზე გადიოდა, ამ დროს მისგან დიდათ დაშორებულია. ამის გარდა, დასავლეთ ევროპის ყურადღება და ენერგია დაკავებული აქვს ახალი მსოფლიოს—ამერიკის კოლონიზაციას.

მე-**15**-ე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ქართული მიწა-წყალი განიცდის ორი ძლიერი მეზობელი იმპერიალისტური სახელმწიფოს, სპარსეთისა და ოსმალეთის განუწყვეტელ შემოსევებს და ხშირ და ხანგრძლივ დაპყრობებს. საქართველო საბოლოოდ ნაწილდება სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ცხადია, ამით გარეშე მტრებთან ბრძოლა კიდევ უფრო ძნელდება. გაუთავებელი აჯანყებების და საგარეო ომებით ქართველი ხალხი თანდათან სისხლისგან იცლება, ეროვნული მიწა-წყალი კი შაგრენის ტყავივით იკუმშება. რა გასაკვირველია თუ ასეთი გასაჭირის დროს ქართველი ხელისუფლები ჰორიზონტებს გულმოდგინედ ჩხრეკენ მეშველის აღმოსაჩენად. დასავლეთიდან, როგორც ვთქვით, არავითარი იმედია. რჩება ჩრდილოეთი.

საკვირველი სიმეტრიაა: ქრისტიანული ბიზანტია დაემხო, ქრისტიანული საქართველო, კავკასიის მთებზე მიმწყვრეული სადაც არის უნდა ჩაიძიროს მაჰმადიანურ ზღვაში და სწორედ ამ დროს, შორს ჩრდილოეთში იწყებს ამოსვლასა და ზრდას მოსკოვის სამთავროს მზე.

მონღოლთა უღლისაგან მოსკოვის სამთავრომ თავი მხოლოდ მე-**15**-ე საუკუნის დასასრულს გაინთავისუფლა. **1547** წელს, მრისხანედ წოდებული, მოსკოვის დიდი მთავარი ივანე მეოთხე ცარის ( ცეზარის) ტიტულს ითვისებს და მოსკოვს მესამე რომად აცხადებს. **1552** წელს ის ყაზანის სახანოს იკავებს, **1556** წელს—ასტრახანის სახანოს, კასპიის ზღვაზე გამოდის,

---

*სწავლება სახელმწიფოთა გეოგრაფიისა და პოლიტიკის ბუნებრივ მონაცემებს შორის ურთიერთობისა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია **გეოპოლიტიკას** განმარტავს, როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის დოქტრინას, რაც აბსურდია. გ.წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიას თერგის შესართავთან უმეზობლდება და 1557 წ. მფარველობაში აყავს ყაბარდო. რუსეთის სამხედრო ექსპანსია კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ, რა თქმა უნდა, მიმართულია სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

მოსკოვის სახელმწიფო მეორე მხრით წინ მოიწევს შავი ზღვის სანაპიროებისაკენ (როსტოვის აღება 1574 წ.) და ემუქრება არა მარტო ოსმალეთის ბატონობას ამ ზღვაზე და კავკასიაში, არამედ საზოგადოდ ამ იმპერიის არსებობასაც.

ამგვარად ინასკვება რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოების საერთო გეოპოლიტიკა: სპარსეთისა და ბრწყინვალე პორტას იმპერიების დასუსტება, ანდა სრულიად დამხობა.

სანამ მოსკოვის სახელმწიფო იმ მსოფლიო ვეშაპად არ ქცეულა, როგორც ის იქცა მე-19-ე საუკუნეში, მანამ ის ბუნებრივი და პოტენციალური მოკავშირეა ქართველი ერის, რომელიც უკანასკნელი ენერგიით იცავს თავის ეროვნულ მეობას. რელიგიის ერთობა რომ არ ყოფილიყო, საერთო გეოპოლიტიკით გამოწვეული ურთიერთ ლტოლვა მაინც იარსებებდა, სარწმუნოების ერთობა კი ამ ლტოლვას კიდევ უფრო აძლიერებს.

საქართველოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის. რუსეთსაც დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო საქართველოსთვის თუ იგი ლოიალური და ერთგული მოკავშირე იქნებოდა. სამწუხაროდ, იგი ასეთი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ამის გათვალისწინება იმ ხანად ალბათ შეუძლებელი იყო, მაშინ, როცა გეოპოლიტიკა ინსტიქტიურად მოქმედებდა და ჩვენი სამშობლოს მეფე-მთავრებს რუსეთისაკენ წამდაუწუმ ხელებს აშვერინებდათ დასახმარებლად.

## კახეთ–რუსეთის ურთიერთობა (1580 - 1630 წწ.)

საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის კახეთს პირველობა ეკუთვნის რუსეთის სამეფოსაკენ გზის გაკვლევისა და პირველი აუნაზღაურებელი მსხვერპლიც ამის გამო მან გაიღო.

მე-16-ე საუკუნის მეორე ნახევარში კახეთი ყველაზე ხალხმრავალი და ყველაზე მდიდარი ჩანს ქართულ სამთავრო-სამეფოებს შორის. მაშინ, როცა ქართლი სისხლისაგან იცლებოდა ოსმალეთის და განსაკუთრებით სპარსეთის წინააღმდეგ წარმებულ ომების გამო, კახეთის მეფე ლევანის და ალექსანდრე მეორის მოქნილი პოლიტიკის შედეგად კახეთში მშვიდობა სუფევდა. კახეთი სპარსეთის ვასალი ქვეყანა იყო, მაგრამ ეს უკანასკნელი მცირე ხარკით კმაყოფილდებოდა და ქვეყნის შინაურ საქმეებში სრულებით არ ერეოდა. კახეთში 500.000 მცხოვრებზე მეტი ცხოვრობდა. მევენახეობა-მეხილეობის გარდა მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ ისე ფართოდ, რომ საზღვარგარეთაც ბევრი გაჰქონდათ გასაყიდად. ს.ი.ნ.*–ს მიხედვითაც, „კახეთი მეთექვსმეტე საუკუნის განმავლობაში საქ–ს სხვა ნაწილებთან შედარებით მდიდარი და დაწინაურებული ქვეყანა იყო." (ტ.4, გვ.119); უკვე ამ დროს კახეთს აწუხებდა ლეკთა ყაჩაღური შემოსევები. კახეთის მეფეებს სურდათ ლეკთა ალაგმვა, რამაც მთავარი როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს დაახლოების საქმეში. 1563 წელს კახეთის მეფე ლევანი ელჩებს აგზავნის მოსკოვში, რასაც რუსეთის მთავრობამ დადებითად უპასუხა, მაგრამ პრაქტიკულად შედეგი არ მოჰყოლია იმჟამად ოსმალეთის, ყირიმის ხანის და სპარსეთის პროტესტების გამო.

რუსეთ –კახეთის დიპლომატიური ურთიერთობა მაინც განახლდა შემდეგ, ლევან მეფის მემკვიდრის ალექსანდრე მეორის დროს. ალექსანდრე მეფეც მამასავით ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებდა, მაგრამ ბოლოს სამი დიდი ანტაგონისტური სახელმწიფოს მფარველობაში გაჰყო თავი, რამაც კახეთი დაღუპვამდე მიიყვანა.

1585 წელს რუსეთის მთავრობის დავალებით კახეთს დასაზვერად ესტუმრა ასტრახანის მეთოფეთა ასმეთაური დანილოვი. მან თევდორე მეფის სიგელი ჩამოუტანა კახთა მეფეს. ალექსანდრე ამან გაახარა, იმედი მიეცა, რომ საშამხლოს ალაგმავდა და სეფიანთა სპარსეთის ბატონობიდანაც თავს გაინთავისუფლებდა. დანილოვს მეფე ალექსანდრემ თავისი ელჩებიც გაატანა, რომლებიც მოსკოვის სამეფო კარს 1586 წ. 9 ოქტომბერს ეწვიენ. ელჩთა ამ მისვლა-მოსვლას შედეგად მოჰყვა ალექსანდრე მეფის მიერ „ფიცის წიგნზე" ხელის მოწერა, 1587 წ. 28 სექ.–ს. ფიცის წიგნში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ცარი კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში იღებდა და ვალდებულებას კისრულობდა იგი დაეცვა გარეშე მტრებისაგან. აქედან მოყოლებული 1605 წლამდე რეგულიარულად სწარმოებდა ელჩთა მიმოსვლა და ფიცის წიგნზე დაფიცება. 1590 წლიდან მოყოლებული მოსკოვის ცარებს თავი მოჰქონდათ „ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფედ."

---

*ამ ინიციალებით ყველგან აღნიშნული იქნება საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს სპარსეთს შაჰ-აბასი განაგებდა, ნიჭიერი და ენერგიული მბრძანებელი, მაგრამ ამავე დროს დაუნდობელი და ვერაგი. აბასის წყალობით სპარსეთი საკმაოდ გაძლიერდა და დაუყოვნებლივ სასტიკი ბრძოლა გააჩაღა თურქეთის გასადევნად აღმოსავლეთ-ამიერკავკასიიდან. სანამ აბასი ოსმალეთს ეომებოდა, გასაგებია, თუ რუსეთის კეთილგანწყობილება არა, ნეიტრალობა მაინც ესაჭიროებოდა, ამიტომ კახეთ-რუსეთის ურთიერთობაზე თვალებს ხუჭავდა, მაგრამ მან კარგად უწყოდა, რომ რუსეთის გადმოშვება ამიერკავკასიაში მისთვის სასიკვდილო ლახვარს წარმოადგენდა. როგორც კი ზავი დასდვა, რომლის მიხედვითაც მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია ირანის სამფლობელოდ გამოცხადდა, შაჰ-აბასმა მაშინვე გადაწყვიტა ქართლსა და კახეთში მისი უდავო ბრძანებლობა დაემყარებინა. ქართლში ამ დროს ლუარსაბი მეფობდა, კახეთში კი ალექსანდრე პირველის შვილიშვილი, **თეიმურაზ პირველი.** პირველად **1614** წელში შეიჭრება დიდძალი ჯარებით შაჰ-აბასი კახეთში. მიუხედავათ იმისა, რომ ქართლსა და კახეთს შორის ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება არსებობდა, ცბიერი შაჰის შემოჭრა ისე მოულოდნელი გამოდგა, რომ ქართლმა მიხმარება ვერ მოასწრო და თვით თეიმურაზმაც კახელთა მხოლოდ მცირერიცხოვან მხედრობის გამოყვანა შეძლო ბრძოლის ველზე. ასეთ პირობებში საბოლოო დამარცხება გარდუვალი იყო. თეიმურაზმა მაინც ფიცხელი ბრძოლა მისცა მტერს, ალყა გაარღვია, ჯერ ქართლში ლუარსაბ მეფესთან შეაფარა თავი, მაგრამ, როცა აბასმა ქართლსაც შეუტია, ორივე მეფე იმერეთში ილტვოდა.

სამი წელიწადი გაგრძელდა კახეთის ტრაგედია. თეიმურაზ მეფეს სიკვდილივით ეშინოდა შაჰ-აბასის, მაგრამ თავს დამარცხებულად არ ცნობდა, ფარხმალს არ ჰყრიდა, სპარსეთის წინააღმდეგ შეთქმულებებზე და აჯანყებებზე ხელს არ იღებდა. გაავთრებულმა შაჰ-აბასმა სამ წელიწადში ოთხჯერ ილაშქრა კახეთში და იგი მიწასთან გაასწორა, გააუკაცრიელა. შაჰის ბრძანებით ყიზილბაშებმა აკაფეს ვენახების და ხილის ბაღები, გადაწვეს და დაანგრიეს ქალაქები და სოფლები, გაწყვიტეს პირუტყვი და რაც ადგილობრივ გადაურჩათ წინ გაირეკეს ასიათასობით. **100** ათასამდე ვაჟკაცი ბრძოლის ველზე დაწვა, ორჯერ მეტი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ყიზილბაშებმა პირუტყვებივით წინ გაირეკეს და სპარსეთის შიგა პროვინციებში გადაასახლეს, ხოლო მათ ადგილას კახეთში თურქული ელის ტომები ჩამოასახლა შაჰ-აბასმა. ამ დროიდან დედა-სამშობლოს მოწყდა კახეთის უძველესი კუთხე-საინგილო.

შაჰ-აბასმა მხეცური შური იძია თვით თეიმურაზ პირველის ოჯახზედაც. **1620** წელს მან დაასაჭურისებინა თეიმურაზის ორი ვაჟი: **ლევანი და ალექსანდრე,** რის გამოც ერთი გარდაიცვალა და მეორე ჭკუაზე შეირყა. **1624** წელს გახურებული შანთებით აწამებინა თეიმურაზის დედა-კახეთის დედოფალი ქეთევანი, მანამ სანამ წამებით დედოფალს სული არ ამოხდა.

როგორც ადრევე მოგახსენეთ, ამ დროს კახეთი თეორიულად რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდა. კიდევ მეტი, შაჰ-აბასი კახეთს აოხრებდა, რადგანაც კახეთის მეფეები სპარსეთის მფარველობას რუსეთის მფარველობას არჩევდენ. არა ერთხელ მოუწოდა მეფე თეიმურაზმა რუსეთის სამეფო კარს დახმარებისათვის, მაგრამ ამაოდ. რუსები არამც თუ ბრძოლის ველზე არ გამოჩნდენ დასახმარებლად, არამედ დიპლომატიური წარმომადგენლობაც კი არ გაუკეთებიათ, რომ აბასის რისხვა კახელთა მიმართ ოდნავ მაინც დაეცხროთ.

## პეტრე დიდი და საქართველო

კახეთის მაგალითი მალე დაივიწყეს ჩვენმა მეფე-მთავრებმა. მე-**17**-ე საუკუნის ბოლოს და მე-**18**-ის დასაწყისში ხსნას ისინი მაინც მოსკოვიდან მოელიან. პეტრე პირველის ენერგიული ანტითურქული პოლიტიკა ამ მხრით მათ მიდრეკილებებს ფრთებს ასხამდა. ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში ყოფნის დროს პეტრე დიდმა საჯაროდ დაიქადა: „**1700** წელს კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიოს ტაძარში წირვას გადავიხდიო.“ ამ დიდი მიზნების განხორციელების საქმეში, პეტრეს სამეფო კარს საქართველოს გამოყენებაც ექნებოდა გაანგარიშებული. პეტრე დიდის ანკესზე პირველი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები წამოეგენ. კახეთში და იმერეთში მეფობაზე ხელმოცარული არჩილ მეფე ხშირ მისვლა-მოსვლას აწარმოებდა რუსეთში, რომლის სამეფო კართან მას და მის შვილს ალექსანდრეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ბოლოს ორივე მამა-შვილმა ტახტის ძიებაზე ხელი აიღეს, მოსკოვში დასახლდენ და ამრიგად დასაბამი მისცეს მოსკოვის ქართულ ახალშენს.

**1696** წელს რუსებმა თურქეთს აზოვის ციხე წაართვეს და მით შავ ზღვაზე გამოსვლის საშუალება ჩაიგდეს ხელში. ჯერ კიდევ **1694** წლიდან პეტრე პირველი ვორონეჟთან დიდ საზღვაო ფლოტს აგებდა ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო **1702** წელს ბრძანებას აძლევს დანიელ ოსტატებს, რომ სასწრაფოდ **120** გემი ააგონ მდინარე ვოლგაზე **12** და **16** ზარბაზნიანი,

რომლებიც, მდინარე დონით, გადასროლილნი იქნებიან შავ ზღვაზე. შავ ზღვაზე იმ დროს რუსეთს ნავთსადგურები არ გააჩნდა, მაგრამ პეტრე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების გამოყენებას ვარაუდობდა. 1700 წლიდან მოყოლებული პეტრე დიდი მოლაპარაკებებს აწარმოებდა არჩილ მეფის შუამავლობით იმერეთის მეფესთან და გურია-სამეგრელოს მთავრებთან, თურქეთის წინააღმდეგ დიდ ლაშქრობას აუწყებდა და მათ მოკავშირეებად იწვევდა. ამ მისვლა-მოსვლის დროს თურქეთის დაზვერვასაც არ ეძინა. რუსეთისაგან დაიმედებულმა იმერეთის მეფემ და გურია-სამეგრელოს მთავრებმა 1703 წელს ოსმალეთის მთავრობას უარი უთხრეს ხარკის მიცემაზე. თურქები მაშინვე მიხვდენ, რომ რუსეთი მათ მალე ომს აუტეხდა და, რომ მტრისთვის დაესწრო, საქართველოს დიდძალი ჯარებით შემოესიენ. თურქეთის ამ ლაშქრობას ქართველებმა „დიდი თურქობა" უწოდეს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს სამშობლოს.

1703 წლის ზაფხულში, არზრუმის ფაშის სარდლობით ოსმალო-ახალციხის ჯარები სამი მიმართულებით შემოიჭრენ: ერთი ნაწილი, სერასკირ ქოსა ხალილ ფაშას სარდლობით, პონტონის ხიდით მდინარე ჭოროხზე გადავიდა, გურიაში შეიჭრა, ბათუმი დაიკავა და იქ ახალი სიმაგრეების აგება დაიწყო. მეორე არმია, ზეკარის გადასასვლელით, იმერეთში შეიჭრა ახალციხიდან; ამავე დროს, თურქეთის ფლოტმა ჯარები გადასხა სამეგრელოში. იმერეთი, გურია და სამეგრელო ერთობლივად დაირაზმენ შემოსეული მტრის წინააღმდეგ, გმირული წინააღმდეგობაც გაუწიეს, მაგრამ თავიანთ ანაბარად დარჩენილებს ბოლოს და ბოლოს არ შეიძლებოდა დამარცხება აცდენოდათ ძალთა ასეთი დიდი განსხვავების გამო. პეტრე დიდის რუსეთის მხრიდან კი დაპირებული ლაშქრობა არა და არ ჩანდა. რუსეთი არა მხოლოდ ბრძოლის ველზე არ დაეხმარა დასავლეთ საქართველოს, არამედ თურქეთთან ზავის დროსაც 1724 წ. „დაივიწყა", მთელი საქართველო თურქეთის საკუთრებად სცნო და ვალდებულება აიღო თურქეთს ამ ქვეყნების საქმეებში არ ჩარეოდა, თურქეთისთვის ხელი არ შეეშალა. (იხ. ამ საკითხზე რუსეთის სამეფოს ოფიციალური ისტორიკოსი ნ. დუბროვინი ).

დიდმა თურქობამ დიდათ დააზარალა მთელი დასავლეთი საქართველო, განსაკუთრებით კი გურია. თურქებმა ამის შემდეგ წაგლიჯეს ბათუმის მხარე; ფოთში, ანაკლიაში, რუხში და ბაღდადის ციხეებში თავიანთი მეციხოვნენი ჩააყენეს. მიუხედავათ რუსების ღალატისა და დიდი მსხვერპლის გაღებისა, დასავლეთი საქართველო მტერს არ დამორჩილდა: იმერეთი, გურია, სამეგრელო ოსმალეთისაგან ფაქტიურად დამოუკიდებელნი დარჩენ, სანამ მათ ბოლო არ მოუღო რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს.

## პეტრე დიდი და ქართლი

პეტრე იმპერატორის ოინებმა კიდევ უფრო მეტად აზარალა ქართლის სამეფო, და მით მთელი საქართველოც. ამ დროს ქართლს გამაჰმადიანებული ბაგრატიონები მართავდენ. ისინი სპარსეთს ერთგულობდენ, მაგრამ ქართლის და საქართველოს ინტერესებიც არ ავიწყდებოდათ. ქართლის სამეფო ოჯახი დიდი პატივით სარგებლობდა შაჰის კარზე, ქართლის მეფეები სპარსეთის მთავარსარდლებიც იყვენ. ქართლი ამ დროს მოღონიერებული, წელში გამართული ქვეყანა იყო; მის მეფეებს თავისუფლად შეეძლოთ 30 - 40 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა ბრძოლის ველზე. ეკონომიურადაც და კულტურულადაც ქართლი თანდათან წინაურდებოდა.

გიორგი მეთერთმეტე ორჯერ იყო დამტკიცებული ქართლის მეფედ. მეორედ, შაჰ-სულთან-ჰუსეინმა, 1703 წ. კვლავ უბოძა ქართლის მეფობა, ირანში დატოვა სპარსეთის ჯარების სპასალარად და ავღანელ მეამბოხეთა წინააღმდეგ სალაშქროდ გაგზავნა. გიორგი მეფის სურვილის თანახმად, ქართლში მის მოადგილედ დაინიშნა მისი ძმის ლევანის შვილი ვახტანგი, რომელიც შემდეგ ვახტანგ მეექვსის სახელწოდებით გამეფდა. ვახტანგი ენერგიული, კულტურული და გულისხმიერი მმართველი გამოდგა. საქართველოს ისტორიაში ვახტანგ მეექვსის ხანა ვერცხლის ხანადაა მიჩნეული.

გიორგი მეთერთმეტის ტრაღიკული სიკვდილის შემდეგ, შაჰმა ვახტანგი სპარსეთში გაიწვია და როგორც წესი ქართლში გამეფების წინ მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა, რაზედაც ვახტანგმა უარი თქვა. შაჰმა ამისთვის ის შინა პატიმრობაში მოათავსა, რაც შვიდი წელი გაგრძელდა. ბოლოს, როცა ევროპაში ბერი საბას ელჩობიდანაც არაფერი გამოვიდა, ქართველი დიდებულებისა და ძლობლების რჩევა-ვედრებით, ვახტანგმა გარეგნულად მაჰმადიანობა მიიღო. შაჰმა იგი ქართლის ვალად დაამტკიცა და 1719 წ. უკან გამოისტუმრა. შაჰმა ვახტანგს სხვათა შორის დაღესტანის ალაგმვაც დაავალა. ეს უკანასკნელი თურქეთის იარაღი იყო და სპარსეთის ინტერესების წინააღმდეგაც გამოდიოდა, მაგრამ დაღესტანი კიდევ უფრო საშიში მტერი იყო ქართლის და განსაკუთრებით კახეთის. ამიტომ დაღესტანის წინააღმდეგ სპარსეთთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაშქრება, ქართლ-კახეთის სამეფოთა ინტერესებს უფრო ემსახურებოდა. შაჰის განკარგულებით, დაღესტნელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ვახტანგ მეფეს ემორჩილებოდნენ ყარაბაღის, შამახის, და ერევნის სახანოების ჯარები. **1721** წელს კი, შაჰმა ვახტანგ მეექვსე დანიშნა სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარად; ამრიგად, ვახტანგის ხელში აღმოჩნდა ირანის იმპერიის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის სამხედრო ხელისუფლება.

კახეთის მეფესთან უთანხმოების გამო ვახტანგ მეექვსე ფეხს ითრევდა ლეკთა წინააღმდეგ კახეთიდან გაელაშქრა. **1721**-ში კი დიდი ძალებით გაილაშქრა განჯაში, შეუტია იქ დაბანაკებულ ლეკებს და ისინი სასტიკად დაამარცხა. შეშინებულმა ლეკებმა ჭარ-ბელაქანში დაიხიეს და მზად იყვნენ ვახტანგს დამორჩილებოდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვახტანგმა შაჰის ბრძანება მიიღო ბრძოლა შეეწყვიტა და თავისი ჯარებით უკან გაბრუნებულიყო. შაჰის ამ ბრძანებით განრისხებულმა ვახტანგ მეფემ საჯაროდ დაიფიცა, რომ „აღარასოდეს შეასრულებდა შაჰის ბრძანებას." შაჰის ამ ბრძანების შესახებ ისტორიკოსებში სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ უდავოა, რომ ამ დროისთვის ვახტანგ მეექვსე ჩათრეული იყო სპარსეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში პეტრე დიდთან. „**1721** წ. ნოემბერში, ნათქვამია ს.ი.ნ. **416** გვერდზე, ვახტანგ მეექვსე სწერდა პეტრე პირველს–მივიღე ცნობა ასტრახანის გუბერნატორისაგან რუსეთის ჯარის მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ, აღფრთოვანებული ვარ უცხოელი დამპყრობლებისაგან საქართველოს მომავალი განთავისუფლებით და შევუთანხმდი ასტრახანის გუბერნატორს, თუ როგორ წარვმართოთ საქმეები"-ო. სრულიად სავარაუდებელია, რომ შაჰმა მისი ჯაშუშებისგან ადრევე იცოდა ასტრახანის გუბერნატორისა და ვახტანგ მეფის შორის გამართული საიდუმლო ელჩობების ამბავი.

*1719* წ. პეტრე დიდმა ასტრახანის გუბერნიის გუბერნატორად დანიშნა ირანის საქმეების იშვიათი მცოდნე **ა. ვალინსკი**. ვალინსკიმ დაუყოვნებლივ დაამყარა ურთიერთობა ვახტანგ მეექვსესთან. როცა ვახტანგი სპარსეთში შინაპატიმრობაში იმყოფებოდა, მაშინ ვალინსკიც განსაკუთრებული მისიით სპარსეთში იმყოფებოდა და არ არის გამორიცხული, რომ ის უკვე მაშინ დაუკავშირდა ვახტანგ მეფეს.

*1720*-ან წლების დამდეგს ვახტანგ მეფე ცენტრალური ფიგურა იყო ამიერკავკასიაში, მის გადაბირებას სპარსეთის გარდა ერთ და იმავე დროს ცდილობდნენ ოსმალეთიცა და თურქეთიც. სპარსეთი იმ დროს აღარ იყო ის მრისხანე ლომი, რომელიც აბას პირველის დროს თავზარს სცემდა მეზობლებს. იგი ძლივს იგერიებდა ოსმალთა ჯარებისა და აჯანყებულ ავღანელთა შეტევებს. გაძლიერებულ ქართლის მეფეს, ვახტანგის სახით, გადამწყვეტი როლის თამაში შეეძლო დამხობის პირად მდგარ ირანის იმპერიაში.

*1722* წ. მარტში ირანის დედაქალაქ ისპაჰანს მეამბოხე ავღანლებმა ალყა შემოარტყეს. მათთან ბრძოლაში დაიღუპა შაჰის გვარდიის სარდალი, ვახტანგ მეფის ძმა როსტომი. შაჰმა მის მაგივრად ვახტანგის ვაჟი ბაქარი დანიშნა გვარდიის სარდლად და თვით ვახტანგს ჯარებით დახმარებას თხოვდა. ვახტანგ მეფემ ბაქარს სპარსეთში წასვლის ნება არ მისცა და არც მაშველი ჯარი გაუგზავნა შაჰს. პროფ. **დავით ლანგის** აზრით, რომელსაც კარგად შეუსწავლია სპარსულ, ქართულ და რუსულ წყაროებში ეს პერიოდი, „შაჰ სულთან ჰუსეინის დამარცხების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ვახტანგმა მას დახმარება არ აღმოუჩინა"(*D. Lang, The last Years of the Georgien Monarchy, 1658 - 1832, NEw - York, 1977*.)

მეტად მაცდური არჩევანის წინაშე იდგა მაშინ ვახტანგ მეექვსე. არზრუმის ფაშა, ოსმალეთის სულთანის სახელით, მას ატყობინებს, რომ თურქეთი მზადაა ირანზე გასალაშქრებლად, სულთანი მოწადინებულია ვახტანგის მოკავშირეობისა, რის ფასადაც სულთანი მას ჰპირდება მთელს საქართველოს. ვახტანგ მეფემ სულთანსაც უარი უთხრა და მხოლოდ რუსეთის იმპერატორის მოკავშირეობა იკისრა, თუმცა მისი დარბაზის წევრთა უმრავლესობა სიფრთხილის მოტივით ამის წინააღმდეგი იყო. ვახუშტი ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „კუალად მოვიდა თურქისტანიშვილი ბაადურ დიდის პეტრეს იმპერატორისაგან, ვინაითგან გამოსულ იყო სოლახს, რათა მივიდეს შირვანს მეფე მისთანა. კუალად მოვიდა დესპანი ხონთქრისა დამორჩილებისა მისისათვის. არამედ განუტევნა ყოველნი და აღირჩია რუსთ მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტიანობისასა. ამისთვის შეკრებული სპითა წარვიდა განჯას...მეფე ვახტანგ მივიდა განჯას და დაჰყო სამ თთუე მუნ და ვერა რაი სცნა ხელმწიფის პეტრესი (**ქართლის ცხოვრება**, ტ.4, გვ.499 - 500).

აქედან ცხადია: ქრისტიანობის გულისათვის ვახტანგს რუსთა მეფის მოკავშირეობა აურჩევია, შეყრილი ჯარით (სულ ცოტა 30 ათასი ჯარისკაცი) განჯისაკენ წასულა პირობისამებრ პეტრე დიდთან შესახვედრად, სადაც სამი თვე უცდია, მაგრამ არც პეტრე და არც მისი

ჯარი არსად გამოჩენილა. სამი თვის შემდეგ ვახტანგს აცნობეს: პეტრე მოულოდნელად უკან გაბრუნდა, სპარსეთზე ლაშქრობა მომავალი წლისთვის გადადვაო. პეტრეს კი საზოგადოდ ირანის წინააღმდეგ გალაშქრება აზრად არ ჰქონებია, ეს მხოლოდ დიპლომატიური მანევრი იყო ოსმალეთის მოსატყუებლად, მაგრამ ყველაზე უფრო გაბრიყვებული მაინც ვახტანგ მეექვსე გამოვიდა. პეტრე დიდმა ბოლომდე უმუხთლა ვახტანგს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ პეტრეს ელჩები ბოლომდე ატყუებდენ ვახტანგს რუსთა ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში.

*1723* წ. ივნისში ოსმალეთის ჯარები ქართლში შემოიჭრენ. მეფე ვახტანგი ამ დროს ცხინვალში იდგა. სულთანმა კიდევ ერთხელ მოსთხოვა მის მხარეზე გამოსულიყო. ვახტანგმა დარბაზი შეჰყარა გასაბჭობად. დარბაზის დიდი უმრავლესობა თანახმა იყო თურქეთის გზით გადაერჩინათ ვახტანგის მეფობა, მაგრამ პეტრეს ელჩმა ტოლსტოიმ ვახტანგი კიდევ დააიმედა, რომ რუსთა ჯარები მალე გამოჩნდებოდენ. ამაო ლოდინში კიდევ ერთი წელი გავიდა. ქართლში ოსმალებმა ვახტანგის ძმა იესე გაამეფეს. პეტრე დიდზე მინდობილმა ვახტანგ მეექვსემ კი საბოლოო მარცხი განიცადა და **1724** წ. ივლისში ახლობელთა დიდი ამალით (**1200**-ზე მეტი) რუსეთში გადაიხვეწა. ეს იყო კიდევ ერთი და უკანასკნელი მისი დიდი შეცდომა. ვახტანგ მეექვსის მიმართ გვმართებს გულმოწყალება და დიდი შენდობა. იგი მეტად სიმპატიური მეფე იყო და წაუშლელი კვალიც დასტოვა „ქართლის ცხოვრებაში." მისი ხანმოკლე მეფობა ხასიათდება დიდი ქართული საქმიანობით, განსაკუთრებით კულტურის დარგში. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა მისი დროის საქართველოს უნიჭიერესი და უგანათლებულესი მამულიშვილები, რომლებმაც ბევრი საშვილიშვილო საქმე გააკეთეს. მაგრამ, შაჰის ტყვეობიდან დაბრუნებული და სპარსეთზე გულაყრილი მეფე, ადვილად მიენდო რუსთა ცბიერ და ვერაგ პოლიტიკას, დაკარგა ტახტიც მისი და დიდათ აზარალა სამშობლოც. უკვეთესი იყო მამულისათვის, რომ დამარცხებული მეფე ბრძოლის ველზე დაცემულიყო, და სამშობლოდან გადახვეწილის მწარე ხვედრი არ ეგემნა; მით უფრო, რომ ამ გადახვეწილობაში, როგორც უკვე ითქვა, მან თან დიდძალი ამალა გაიყოლა, მაშინდელი საქართველოს გონებრივი ნაღები, რაც თავისთავად აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ისედაც ინტელექტუალურად გაღარიბებულ ქვეყნისათვის. ვახტანგის ამალით კარგად ისარგებლა რუსეთის მთავრობამ; მათგან ჯერ ქართული ასეული, შემდეგ კი პოლკი დააარსა, ხოლო ვახტანგის ამალის გარუსებულმა შთამომავლობამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია რუსეთის იმპერიალიზმს თვით საქართველოს ანექსიის საქმეში; სრულიად სამართლიანად ბრძანებს აწ განსვენებული აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი: „მეფის რუსეთი მარჯვედ სარგებლობდა ხელმწიფის ქვეშევრდომად ქცეული ქართველებით, არა მარტო რუსეთის სასარგებლო განწყობილების პროპაგანდისათვის საქართველოში, არამედ პოლიტიკური ინტრიგებისთვისაც ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ. ამ კოლონიიდან გამოდიოდნენ მე-*18*-ე საუკუნეში ქართლის მეფობის მაძიებლები, რუსეთის დიპლომატიური მოხელეები საქართველოს მეფესთან და სხვა წვრილი პოლიტიკური აგენტები. ხოლო მე-*19*-ე საუკ. დასაწყისს, როცა მეფის რუსეთმა საქართველო მის გუბერნიად აქცია, ამავე კოლონიამ მისცა სამშობლოს არა ერთი პავლე ციციანოვი და დიმიტრი ორბელიანი" („მე-*18*-ე საუკ. საქ.-ს ისტორიიდან", **1944** წ.). დიახ, ვახტანგ მეფის ამალის გარუსებულ შთამომავლებს დიდი პასუხისმგებლობა აწევთ ჩვენი სამშობლოს წინაშე, ჯერ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების საქმეში და შემდეგ კი საქ.-ს სრულ ანექსიაში, მაგრამ ამაზე შემდეგ

### რუსეთ–ოსმალეთის ომი (*1768 - 1774*) და საქართველო

*1768* წელს განახლდა რუსეთისა და თურქეთის ექვსწლიანი ომი. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ოსმალეთისათვის მეორე ფრონტი გაეხსნა საქართველოს მხრიდან. ამისთვის მას, რა თქმა უნდა, ქართველ მეფე-მთავრებთან შეთანხმება ესაჭიროებოდა, რისთვისაც მან მოლაპარაკება მათთან დაუყოვნებლივ გააჩაღა.

პეტრე დიდის ღალატით აწიოკებული ქართლ-კახეთი უკვე წელში გამართული იყო კახთა ბატონის, თეიმურაზ მეორის და მისი ვაჟის ერეკლე მეორეს ენერგიული და ნიჭიერი მმართველობის წყალობით. თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ (*1762* წ.) ერეკლემ თავის სკიპტრის ქვეშ გააერთიანა ქართლისა და კახეთის მანამდე გაყოფილი სამეფოები. ერეკლემ სრულიად გადაიგდო სპარსეთის შაჰის უღელი და თავისი ხელმწიფება ყაბარდოს, განჯისა და ერევნის სახანოებზეც განავრცო.

ამავე დროს, იმერეთის მეფე სოლომონ პირველიც წარმატებით იგერიებდა ოსმალთა შემოტევებს, ისე, რომ ომის დაწყების წინ რუსეთის მთავრობამ მისი კონსტანტინეპოლელი ელჩისაგან იცოდა: „თურქებმა სიამოვნებით მიიღეს ერეკლე მეორის შუამავლობა სოლომონ პირველ-

თან. თურქები დათანხმდენ სოლომონის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე, მხოლოდ იმ ერთი პირობით, რომ იმერეთის მეფეს ძველებურად უნდა ეხადა ხარკი; თავის მხრივ თურქეთი იმერეთს ქვეშევრდომად კი არა, სულთნის პროტექტორატის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ გამოაცხადებდა."(იხ. ს.ი.ნ.,გვ.648 - 649 ). რუსეთის მთავრობამ ისიც კარგად იცოდა, რომ იმერეთის და ქართლ-კახეთის მეფეები ერთმანეთს შეხვდენ და პირობა დასდვეს, შეთანხმებულად ემოქმედნათ, რაც პრაქტიკულად საქართველოს განმრთელებას ნიშნავდა. რუსეთის მთავრობას არც ეს ეხატა გულზე, მაგრამ უფრო ის აფიქრებდა, რომ ასეთ მდგომარეობაში ერეკლე მეფეს ცარიელი სიტყვებით ვერ დაითანხმებდა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლაში და გადაწყვიტა ერეკლესა და სოლომონის მოთხოვნის თანახმად საექსპედიციო ჯარის გაგზავნა საქართველოში, რომელსაც გენერალი ტოტლებენი უსარდლა. 1769 წლის აგვისტოში ტოტლებენი 480 ჯარიკაცით საქართველოში მოვიდა და 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან მას ერეკლე მეფე შეეგება. ერეკლე მზად იყო ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსულიყო, მაგრამ ის სულ ცოტა 5.000 ჯარისკაცს მოითხოვდა რუსეთისაგან. თუ იმ წელს რუსეთი ჯელას ვერ გამოაგზავნიდა, ერეკლე მზად იყო მომავალ წლამდე მოეცადნა. მართლაც, 1770 წ. თებერვალში ტოტლებენს თავის განკარგულებაში 1228 ჯარისკაცი ჰყავდა, ხოლო 30 აპრილს მოზდოკიდან ტომსკის პოლკი გამოვიდა, რომელშიაც 2093 ჯარისკაცი ირიცხებოდა. ერეკლე დარწმუნდა, რომ ეკატერინე მეორე დაპირებულ ჯარებს გზავნიდა საქართველოში და დაუყოვნებლივ თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება; ერეკლეს მიზანი იყო უპირველესად სამცხეს შემოერთება; მარტის 17-ს ერეკლე 7.000-ანი არმიით და სამი ზარბაზნით სურამში ჩავიდა, სადაც 1200 ჯარისკაცით ტოტლებენი იდგა; 24 მარტს ორივე ლაშქარი ქვიშხეთისაკენ გაემართა. მიუხედავათ ერეკლეს წინააღმდეგობისა, ტოტლებენმა თავისი ჯარის ნახევარი სადგერის ციხეში დასტოვა. 17 აპრილს ქართველები და რუსები აწყურს მიადგენ; ტოტლებენი თავდაპირველად მის აღებას მოითხოვდა, მაგრამ მოწინააღმდეგეს გზა არ ჩაუკეტა, რის გამოც თურქებმა იქ ორი ათასი ჯარისკაცის შეყვანა მოასწრეს. 19 აპრილს, სრულიად მოულოდნელად ტოტლებენმა თავის ჯარს გუდა-ნაბადი აჰკვრევინა და ბრძოლის ველს გაეცალა, ისე, რომ ერეკლე მეფის ხვეწნა-ვედრებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ეს იყო ბრძოლის ველზე ღალატის დამახასიათებელი მაგალითი. ცხადია, ქართულ ლაშქარზე ეს ამბავი მეტად ცუდათ იმოქმედებდა. როგორც ცნობილია ერეკლემ მაინც შეძლო მისი მხედრობის გასალკლდევება და ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

ტოტლებენის გამოისობით ვერც ეს გამარჯვება გამოიყენა ერეკლემ. ის იძულებული იყო დაუყოვნებლივ თბილისისაკენ გაეწია, რადგანაც ამბავი მიიღო, რომ ფრონტიდან გაქცეული გენ. ტოტლებენი საქართველოს ციხე-სიმაგრეებს იკავებდა და მცხოვრებლებს ეკატერინე მეორის ერთგულებაზე აფიცებდა. ერეკლე მეფის ელვისებურმა გამოჩენამ ტოტლებენის გეგმები ჩაფუშა, ერეკლეს წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება დასაწყისშივე უვნებელყოფილი იქმნა. ერეკლემ რუსეთის მთავრობას ტოტლებენის საქციელი მოახსენა, მაგრამ რუსთა მთავრობა მოღალატე გენერლის არც დასჯას და არც გაწვევას არ ჩქარობდა. ცხადია: ტოტლებენი მისი მთავრობის ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებდა.

როგორც კი ტომსკის პოლკმა მოაღწია, გენ. ტოტლებენი იმერეთში გადავიდა, მაგრამ იქაც მალე თავისი ბნელი ზრახვები გამოამჟღავნა. იმერთა მეფე სოლომონს არაფერს უჯერებდა, მის მტრებ მთავრებთან და თავადებთან აბამდა კავშირებს და აწყობდა ინტრიგებს.

ბოლოს და ბოლოს რუსეთის სამეფო კარმა გენ. ტოტლებენი გაიწვია და მის ადგილას კორპუსის სარდლად გენ ა. **სუხოტინი** დანიშნა. ცხადია, რომ ის წინასწარ კარგად დაარიგეს, მას „აუხსნეს", რომ რუსეთის ინტერესში ქართული მიწა-წყლის გათავისუფლება კი არ შედის, არამედ საქართველოს მხრიდან დივერსიების წარმოება და შავი ზღვის სანაპირო პორტების დაკავება. ამიტომ, ჩამოვიდა თუ არა საქართველოში, 1771 წ. მაისში, ფოთის ასაღებად გაეშურა. ჯერ მეფე ერეკლემ, შემდეგ სოლომონმა ბევრი უშალეს, უთხრეს, რომ კლიმატის გამო იქ ამ სეზონში ლაშქრობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ჯიუტმა გენერალმა არავის დაუჯერა. კოლხეთის დაბლობი იმ დროს რუსებმა ვერ აიტანეს, ნახევარზე მეტი მალარიით დაავადმყოფდა, მათ შორის თვით მთავარსარდალიც. იმავე დროს, სუხოტინმაც გააგრძელა ტოტლებენის ინტრიგები მეფეთა მიმართ. იმერთა მეფის მტერს, დადიანს და სხვა თავადებს მფარველობას უწევდა; ერეოდა გურიის შინაურ საქმეებში, ერეკლეს ერთგულების დასამტკიცებლად მძევლები მოსთხოვა, სოლომონი კი აიძულა გურიის ბატონიშვილი, თურქოფილი გიორგი გურიაში დაებრუნებინა... 1771 დეკემბერში ეკატერინე მეორის მთავრობამ საქართველოს მეფემთავრებთან შეუთანხმებლად საქართველოდან თავისი ჯარების გაყვანა გადაწყვიტა, 1772 წ.

**5** მაისს რუსის ჯარებმა ქუთაისი დასტოვეს, ხოლო თვის ბოლოს საქართველოს საზღვრები უკან მოიტოვეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ დროს რუსეთის მთავრობის გამოისობით საქართველო ომში იმყოფებოდა ოსმალეთთან. თურქებმა ისარგებლეს რუსთა ჯარების დეზერტირობით, ძლიერად შემოუტიეს გურიას და ქვემო გურია, ქობულეთის მხარე, თავდგირიძეების სათავადო, დაიკავეს.

განა მარტო ბრძოლის ველზე გვიღალატეს რუსებმა?! **1774** წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ზავი დამყარდა ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობამ დაივიწყა ქვემო გურია, რომელიც თურქეთის მფლობელობაში დარჩა, ხოლო მთელი დასავლეთი საქართველო თურქეთის გავლენის ქვეშ აღიარა. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანთ **ს.ი.ნ.**–ს: „**1778 -74** წლების ომში რუსეთის მხარეზე გამოსვლით ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა– ომის შედეგად ერეკლეს სახელმწიფომ არა მარტო ვერაფერი მიიღო, მატერიალური ზარალიც განიცადა, ოსმალეთი გადაიმტერა და ირანის ნდობაც დაკარგა. ერეკლეს მომხრე ამიერკავკასიის ხანებიც ახლა ალმაცერად უყურებდნენ პატარა კახს.“(გვ.*676.-77* )

### გეორგიევსკის ტრაქტატი

როგორც უკვე ვთქვით, ერეკლე მეფემ რუსეთის მხარეზე გამოსვლით, თვით რუსეთის მოღალატეობის გამო, ვერაფერი სარგებლობა ნახა, ხოლო მთელი მუსულმანური სამყარო, განსაკუთრებით კი ოსმალეთი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა. როცა რუსებმა საქართველოდან ჯარები გაიყვანეს, ერეკლე იძულებული გახდა საკუთარი ძალებით მოევლო სამეფოსათვის და უნდა ითქვას, რომ სულ მოკლე ხანში მან არა ცუდად გამოასწორა ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო მდგომარეობა.

**1774** წ. ქართლ-კახეთის სამეფოში „მორიგე ჯარი“ შეიქმნა, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი გარეშე მტრების შემოსევათა ალაგმვას. ამავე დროს, სამეფო კარის ეს მუდმივი ლაშქარი ურჩ-მეამბოხე თავადებზედაც დამაშოშმინებლად მოქმედებდა. ამის შემდეგ ერეკლეს შესაძლებლობა მიეცა უფრო აქტიური პოლიტიკა ეწარმოებია ამიერკავკასიაში. უპირველესად, ერეკლემ თურქეთთან გადაწყვიტა ურთიერთობის მოგვარება და კიდევაც მიაღწია **1776.-77** წწ. შეთანხმება, რომ მართლაც მოხდა ეს იქიდან ჩანს, რომ სწორედ იმ დროს ახალციხიდან დააბრუნეს მოტაცებული ტყვეები და ქართლ-კახეთის სარბევად გამზადებული დაღესტნის ლაშქარიც დაშალეს. **1778** წლიდან კი ოსმალეთ-ქართლ-კახეთის შეთანხმებამ უკვე ოფიციალური ხასიათი მიიღო, რამაც რუსეთის სამეფო კარი საფუძვლიანად შეაშფოთა.

**1778** წ. ქართლ-კახეთის და ყარაბაღის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ფათალი ხანის ჯარები და განჯის სახანო გაინაწილეს. შემდეგ წელში ერეკლეს ჯარებმა ერევნის სახანო დალაშქრეს; ერევნის სახანოს ერეკლემ ხარკი დაადვა და იქ ხანთან ერთად თავისი გუბერნატორი, ერეკლეს სიძე იოანე მუხრანბატონი, დანიშნა. ერეკლეს ეს ლაშქრობა მიზნად ისახავდა სომხეთის უშუალოდ შემოერთებას, რაც რუსეთის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა სომხეთის და ჩრდილო აზერბაიჯანის სახელმწიფოების შექმნა საკუთარი მფარველობის ქვეშ. ერეკლეს განზრახვა, ყარაბაღიდან ერთი ნაწილი მოსახლეობის საქართველოში გადმოსახლებაზე, აგრეთვე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მთავრობის ინტერესებს. ამრიგად, ერეკლეს სამეფოს პოზიციები სულ უფრო ძლიერდებოდა და ის ხშირად რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებს უპირდაპირდებოდა; რუსეთის მთავრობამ ერეკლეს „დაბმა“ გადაწყვიტა და ამ მიზნით სხვადასხვა დიპლომატიურ და ვერაგ ხერხებს მიმართა.

ამ ვერაგულ ხერხთა შორის ერეკლე მეფისათვის ყველაზე უფრო საშიში იყო ვახტანგ მეექვსეს შვილიშვილის, **ალექსანდრე ბაქარის ძის** რუსთა მიერ სპარსეთში შაჰის კარზე გაშვება. სპარსეთიდან ბატონიშვილი ალექსანდრე დაუყოვნებლივ იმერეთში გადავიდა, საიდანაც ქართლში აჯანყების ქსელთა გაბმას შეუდგა ერეკლე მეფის წინააღმდეგ.(როგორც ცნობილია: გეორგიევსკის ტრაქტატის ხელის მოწერისთანავე ბატონიშვილი ალექსანდრე რუსთა მთავრობამ რუსეთში გაიწვია.) საქმე იმაშია, რომ რუსეთში მყოფი ალექსანდრე მეექვსეს კანონიერი თუ უკანონო შვილები და შვილიშვილები ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად თვლიდენ თავს, ამ მხრით მათ ბევრი მომხრე ჰყავდათ ქართლის თავად-აზნაურთა შორის, რომლებიც ერეკლეს უზურპატორად თვლიდენ. ერეკლეს ამ მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე გავლენიანი იყვნენ **გივი ამილახვარი და შანშე ერისთავი.** ქართლში იმ დროს არსებულ წინააღმდეგობათა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის **ომან ხერხეულიძე**, რომლის მიხედვით: „ერევანში მყოფმა მე-

ფე ერეკლემ თბილისიდან წერილი მიიღო: „მოეშველე ქართლს, საქართველო აირივა.“ ეს „აი-
რივა“, ეჭვი არ არის, რომ ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებას გულისხმობს.

...რუსეთის სამეფო კარის იმ დროინდელ პოლიტიკას ერეკლეს მიმართ ზუსტად გადმოგვცემს
აკად. ნ. ბერძენიშვილი მის ზემოდ დასახელებულ ნარკვევში: „ჩანს, რუსეთის კარი შეშფოთე-
ბულია ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯებით. უეჭველია, რუსეთი შეეცდება სათანადო ღონისძიებე-
ბი მიიღოს, რომ ერეკლეს გეზი შეაცვლევინოს (ჩერქეზ გადმოსახლებულთა დაკავება, ალექსან-
დრე ამილახვრის აშვება, ალექსანდრე ბაქარის ძის ფათალი-ხანთან გაჩენა და თვით ფათალი-
ხანის აქტიურობა ერეკლეს წინააღმდეგ–ყველა ეს რუსეთის მეფის მიერ მიღებული კონტრ-ზომ-
ები ჩანს.“

ერეკლე ბრიყვი არ იყო, რომ ვერ მიმხვდარიყო თუ საიდან და რა მიზეზით მოდიოდენ ეს
„კონტრზომები“. ჩვენი ფიქრით, მეფე ერეკლე იმ დროს შემდეგ მძიმე დილემის წინაშე იდგა:
ან აშკარა ბრძოლა უნდა გამოუცხადოს რუსეთს და ოსმალეთის მოკავშირეობა იკისროს, ანდა
რუსეთის იმპერატრიცას უნდა დაექვემდებაროს ისე, რომ მისთვის და მისი მემკვიდრეებისათ-
ვის, თუ მთელი საქართველოსი არა, ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტი არ დაკარგოს. როგორც
გამოირკვა, ერეკლემ მეორე გზა არჩია. შემდეგ რუსეთის მმართველებმა ერეკლეს არც ეს
იმედი გაუმართლეს, მაგრამ მაშინ ის ამას როგორ წარმოიდგენდა, თანაც მის ირგვლივ მო-
ფუსფუსე რუსოფილი თუ გარუსებული ქართველები ცოტა არ იყვნენ, რომლებიც მეათასჯერ უმ-
ეორებდენ: თუ ის(ერეკლე) რუსეთის სამეფო კართან წერილობით ხელშეკრულობას დადებდა,
რუსები მას უეჭველად პატივს სცემდენ.

ჩვენს მიერ ნახსენებ ერეკლე მეფის დილემაში საკითხი არ დგას ქართველი ხალხის ყოფნა-
არყოფნაზე. არა, ასეთი დილემა იმ დროინდელ საქართველოსთვის ნამდვილად არ არსებობდა!
ადრე მართლაც იყო ამის საფრთხე: შაჰ-აბასის დროს, მე-18-ე საუკ. ოციან წლებში, მაგრამ
არა ერეკლეს დროინდელ საქართველოსთვის. პირიქით, ერეკლე ქართლ-კახეთის გარდა ფლობდა
ყაზახის, შამშადილის, ბორჩალოს, კაკის, შაქის, შირვანის, განჯის და ერევნის სახანოებს,
და ეს ფაქტი ხაზგასმითაა აღნიშნული თვით გიორგის ციხეში ხელმოწერილ დოკუმენტში.
მიუხედავათ ასეთი თვალთადამთხრელი ფაქტისა, მთელი ხორო რუსოფილებისა ერთხმად ღაღა-
დებს: გეორგიევსკის ტრაქტატი ერთადერთი საშუალება იყო ქართველი ხალხის ფიზიკური გა-
დარჩენისთვისო, თუ არა რუსეთის მფარველობა, ქართველი ხალხი უეჭველად აღიგვებოდა მი-
წისაგან პირისაგანო; და ეს არა მარტო იქ, საბჭოებში, არამედ აქაც, დევნილობაში მყოფ
ქართველთა შორისაც შეგიძლიათ გაიგონოთ.

არავითარ სერიოზულ ფაქტს ეს მტკიცება არ ეყრდნობა. პირიქით, გეორგიევსკის ტრაქტატის
გზა, რომელიც ნიშნავდა რუსების შემოყვანას ამიერკავკასიაში, იყო ყველაზე სახიფათო გზა
ქართველი ხალხის არსებობისათვის: რუსებთან კავშირით აღშფოთებულ გარემომცველ მაჰმადი-
ანურ სამყაროს მართლაც შეეძლო ქართველი ხალხის ფიზიკური მოსპობა. თუ ეს არ მოხდა,
განგებას უნდა ვუმადლოდეთ და არა რუსებს. რუსები, რომ ქართველების გადასარჩენად
არავითარ მსხვერპლს არ გაიღებდენ, ეს ხომ უდავოდ დაამტკიცეს უკვე, რომლის უარყოფაც
თვით რუსეთის პატრიოტებსაც აღარ შეუძლიათ, თუ სინდისზე მთლად ხელი არ აქვთ აღებული.

მეორე დიდი და მძიმე საბუთი გეორგიევსკის ტრაქტატის და რუსეთის მიერ საქართველოს
ანექსიის დამცველებისა, რელიგიური ხასიათისაა. რუსთა ორასი წლის მაცდური პროპაგანდა,
ერის ფიზიკურად მოსპობის საფრთხობელასთან ერთად, მასზე არა ნაკლები ძალისხმევით, თვა-
ლთა წინ გვიფრიალებს ქრისტიანობის მოსპობის საფრთხობელას. ისინი დაჟინებით ჩაგვჩიჩი-
ნებენ, თუნდ დღევანდელი კომუნისტებიც კი, რომ თუ არა ერეკლე მეფის ბრძნული გადაწყ-
ვეტილება–გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველოს ქრისტიანულ დიდ რუსეთის მფარველობაში
შეყვანისა–ქართველი ხალხი ქრისტიანობას ვერ შეინარჩუნებდაო; ქართველი ხალხი ფიზიკურად
რომ გადარჩენილიყო კიდეც, მაინც იძულებული იქნებოდა გამაჰმადიანებულიყო.

სინამდვილეში არც ერთი მაგალითის დასახელება არ შეიძლება ამ ყურით მოთრეული საში-
შროების დასამტკიცებლად. ამის საშიშროება არსებობდა ადრე, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე
საუკუნეებში, მაშინ გაუძლეს ქართველებმა და ქრისტიანიზმს არ უღალატეს, მაგრამ ახლა,
მეფე ერეკლეს დროს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინ, ქრისტიანობას არავითარი საფრ-
თხე არ ადგა საქართველოს საგარეო მტრებისაგან. ჯერ კიდევ ერეკლეს მამა, თეიმურაზ მე-
ორე ნადირ შაჰმა კახეთის მეფედ „ქრისტიანობით“ შეიწყნარა. 1744 წელს თეიმურაზ მეორე
იგივე ნადირ შაჰის წყალობით ქართლში გამეფდა და გვირგვინი ძველი ქართული ტრადიციით
სვეტიცხოველში იკურთხა, შვილი ერეკლე კი კახეთის გამგებლად დასტოვა. 1748 წ. თბილისი-
დან უკანასკნელი ყიზილბაში მეციხოვნენი გარეკეს, შაჰს ხარკი შეუწყვიტეს, ქართლ-კახეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და იქ ქრისტიანობის დევნა-შევიწროვება როგორ და რანაირად შეიძლებოდა!

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ოსმალეთის მხრით ქრისტიანობის დევნას არ ჰქონებია ადგილი, იმერეთის მეფეები და გურია-სამეგრელოს მთავრები ყველთვის ქრისტიანები იყვნენ; მით უმეტეს მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში თუმცა ხშირი ომიანობა იყო, მაგრამ სარწმუნოებრივი დევნის მაგალითები არ ჩანს.

დასავლეთ საქართველოს დიდი უბედურება იმ დროში იყო ტყვეების მოტაცება და მათი გაყიდვა კონსტანტინეპოლის ბაზარზე. კარგად ცნობილია, რომ სოლომონ პირველმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ამ სამარცხვინო ბანდიტიზმს, მან გურიისა და სამეგრელოს მთავრებიც დააფიცა ამ ბრძოლაში თანადგომაზე და ამ მხრით დიდი წარმატებაც იქნა მიღწეული. ანექსიის შემდეგ რუსთა პროპაგანდამ ამის შესახებაც ლეგენდები შექმნა, რომლის მიხედვითაც ტყვეთა სამარცხვინო ყიდვის მოსპობა საქართველოში ვითომც მხოლოდ რუსების დამსახურება ყოფილიყოს. ამ ამბავს დღესაც უხვად იყენებს საბჭოთა პროპაგანდა, რათა რუსების ბატონობა გაამართლოს ჩვენს სამშობლოში.

როგორც ითქვა, 1780-ან წლების დამდეგს რუსების მთავრობამ ერეკლე მეფეს საგარეო გართულებები და შინაური შეთქმულება მოუწყო. ალექსანდრე ბატონიშვილის გამარჯვების შემთხვევაში, გამარჯვებული რუსები გამოვიდოდნენ, რადგანაც ის რუსების ტყვე იყო და ტყვედ დარჩებოდა. ალექსანდრე ბაქარის ძის შეთქმულების წარუმატებლობის შემთხვევაში, ეს ამბავი ერეკლე მეფის პოზიციებს ისე დაასუსტებდა მაინც, რომ რუსეთის მთავრობას გაუადვილებდა მის დაყოლიებას, და ეს ასეც მოხდა.

პეტერბურგის სამეფო კარმა ისე ჩააწყო, რომ სამფარველო ხელშეკრულობის თხოვნა ვითომ მეფე ერეკლესაგან გამომდინარეობდა, სინამდვილეში კი, ინიციატივა მას ეკუთვნოდა. ამ მიზნით ერეკლე მეფესთან მოავლინა უნგრეთში გაზრდილი საქსონიელი ავანტიურისტი **იაკობ რაინეგსი**. რაინეგსი უცნობი არ იყო ერეკლესათვის, რადგანაც ის მხოლოდ ერთი წლის წინ გააძევა თავის სამსახურიდან. ეჭვის გარეშეა, რომ ის მაშინაც რუსეთის დაზვერის აგენტი იყო. როგორც ჩანს რაინეგსმა მალე დაიყოლია ერეკლე მეფე, რომელმაც 1782 წ. 21 დეკემბრის თარიღით თხოვნით მიმართა რუსეთის საიმპერიო კარს. თხოვნაში ნათქვამი იყო, რომ : იგი რუსეთის იმპერიაში შესვლას ითხოვდა ისე, რომ არც სულთანს და არც შაჰს არ შეძლებოდათ საქართველოს მტრობა, რუსეთს საქართველოსთვის დაებრუნებია ოსმალთა და ლეკთა მიერ მიტაცებული მხარეები...და, რომ **მის შვილებს და მათ შთამომავლობას პაპების სამკვიდრო და ამდენი გარჯით და ღვაწლის დადებით აშენებული ქვეყანა არ დაკარგოდათ.**" (აქ ხაზგასმული სიტყვები ნათლად გამოხატავენ ერეკლე მეფის მთავარ საზრუნავს, როცა ის თხოვნით მიმართავდა რუსეთის მთავრობას.)

ერეკლეს მიერ შეთავაზებული დოკუმენტი საიმპერიო კანცელარიამ თავის გემოზე შეკაზმშეაზავა. ტრაქტატის შესავლის კითხვა საკმარისია დარწმუნდეთ, რომ ის შედგენილია რუსეთის სამეფო კარის საპროპაგანდო უწყებაში, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება საბჭოთა საპროპაგანდო უწყებებში შედგენილ მსგავს დოკუმენტებისაგან. აქ აღსანიშნავია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ქართული ცალი უკვალოდ დაიკარგა. საფიქრებელია, რომ რუსულ და ქართულ ტექსტებს შორის არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც რუსების შემდეგ პროპაგანდას ავნებდა, ამიტომ ანექსიის შემდეგ ისინი შეეცადნენ მის „დაკარგვას." ერთი ცნობის თანახმად, როცა თბილისში ანექსიის მანიფესტი გამოაცხადეს რუსულად, სოლომონ ლიონიძე ხალხს უთარგმნიდა: გენ. ლაზარევი დავით ბატონიშვილს მეფობას ულოცავსო, ტრაქტატის ქართული ტექსტი თითქოს მას ამ დროს ხელში ეჭირა. სოლომონ ლიონიძე მაშინ დააპატიმრეს და ტრაქტატის ქართული პირიც ჩამოართვეს, რაც შემდეგ უკვალოდ დაიკარგა. ასეა თუ ისე, ისტორიას მხოლოდ ტრაქტატის რუსული პირი შემორჩა და მასაც უმალავს რუსული ხელისუფლება ფართო მკითხველებს.

ტრაქტატის ტექსტს ჩვენ აქ დაწვრილებით აღარ განვიხილავთ, ვიტყვით მხოლოდ, განსხვავებულად მრავალი სახელოვანი ავტორისა, **რომ იგი საერთოდ აღებული დიდი პოლიტიკური მარცხია ერეკლე მეფის საქართველოსი, და ის უკვე შეიცავს იმ კატასტროფას, რომელიც მას თავს დაატყდება 1801 წელს.**

საქართველო ოდითგან იბრძოდა და ზღვა სისხლი დაღვარა, რათა თავი გაენთავისუფლებინა უცხო სახელმწიფოთა პროტექტორატისაგან; ეს ბრძოლები იყვნენ სამართლიანი,მიზანშეწონილი, ეროვნულად აუცილებელი, და ქართველი მამულიშვილი მუდამ მადლიერებით, მოწიწებით და პატივისცემით მოიხსენიებს ყველა მათ, ვინც ამ ბრძოლებში ქართველ ხალხს წინ მიუძღოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეორგიევსკის ტრაქტატით კი, დამოუკიდებელი სუვერენული საქართველო თავისი ნებით კისრულობდა **რუსეთის პროტექტორობას,** და ისიც **საუკუნოდ** (აკი ამიტომაც ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის დღეს ედუარდ შევარდნაძე: „ორასი წლის წინად ჩვენმა წინაპრებმა **ს ა მ უ დ ა მ ო დ** გადააბეს თავიანთი ბედი რუსი ხალხის ბედსო.“); მაშინდელი საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე, ასეთი დიდი მსხვერპლის გაღება, მეტი რომ არ ვთქვათ, არანორმალურად მიგვაჩნია. ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ რუსებმა მეფე ერეკლესაგან გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელის მოწერას შანტაჟითა და ცრუობით მიაღწიეს.

ჩანს, რომ პეტერბურგის საიმპერატორო კარს ეჩქარებოდა საქართველოსთან ახალი ურთიერთობის დამყარება, რის გამოც მოვლენები რუსებისათვის უჩვეულო სიჩქარით განვითარდენ: 1783 წლის 24 ივლისს, რუსების მიერ ახლად დაარსებულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში შესდგება ტრაქტატზე ხელის მოწერა; მეფე ერეკლეს სახელით ხელს აწერენ თავადები: **იოანე მუხრან ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე,** იმპერატრიცა ეკატერინე მეორის სახელით— გენერალი **პავლე პოტიომკინი.** იმავე წლის ორ ნოემბერს თბილისში მოდის რუსების ორი ბატალიონი (მეფე ირაკლი თხოულობდა ორ პოლკს), პოლკოვნიკ **ბურნაშოვის** სარდლობით. ორი თვეც არ გასულა, ერეკლე მეფემ პოდპოლკოვნიკ ტამარას ხელით იმპერატრიცას სამფარველო სიგელი, სამეფო რეგალიები და საჩუქრები მიიღო. ტამარას ჩამობრძანებას რუსთა ზარბაზნები 101 ბათქით შეხვდენ. მეორე დღეს, 1784 წლის 24 იანვარს, გაიმართა ტრაქტატის რატიფიკაციის და ფიცის საჯარო ზეიმი; რუსების ზარბაზნებმა კვლავ 101-ჯერ დაიქუხეს. ეს ალბათ იმიტომ, რომ საქართველოს მეზობლებს კარგად გაეგონათ, რომ რუსებმა კავკასიონი გადმოლახეს და თბილისში დაბანაკდენ. საქართველოს მუსულმანმა მეზობლებმა მართლაცდა კარგად გაიგონეს; ირანი იმ დროს ისე დასუსტებული იყო, რომ ფაქტიური წინააღმდეგობის ძალა აღარ შესწევდა. სამაგიეროდ, ოსმალეთი ჯერ კიდევ ძლიერი იმპერია იყო და სარწმუნოებრივი ნათესაობის გამო დიდი მორალური და პოლიტიკური გავლენითაც სარგებლობდა მთელს კავკასიაში. ოსმალეთის წაქეზებით და ზემოქმედებით დაიწყო განსაკუთრებული ძალისა და სიხშირის შემოსევები ახალციხის საფაშომ, დაღესტანმა და ჭარ-ბელაქანმა. ახლა ერეკლეს გადაუდგენ თვით ისეთი ხანებიც, რომლებიც წინად მის მფარველობას ეძიებდენ. მოხუცი ერეკლე ხმალ-ამოწვდილი დაჰქროდა ხან ლეკების გასადევნად, ხან აჯანყებულ განჯის და ერევნის სახანოების დასაშოშმინებლად, მაგრამ თავისი მცირე ძალებითა და რუსების ორი ბატალიონით ზღვასავით აბობოქრებულ ამდენ მტერს ვეღარ უმკლავდებოდა, ბევრს ევედრებოდა რუსეთის მთავრობას, რომ ჯარები მოეშველებია, მაგრამ ამაოდ. თავის წერილებში, ერეკლე მეფე არც იმას უმალავდა რუსებს, რომ ასეთი გასაჭირი მას ადრე არასოდეს არ დადგომია და, რომ ყველა მისი უბედურება გეორგიევსკის ტრაქტატით იყო გამოწვეული. ერეკლე, რომ უაღრესად შევიწროვებულ მდგომარეობაში იყო ამ დროს ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ პირველად თავისი ორმოცი წლის მეფობის განმავლობაში, 5.000 მანეთის ხარკის ყოველწლიური გადახდის საფასურით იყიდა მშვიდობა დაღესტნელ **ომარ ხანთან.** ომარ-ხანის ჯარების შემოსევამ დიდი ზარალი მიაყენა ქართლ-კახეთს. მარტო ახტალის ვერცხლის წარმოების განადგურებით ასი ათასი ოქროს მანეთის ზარალი მიადგა მას. გაიტაცა ათასამდე ტყვე, ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და სხვა დიდძალი ქონება.

ასე ხშირი და გაუთავებელი ომების შედეგად ქვეყნის ეკონიმიური ცხოვრება სრულიად მოიშალა. პოლკოვნიკი ბურნაშოვი, თავის უფროსს გენ. პოტიომკინს წერდა: „საქართველო უკიდურესად ნადგურდება იმის გამო, რომ გზებზე მიმოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, პურის მოყვანა მთლიანად შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია. მის უმაღლესობას (მეფე ერეკლე) არ შეუძლია შეგროვილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან ფული არ აქვს, მისი შემოსავალი თითქმის გაქრა...“ მიუხედავათ ასეთი წერილების მიღებისა თავისივე მოხელესაგან, რუსეთის მთავრობა ერეკლეს არც ჯარით და არც ფინანსიურად არ ეხმარებოდა. ცხადია: რუსებს ხელს აძლევდა ერეკლე მეფის კიდევ უფრო და უფრო დასუსტება.

1787 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ქართველთა და რუსთა ჯარები განჯაში ლაშქრობდენ, კერძოდ ქალაქ განჯას გარემოიცავდენ; პოლ. ბურნაშევმა სწორედ მაშინ მიიღო უფროსის ბრძანება მის განკარგულებაში მყოფი რუსთა ჯარი დაუყოვნებლივ საქართველოდან გამოეყვანა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა შეშინებული განჯის ხანი კაპიტულიაციას აპირებდა; ბევრი ეხვეწა ერეკლე მეფემ პოლ. ბურნაშოვს ათი დღით მაინც მოეცადნა, მაგრამ პოლკოვნიკმა, გენ. პავლე პოტიომკინისაგან მიღებული ბრძანების მიხედვით, დაუყოვნებლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ველსაცა და საქართველოსაც გასცილდა. ამრიგად, რუსეთის მთავრობამ შეგნებულად და წინასწარ განზრახვით მის მფარველობაში მყოფ მეფე ერეკლეს გაჩაღებულ ომის დროს უღალატა. ერეკლე იძულებული გახდა ალყა მოეხსნა და კუდამოძუებული, შერცხვენილი თბილისში დაბრუნებულიყო და გენერალ პოტიომკინისთვის შემდეგი მწარე სიტყვები მიეწერა: „ყოველთა მტერთა ჩვენთაგან საცინელ ვიქმენით"-ო.

ამრიგად უდავოა: რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულობამ არამც თუ ერეკლეს სამეფოს და ქართველი ხალხის მდგომარეობა არ გააუმჯობესა, როგორც ამას ერეკლე და ნაწილი ქართველების იმედოვნებდენ, არამედ მან გამოიწვია ქართლ-კახეთის უკიდურესი დასუსტება და გამოფიტვა. შექმნა რა კრიზისული მდგომარეობა „მფარველმა" რუსეთმა პონს პილატეს მსგავსად ხელი დაიბანა და „მფარველობაში" მყოფი ქვეყანა გაავებულ მტრებს შეატოვა და ეს ისე, რომ ქართველი მეფე მიცემული ფიცისაგანაც კი არ გაანთავისუფლა. ერეკლე მეფე რაინდი იყო, ის ბოლომდე ერთგული დარჩა 1784 წ. 24 იანვარს დადებულ ფიცის, რომ გარდა რუსეთის იმპერატორისა, ის არ იცნობდა არც სპარსეთის და არც სხვა სახელმწიფოს უზენაესობას. ამ არადიპლომატიურმა რაინდობამ დაღუპა ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტია და განსაცდელში ჩააგდო ქართველი ხალხი.

როგორც კი **აღა-მაჰმად-ხანი** სპარსეთის ტახტზე წელში გაიმართა და გაძლიერდა, მაშინვე ერეკლეს მოსთხოვა, რუსეთთან ურთიერთობა გაეწყვიტა, მაგრამ ერეკლე მეფემ ცივი უარი შეუთვალა სპარს მბრძანებელს. ეს ამბავი, თავისი ელჩების პირით, დაუყოვნებლივ აცნობა რუსეთის მთავრობას და კავკასიის ხაზის მთავარსარდალს იმ დროს, გენერალ გუდოვიჩს, მაგრამ, როგორც ეს, ისე მის შემდეგ არა ერთი თხოვნა ჯარების მოსაშველებლად, რუსეთმა უყურადღებოდ დასტოვა. ორ წელზე მეტი მუქარის შემდეგ, 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანი დიდძალი ჯარით ერეკლე მეფის დასასჯელად დაიძრა. სანამ ქართლ-კახეთის საზღვრებს გადმოლახავდა, ის ერთი თვე შუშის ციხესთან იდგა და ზვერავდა, როგორც ერეკლეს, ისე გენერალ გუდოვიჩის მოქმედებას (გენ. გუდოვიჩის დასაზვერავად ყაჯარმა მაშინ ელჩები გაგზავნა და მხოლოდ მათი უკან დაბრუნების შემდეგ შეუტია ერეკლეს. ერეკლეს შვილიშვილები გვარწმუნებენ: გულხარბი გუდოვიჩი ყაჯარმა მაშინ დიდი ფულით მოისყიდაო.). როცა კარგად დარწმუნდა ერეკლეს ჯარების სიმცირეში და რუსთა დაუხმარებლობაში, მხოლოდ შემდეგ გამოეშურა თბილისისაკენ, 10 და 11 სექტემბერს ერეკლეს მცირერიცხოვან ჯარების მიერ გაწეულ გმირულ წინააღმდეგობის მიუხედავათ, აიღო იგი და შეუწყალებლად გადაწვა, დაანგრია, გაძარცვა.

ამ დიდი ეროვნული ტრაგედიის მთავარი დამნაშავე და პასუხისმგებელი რუსეთის მთავრობაა. აღა-მახმად ხანის შემოჭრას საქართველოში დიდი ხანია მოელოდენ. მიზეზიც კარგად იყო ცნობილი: სპარსეთის შაჰი ერეკლესაგან მოითხოვდა უარი ეთქვა რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ჯერ კიდევ 1794 წ. 21 მაისს, გარსევან ჭავჭავაძე შეხვდა ეკატერინე მეორეს და ერეკლე მეფის სახელით „დაუყოვნებლივ" დახმარება მოითხოვა. 1795 წ. მაისში, როცა ყაჯარი მზადებაში იყო ამიერკავკასიაზე გამოსალაშქრებლად, თვით მეფე ერეკლემ წინა კავკასიის ჯარების სარდალს 1783 წ. ტრაქტატის თანახმად, სამი ათასი ჯარისკაცის გამოგზავნა მოსთხოვა. 1795 წ. ივლისის ნოტით, ისევ გარსევან ჭავჭავაძე, კანცლერ ბეზბოროდკოს თხოვს: **რომ გადაჭრით აცნობონ მას: აპირებს თუ არა რუსეთი საქართველოს აღმოუჩინოს 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება.** არც ამ კატეგორიულ მოთხოვნას და არც სხვა მრავალ წერილობით და ემისრების თხოვნებს პასუხი არადა არ გასცა რუსეთის მთავრობამ. „როგორც ჩანს, იგი (რუსეთის მთავრობა) ამიერკავკასიაში დაძაბულ ვითარების ისეთ ფინალს მოელოდა, რომ ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა მისთვის უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო." ნათქვამია შერბილებულად ს.ი.ნ.–ს 757 გვერდზე. მაგრამ, ვერც დიდებული ერეკლე მეფე აცდება პასუხისმგებლობას, რომელმაც თავისი ჯიუტი რუსული ორიენტაციით ხელი შეუწყო ამ ტრაგედიის გარდუვალობას. ერეკლეს ამ პოლიტიკას არ თანაუგრძნობდა თავად-აზნაურთა ფართო წრე და უმრავლესობა მისივე ოჯახის წევრებისა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ერეკლემ კრწანისის ბრძოლაში ხუთი ათას მებრძოლის მეტის გამოყვანა ვერ შეძლო, მაშინ, როცა ჩვეულებრივად ქართლ-კახეთის სახელმწიფოს 30-40 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო, ბატონიშვილ გიორგის კახეთში ოთხი ათასი ჯარისკაცი ჰყავდა და ნახევრის მიშველებაც კი არ უფიქრია გაჭირვებაში მყოფ მამისა და ქვეყნისათვის.

ბავშმაც კი იცის კრწანისის ომში ქართველ მხედართა საარაკო მამაცობა და თავდადება; მოხუცმა ერეკლემაც, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად, უჩვენა მთავარსარდლის იშვიათი ხელოვნება და მტერზე ძლევის შთაბერვის უნარი, მაგრამ მომხდური მტერი სიმრავლით ხუთმეტჯერ სჯარბობდა, თუმცა, შინა გაცემა რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელია სპარსელებს თბილისი მა-

ინც ვერ აელოთ. (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის საქართველოს ისტორიაში, როცა თბილისის არაქართველი მკვიდრი კრიტიკულ მომენტში საქ-ს ღალატობს.)

აღა-მახმად-ხანის შემოსევას უფრო დარბევის ხასიათი ჰქონდა. აღას განზრახული ჰქონდა ერეკლე მეფისათვის ჭკუა ესწავლებია ან ქართლ-კახეთის ტახტზე მისთვის სასურველი კანდიდატი აეყვანა, მაგრამ მან ვერც ერთი შეძლო და ვერც მეორე, სამაგიეროდ, უეჭველად მისდა უნებურად, ქართლ-კახეთის სამეფო უკურნებლად დაჰკოდა და რუსთა ტყეობაში ჩააგდო.

გამწარებული გმირი ერეკლე კრწანისის ბრძოლის ველიდან, მტერს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა, შვილიშვილებმა ძალით გამოიტაცეს და მით ან აუცილებელ სიკვდილს, ან ტყეობას გადაარჩინეს. ერეკლე მეფემ ვახტანგ მეექვსის შეცდომა აღარ გაიმეორა: რუსეთში კი არ გაიხიზნა, არამედ საკუთარი ქვეყნის მთებს მიაშურა, იქ გამაგრდა და შეუდგა ძალების შემოკრებას. ყაჯარმა მბრძანებელმა კიდევ ერთხელ სცადა ერეკლესთან მოლაპარაკებით მიეღწია შეთანხმებას, მაგრამ ერეკლესა და მას შორის ხიდი საბოლოოდ ჩატეხილი იყო. ერეკლემ გადაჭრით უარყო მაჰმადიანურ ირანთან მორიგების გზა. აღა- მაჰმადს ხანგრძლივი ომის წარმოება საქართველოში არ შეეძლო იმ დროს, სექტემბრის ბოლომდე მისმა ჯარებმა ქართლის დაბლობებში იალაფეს, წვესა და ანგრიეს და შემდეგ დიდძალი ნაალაფრით და ტყვეებით დატვირთული(სხვადასხვა ავტორები ტყვეთა რიცხვს **15 - 30** ათასს ანგარიშობენ) სპარსეთს გაბრუნდა, ხოლო ერეკლეს მუქარა დაუტოვა: თუ ჭკუა არ ისწავლე მეორედ მოვალ და მაშინ ქვას ქვაზე არ დავტოვებო. რუსების წყალობით და ერეკლე მეფის ჯიუტობით მან ეს მუქარა კინაღამ შეასრულა და აი, როგორ?

ეკატერინე მეორეს მთავრობამ **1795** წლის გვიან შემოდგომაზე, როცა თფილისი და ქართლი უკვე დიდი ხნის აოხრებული იყო, უეცრად სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა, ამის მიზეზად მან აღა-მახმად-ხანის დასჯა გამოაცხადა, რომელმაც რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთი დაარბია. ლაშქრობა შემდეგი წლის აპრილში დაიწყო, რუსებისა და ქართველების ჯარებმა რუსეთისათვის დარუბანდი და ჩრდილოეთ-აზერბაიჯანის მთავარი ქალაქები დაიკავეს, ქართლ-კახეთმაც ცოტა ამოისუნთქა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდა. **1776** წ. **6** ნოემბერს ეკატერინე მეორე გარდაიცვალა, რუსეთის იმპერიის ტახტზე ასულმა პავლე პირველმა დედამისის პოლიტიკა გადააფასა, ირანთან ომის შეწყვეტა ბრძანა და ირანის შაჰისთვის, რომ მისი მშვიდობისმოყვარეობა დაემტკიცებია ამიერკავკასიიდან რუსთა ჯარების გაყვანა უბრძანა. აღა-მაჰმად ხანმა ეს რუსების დამარცხებათ ჩასთვალა კავკასიისკენ თავისი ჯარები დასძრა: **1797** წ. მაისში ყარსი და არდებილი დაიპყრო, ერევანი უომრად დამორჩილდა, ივნისის დამდეგს ერეკლეს უკანასკნელად ულტიმატუმი გამოუგზავნა, რაზედაც ერეკლემ ჩვეულებრივად პასუხი არ გასცა, და ცხადია მუქარას შეასრულებდა, რომ შეთქმულებს იგი მის მოციქულ მაჰმადთან არ გაეგზავნათ **6** ივნისს. ირანული წყაროების მიხედვით მკვლელს სახელად „გურჯი“ ერქვა, საქართველოში გავრცელებული ხმების მიხედვით კი-მცხეთელი ანდრია იყო, რომელსაც ბედმა საჭურისი შაჰის მონა-მსახურობა არგუნა. ამით გადარჩა საქართველო აღა-მახმად-ხანის მეორე შურისძიებას, რადგანაც მისი სიკვდილისთანავე გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა თვით შაჰობის კანდიდატთა შორის და ჯერ-ჯერობით მათ საქართველოსთვის აღარ ეცალათ.

ქართლ- კახეთმა ეს მცირე შესვენება ჭრილობათა მოსაშუშებლად და ნანგრევთა აღსადგენად სცადა გამოეყენებია. ერეკლე მეფე, მისი მუდმივი ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის ხელით, ნოტასნოტაზე გზავნიდა პეტერბურგის კარზე, **1783** წლის ტრაქტატის საფუძველზე სამხედრო და საფინანსო დახმარების მოთხოვნით. რუსეთი მართლაც მოვალე იყო მისი მიზეზით დანგრეულ თფილისის და საერთოდ ქართლის ქალაქ-სოფლების აღდგენაში დახმარებოდა, მაგრამ რუსეთის მთავრობა არამც თუ არ ეხმარებოდა არამედ ყველაფერს შვებოდა, რომ ქართლ-კახეთს სხვებისაგან არ მიეღო ფულადი დახმარება. მაგალითად გენერალი რიმსკი-კორსაკოვი, რომელიც რუსთა ჯარს განჯასთან სარდლობდა, ასეთი დარიგება მოუვიდა მისი მთავრობისაგან: „ყოველნაირად ეცადეთ, რომ მან(ერეკლემ) სხვისგან სესხი არ მიიღოს. დააიმედეთ, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს მის სასარგებლოდ.“( ბუტკოვი, **3**, გვ.**293**); აი, როგორი „ერთმორწმუნე მფარველი“ ჰყავდა ერეკლესა და მის სამეფოს!!!

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარზე საქართველოს სამეფოს გასაძლიერებლად არაფერს გააკეთებდენ, პირიქით მის თანდათან დასუსტებას ხელს უწყობდენ და ელოდენ ხელსაყრელ საერთაშორისო და შინაურ პირობებს მისი სრული ლიკვიდაციისათვის. ამ პირობებმაც არ დააგვიანეს. **1798** წლის **22** იანვარს, **78** წლის ასაკში, თელავში მიიცვალა მეფე ერეკლე და მის მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა შორის გაჩაღდა ბრძოლა ტახტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, რაც ისედაც დასუსტებულ სამეფოს კიდევ უფრო ასუსტებდა. დაახლოებით ამავე დროს ადგილი ჰქონდა ერთ საერთაშორისო ამბავს, რომელმაც რუსეთს გაუადვილა მისი გეგმების განხორციელება, როგორც ქართლ-კახეთში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებსა და მთელს ამიერკავკასიაში. ეს ამბავი იყო ნაპოლეონის ცნობილი ლაშქრობა ეგვიპტეში. ეგვიპტისა და მასთან ერთად აფრიკა-ახლოაღმოსავლეთის სამფლობელოთა დაკარგვის საფრთხით შეშინებულმა ოსმალეთმა პირი იბრუნა მის დაუძინებელ მტერ რუსეთისაკენ და მასთან თავდაუსხმელობისა და მეგობრობის ხელშეკრულობა დასდვა, რომელიც **1806** წლამდე გაგრძელდა. სწორედ ეს დრო გამოიყენა რუსეთმა საქართველოსა და აზერბაიჯანის სამეფო-სამთავრო-სახანოების ანექსია- დაპყრობისათვის. ხელშეკრულობით დაბმული ოსმალეთი გულისტკივილით ითმენდა რუსთა ამიერკავკასიაში წარმატებას. ამ დროს მხოლოდ სპარსეთი უპირისპირდებოდა რუსულ იმპერიალიზმს კავკასიაში, მაგრამ ის უძლური გამოდგა გამკლავებოდა, რადგანაც თვით ირანი იმ დროს ანარქიასა და დეკადანს განიცდიდა.

## მეფე ერეკლე მეორე

ამას ქართველები ალბათ დაბალ სკოლიდან ვეჩვევით, ჩვენს დიდ მეფეთა ჩამოთვლას რომ დავიწყებთ ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ დედოფალს და ერეკლე მეორეს ვახსენებთ. შეცდომას ხომ არ ვუშვებთ?

ერეკლე მამაცი, შემმართებელი, ნიჭიერი და მომხიბლველი მხედართმთავარი ჩანს. მას ორმოცამდე ომი აქვს, უმრავლესობა წარმატებით, გადახდილი. მისი ჯარისკაცები მისი გლეხებიც იყვენ იმავე დროს და, მეფე ერეკლე უყვარდათ კი არა, აღმერთებდენ კიდეცა. მასზე ლეგენდები ითხზებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ერეკლე მეფეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ქართლ-კახეთის გარეთაც, მთელს საქართველოში. ერეკლეს პატივს სცემდენ და ქედს უხრიდენ აზერბაიჯანელები და სომხები. მას ჰქონდა დიდი შესაძლებლობა დავით აღმაშენებლისა და თამარის კავკასიური სამეფოს აღდგენისა. გეორგიანთა მეფე ერეკლეს სახელი თვით დასავლეთ ევროპაშიაც კი დიდი გამოძახილით სარგებლობდა. ყოველივე ამას უეჭველად ჰქონდა საფუძვლები და არც ჩვენი განზრახვა არ არის მის დიდებას ჩრდილი მივაყენოთ, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს შემდეგი ფაქტი: ხელმწიფის სიდიადე იზომება მის მიერ დატოვებული სახელმწიფოს სიძლიერითა და გამძლეობის ხანგრძლივობით. ერეკლეს მიერ დატოვებულმა საქართველომ სამი წელიც ვერ იარსება. ერეკლე სტრატეგს ვერ უთანასწორდება ერეკლე პოლიტიკოსი და ერეკლე რეფორმატორი. ერეკლემ ვერ შეძლო ვერც ადმინისტრაციის, ვერც ჯარის ახალ წესზე მოწყობა. მორიგე ჯარიც კი, რომელიც ერთხანს წარმატებით ახორციელებდა ქვეყნის დაცვას, გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ ისევ მიატოვეს. ერეკლეს არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ საქართველოს გამრთელების მტკიცე პოლიტიკის უქონლობა. ხშირად მის დიპლომატიურ და საომარ მოქმედებას ტახტის შენარჩუნების და გაფართოების ბეჭედი უფრო აზის, ვიდრე საერთო ქართული. განუწყვეტელი ომებით ისედაც დაღლილ და არაქათ გამოლეულ სამეფოს ენერგია, მან შეალია განჯის, ერევნის, ყარაბაღის და სხვა სომხურ-აზერბაიჯანულ მიწა-წყლის შემოერთება-დასაკუთრებას, მაშინ, როცა იმერეთის სამეფოდან მოსულ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს უარი უთხრა შემოერთებაზე.

ერეკლე მეფის ყველაზე დიდი შეცდომა მაინც გეორგიევსკის ტრაქტატის დადება იყო რუსეთთან. ერეკლეს უეჭველად ეგონა, რომ რუსეთთან ხელშეკრულებით დროებით შეიმსუბუქებდა დამძიმებულ მდგომარეობას, მაგრამ მაგარიც იმაშია, რომ ტრაქტატის შემდეგ ერეკლე აღარ ჰგავს ერეკლეს, ის ხედავს, რომ რუსეთი მას არ ეხმარება ტრაქტატის მიხედვით, კიდევ მეტი—ღალატობს ბრძოლის ველზე; ერეკლე საიმპერატორო კარს არა ერთხელ ეკითხება, რომ თუ ტრაქტატის მიხედვით დახმარება არ სურს, მაშინ კეთილი ინებოს და გაანთავისუფლოს ის დადებული ფიცისაგან; წლების განმავლობაში პასუხის ღირსადაც არ ხდიან და ის კი გაჯიქებული სათანადო დიპლომატიურ და ადმინისტრატიულ ნაბიჯებს არ დგამს, რომ ქვეყანას კატასტროფიული საფრთხე თავიდან ააშოროს. ერეკლეს შეეძლო და ვალდებული იყო ენა გამოენახა აღა-მახმად-ხანთან, როგორც მას ურჩევდა ბევრი მისი ოჯახის წევრიცა და თავადობაც.

მავნე და დამღუპველი გამოდგა აგრეთვე ერეკლეს შინა-ოჯახური ღონისძიებებიც. ერეკლემ ვაჟიშვილებს თავთავისი სატახტო დომენები გამოუყო, რითაც ისინი დამოუკიდებელი გახადა ტახტისაგან და მით კიდევ უფრო გააძლიერა მათი ტახტისადმი დამოუკიდებლობის მიდრეკილება. ამის გამო იყო, რომ აღა-მახმად-ხანის წინააღმდეგ ერეკლემ მხოლოდ **5 000** ჯარისკაცის გამოყვანა შეძლო, ხოლო ერეკლეს სიკვდილის შემდეგ გამეფებულმა გიორგი მეცამეტემ ძმები სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ დამორჩილა, რამაც მეფე გიორგი აიძულა რუსებთან კიდევ უფრო მეტ დათმობებზე წასულიყო.

კიდევ უფრო დამღუპველი იყო ტახტისა და ქვეყნისათვის ერეკლე მეფის გადაწყვეტილება ბატონიშვილების ტახტზე მორიგეობით ასვლის შესახებ. ქართველები შეჩვეული იყვნენ წესს, რომლის მიხედვით ტახტზე ავტომატიურად ადიოდა გარდაცვლილი მეფის უფროსი ვაჟიშვილი. ერეკლე ანდერძით ამ წესს ცვლიდა. ერეკლეს ახსნით ძველი წესი სამართლიანი არ იყო და მოითხოვდა, რომ მის შემდეგ ტახტზე მორიგეობით ასულიყვნენ მისი ვაჟიშვილები უმცროს-უფროსობით. ამან, რა თქმა უნდა, უაღრესად გააღრმავა სამეფო ოჯახში, სამეფო კარზე და მთელს ქვეყანაშიც განხეთქილება და ანტაგონისტურ პარტიებათ დაყოფა, რითაც შესანიშნავად ისარგებლა მფარველის ქურქში გახვეულმა რუსულმა დათვმა.

უდავოა, ერეკლეს უფროსი ვაჟი–გიორგი სამეფო კაცი არ იყო, ამიტომ თუ ერეკლეს ტახტზე ასვლის შეცვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაშინ ეს მას მის სიცოცხლეში უნდა მოეხდინა. ვინაიდან ოჯახის წევრთა დიდი უმრავლესობა, ბატონიშვილ გიორგის გამოკლებით, იულონის გამეფების მომხრე იყვნენ და თვით ერეკლეც ამ არჩევანის მომხრე ჩანს, ერეკლეს უნდა გაეთვალისწინებია თუ რა არეულობას გამოიწვევდა ტრადიციისა და ჩვეულების ასეთი დარღვევა და ყველაფერი უნდა ეღონა,რათა მისი მემკვიდრეობის საკითხი მის სიცოცხლეშივე მოეგვარებია.

## ბაგრატიონების დინასტიის აგონია

წინა თავებში საკმაოდ დაწვრილებით აღვწერეთ გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები საქართველოსთვის. როცა ვაკვირდებით ორასი წლის სიშორიდან ცხადი ხდება, რომ ტრაქტატის ხელისმოწერით ცარიზმა პროვოკაცია მოუწყო ჩვენს სამშობლოს. მან საქართველოში მხოლოდ ორი ბატალიონი გამოგზავნა, ისიც მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ იმდენი ხმაური ასტეხა, რომ ყველა მეზობელი მუსულმანი სახელმწიფო აგვიმხედრა და თავს დაგვასია. ეს ამბავი ტრაქტატის დადების წინაც უნდა გაეთვალისწინებინათ ჩვენს მაშინდელ ეროვნულ მესვეურებს. მეტად მწვავე საომარი მდგომარეობის დროს, მფარველობაში მყოფ ხელმწიფესთან შეუთანხმებლად, რუსეთის სამეფო კარმა ის ორი ბატალიონიც გაიწვია საქართველოდან, რითაც ერეკლე მეფის მოსისხლე მტრებს თითქოს ნიშანი მისცა: რაც გინდოდეთ ის უყავით, ჩვენ ხელს არ შეგიშლითო! თვით ისეთი გამოჩენილი რუსი სახელმწიფო მოღვაწეებიც კი, როგორებიც იყვნენ გრაფი **ვორონცოვი და კოჩუბეი,** დარწმუნებული იყვნენ, რომ ის ორი ბატალიონი რომ მაინც ყოფილიყო საქართველოში, აღა-მახმად-ხანი იქ შესევას **1795** წ. ვერ გაბედავდაო, მაგრამ რუს მმართველთა მაკიაველობა სწორედ იმაში იყო, რომ ის თავის მზაკვრულ განზრახვებს აღა-მახმად-ხანის ხელით ახორციელებდა. ჯერ ხომ გაუთავებელი ომებით არაქათი გამოაცალა ერეკლეს სამეფოს, შემდეგ სპარსეთის შემოსევით სიკვდილამდე მიიყვანა ისე, რომ ძალა აღარ ჰქონებოდა რუსთა ანექსიის საწინააღმდეგოდ.

ერეკლე-პატარა კახის გარდაცვალებისთანავე დროს დაუკარგავად თავი მეფედ გამოაცხადა ერეკლეს უფროსმა ვაჟმა გიორგიმ. ეს ერთსა და იმავე დროს ძველი წესის და ერეკლეს ანდერძის შესაბამისი იყო. გიორგიმ დაუყოვნებლივ ელჩები მიავლინა რუსეთის საიმპერატორო კარზე, ტრაქტატის თანახმად ტახტზე დამტკიცება ითხოვა და ამავე დროს ტახტის მემკვიდრედ მისი შვილის, დავითის დამტკიცებას მოითხოვდა. ეს უკანასკნელი, ტრაქტატის მიხედვით, რუსთა მთავრობის კომპეტენციაში არ შედიოდა და გიორგი მეფის მხრით დიდი და საშიში დათმობა იყო. გიორგი მეფე იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგანაც სამეფო ოჯახის დანარჩენი წევრები, გიორგის შემდეგ, ერეკლეს ანდერძის თანახმად, მხარს უჭერდენ იულონ ბატონიშვილის გამეფებას. რუსებმა სწრაფად დაინახეს თუ სად იყო მათი ინტერესი და დროს დაუკარგავად, **1799** წ. **18** აპრილის უმაღლესი გრამოტით გიორგი მეცამეტე (ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფე გიორგის ისტორიკოსები ხან მეთორმეტეთი და ხან მეცამეტეთი მოიხსენებენ. ცრუმორწმუნეები განსაკუთრებით ერიდებიან **13** რიცხვის ხმარას, რადგანაც ის საბედისწერო რიცხვად ითვლება. ეს ცრუ რწმენა თითქოს მართლდება ამ შემთხვევაში, რადგანაც ბაგრატიონთა დინასტიას მართლაც ბოლო მოეღო გიორგი მეცამეტეთი.) ქართლ-კახეთის მეფედ იქნა დამტკიცებული, მის მემკვიდრედ კი დავით ბატონიშვილი. ინვესტიტურასთან ერთად თბილისში მოვიდა რუსთა ერთი პოლკი გენ. ლაზარევის სარდლობით და რუსეთის მინისტრ რეზიდენტი კოვალევსკი. ამ უკანასკნელს სხვათა შორის ევალებოდა მეფეზე თვალყურის დევნება, რომ რუსეთისათვის საზიანო არაფერი გაეკეთოს, ასევე ფხიზელი თვალყური ქვრივ დედოფალ დარეჯანზე, რომელსაც რუსები არ ენდობოდენ და ყველა მისი ოჯახის წევრებზე. სპარსეთთან საქართველოს ურთიერთობასაც

ის განაგებდა. წინა კავკასიის ხაზის სარდალს, გენ. კნორინგს, როგორც იერარქიულ უფროსს ებრძანებოდა ზედამხედველობა ეწარმოებინა, ხოლო გენ. ლაზარევს და მინისტრ კოვალევსკის ადგილობრივ ნიადაგი უნდა მოემზადებიათ ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებისათვის. მთელი არმია რუს თუ გარუსებულ ქართველ აგენტებისა ამ მიზნით მათ განკარგულებაში იყვენ. პეტერბურგის საიმპერატორო კარის დაწყობილებას განსაკუთრებით ხელს უწყობდენ თბილისში: სნეული მეფე, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ყოველ **24** საათიდან **21**-ს ანდომებდა ძილს, ჭამა-სმასა და ლოცვას, და მხოლოდ სამ საათს სახელმწიფო საქმეებს, და ერეკლეს ოჯახის დანარჩენ წევრთა ღრმა ანტიპათია მისდამი.

რუსულ არქივში შემონახული დოკუმენტი გიორგი მეფეს ადანაშაულებს ღალატში. ეს დოკუმენტია გიორგი მეფის წერილი იმპერატორ პავლე პირველისადმი, სადაც ნათქვამია, რომ მას, გიორგის, ჯერ კიდევ ადრე, როცა ბატონიშვილი იყო, გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ- კახეთი სრულ საკუთრებაში გადაეცა რუსეთის იმპერატორისათვის, მაგრამ ამას ვერ ამხელდა სანამ მეფე არ გახდა; ახლა კი, თხოვდა გიორგი მის იმპერატორულ უდიდებულესობას ამ მის განზრახვის სისრულეში მოყვანას; სანაზღაუროდ, ამ წერილით გიორგი მეფე ითხოვდა წლიურ ჯამაგირს და ადგილ-მამულებს რუსეთში(**30** ათასი ყმა-გლეხით). რუსულ კანცელარიაში შეთითხნილ ამ „წერილს“, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვენდოთ; თუ ეს „წერილი“ მართლაც გიორგი მეფის დაწერილია, მაშინ მისი საკითხი ფსიქიატრთა სამსჯავროს უნდა გადაეცეს ჩვენ კი ვეთანხმებით **ს.ი.ნ.**–ს აზრს: „მეფის რუსეთის მთავრობა და მისი მეხოტბე ისტორიოგრაფია თავს არ ზოგავდენ, რომ რამენაირად შეენიღბათ დამპყრობლური პოლიტიკა და მოეძებნათ „გარეგნულად საპატიო მიზეზი“ ისედაც ვრცელი იმპერიის გაფართოებისათვის.“ „ყოველგვარ დაპყრობას ტერიტორიისა,–წერდა ფ. ენგელსი,–ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ ჩაგვრას ცარიზმი ახორციელებდა მხოლოდ განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღაბით.“(იხ. გვ.**806**)

რუსთა ვერსიას გიორგი მეფის პასუხისმგებლობის შესახებ დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან მთელი რიგი ფაქტებისა და დოკუმენტებისა. მაგალითად, გენ. ლაზარევი გენ კნორინგს წერს **1801** წ. **2** იანვარს, რომ მეფე გიორგიმ სიკვდილის წინ მას აახლა მისი(გიორგი მეფის) ორი ერთგული ბერი, რომლებმაც მოახსენეს: „ცარ პრიკაზივაეტ ტოტჩას პო ეგო კონჩინე ვოზვესტი ცარევიჩა დავიდა ნა პრესტოლ.“ აქედან უდავოა, რომ გიორგი მეფე ტახტის გაუქმებას კი არ ავედრებდა რუსებს, არამედ მასზე მისი შვილი დავითის აყვანას. ამის გარდა ისიც კარგად ცნობილია, რომ პავლე პირველის მანიფესტი გიორგი მეფის სიცოცხლეში შემუშავდა **1800** წლის **18** დეკემბერს და ის დაუყოვნებლივ გადაუგზავნეს გენ. კნორინგს. უკვე კარგა ხნით ადრე ამ უკანასკნელს მიღებული ჰქონდა იმპერატორის ბრძანება, რომ გიორგის სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთის ტახტზე ახალი მეფე აღარ დაეშვა. ამ დროს პეტერბურგიდან თბილისისაკენ მოეშურებოდენ ქართველი ელჩები: თუმანიშვილი და ავალიშვილი, რომლებსაც მეფე გიორგისთან ხელმოსაწერად მიჰქონდათ პავლე პირველის მიერ დამოწმებული „გიორგი მეფის სათხოვართა პუნქტები.“ განგებამ თუ შემთხვევითობამ არ ისურვა რუსთა განზრახვის შესრულება: სანამ ელჩები თბილისს მოაღწევდენ გიორგი მეფე უკვე გარდაიცვალა **1800** წლის **28** დეკემბერს და მით პეტერბურგში ჩაწყობილი გეგმებიც ჩაიშალა.

ამ ფაქტებიდან ცხადია: რუსეთის მთავრობას საბოლოოდ წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება, თუ გიორგი მეფე თავის ნებით დათანხმდებოდა ხომ კარგი, თუ არადა მის წინააღმდეგაც განახორციელებდენ. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად საიმპერიო კარი ამზადებდა მოვლენებს და საბუთებსაც. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად რუსები უკან არ დაიხევდენ არავითარი სიცრუისაგან და სიყალბისაგან, არავითარ ცილისწამებისაგან. ვინაიდან მათი გეგმები ჩაიშალა „თხოვნათა პუნქტებზე“ მეფე გიორგისაგან ხელმოუწერლობის გამო, იმპერატორის კანცელარიაში არ გაუჭირდებოდათ გიორგი მეფის ყალბი წერილის შედგენა, რომელიც საფუძვლად გამოდგებოდა იმპერატორ პავლე პირველის უკვე შედგენილ მანიფესტისათვის, რომლის მიხედვითაც, „რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთს იერთებდა ნებაყოფლობით მეფე გიორგის სურვილითა და თხოვნით და ტახტის მემკვიდრეთა, ქვეყნის მმართველთა და ქართ–ი ხალხის თანხმობით.“

როცა საკითხი ეხებოდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს, სიმართლე, პატიოსნება, სახელი, ღირსება–ყველაფერი უნდა შესწირვოდა მას. ამიტომ რა გასაკვირია თუ საქართველოს მეფე და ნაწილობრივ მისი ელჩებიც ისტორიის წინაშე სამშობლოს მოღალატეებად იქნებიან შერაცხილნი.

დავუშვათ ერთი წუთით და ვთქვათ, რომ გიორგი მეცამეტემ, უაღრესად შეჭირვებულმა საგარეო და საშინაო მტრებისაგან, მართლაც უღალატა თავის მისიას,–სახელმწიფოს მთლიანობი-

სა და არსებობის თავდებობას! მერედა რაო? განა ეს ავალდებულებს ქართველ ხალხს სამუდამოდ ცნოს და პატივი სცეს ამ უმსგავსო ღალატს?- განა ლენინი არ იყო, რომელიც წერდა: „ყოველი ხალხი, რომელიც მეორე ხალხთან არის შეერთებული არა თავისი უმრავლესობის ნებაყოფლობითი სურვილით, არამედ მეფის ან მთავრობის გადაწყვეტილებით, ანექსირებული, დაპყრობილი ხალხია. ანექსიებზე ხელის აღება არის ყოველი ხალხისათვის უფლების მინიჭება—შექმნას ცალკე სახელმწიფო, ან იცხოვროს იმასთან კავშირში, ვისთანაც მას სურს." ( ვ. ი. ლენინი, თხზულებები 24, გვ. 490); მაშ, რა სინდისით შეუძლიათ დღეს იგივე ლენინის პოლიტიკურ მემკვიდრეებს გაამართლონ ცარისტული რუსეთის იმპერიალისტური ანექსია და ქართველი ხალხი აზეიმონ ეს მისთვის ავად მოსაგონარი ამბავი?!

ზემოდ მოყვანილი ფრიდრიხ ენგელსის გამონათქვამი ზუსტად გადმოცემს იმპერატორ პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის მანიფესტებით, 1801 წლის საქართველოს ანექსიის ამბავს. კაცს ეგონება, რომ ეს სწორედ ამ შემთხვევაზეა ნათქვამი. რა თქმა უნდა, რომ ენგელს მარტო საქართველო არ ჰყოლია მხედველობაში. მოსკოვის იმპერია უკვე კარგად გავარჯიშებული იყო, როცა საქართველოს ჯერი დადგა. რუსულ ვეშაპს ბევრი ცოდვა აძევს კისერზე. მოვიგონოთ გაკვრით ზოგიერთი: 1552 -56 წწ. ივანე მრისხანემ დაიპყრო ვოლგის მხარე, ყაზანის და ასტრახანის სახანოები და ამავე დროს მფარველობაში მიიღო ციმბირის ხანი—იედიგერი. იედიგერის მემკვიდრე ქუჩუკ-ხანმა უარი თქვა ხარკი ეხადა რუსეთისათვის. მის დასასჯელად გაგზავნილმა კაზაკებმა ერმარკის მეთაურობით პირწმინდად გაჟლიტეს ციმბირში მცხოვრები ათ მილიონამდე მონგოლი ისე, რომ მე17-ე საუკუნის დასაწყისში მთელი უზარმაზარი ციმბირი რუსეთმა შეიერთა და რუსების სამშობლოდ გამოაცხადა;

1648 წელს ზაპოროჟიეს თავისუფალმა კაზაკებმა ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით რუსეთის მფარველობა ითხოვეს, რაც რუსეთის მთავრობამ სიამოვნებით დააკმაყოფილა; 19 წლის შემდეგ რუსეთმა ეს მხარე, ქალაქ კიევთან ერთად, დაიპყრო და უშუალოდ შეიერთა; უკრაინამ არა ერთხელ სცადა მოსკოვის უღლიდან განთავისუფლება, მაგრამ ყოველთვის დამარცხდა(მაგ. მაზეპას აჯანყება); ეკატერინე მეორემ, 1764 წ. ჰეტმანობა გააუქმა, კაზაკებს მანამდე ნაქონები განსაკუთრებული უფლებები ჩამოართვა, შემოიღო ბატონყმობა, როგორც რუსეთში და მოახდინა დონის კაზაკების მიწა-წყლის ინკორპორაცია მოსკოვის სამეფოში;

დიდხანს უტრიალა პოლონეთს, რომლის ძლიერებაც სწორედ მან დასცა და როგორც იყო ის რუსეთმა მფარველობაში აიყვანა 1738 წელს ვენის ხელშეკრულობით. 1772 წელს კი ის რუსეთმა და პრუსიამ გაინაწილეს. მცირედი ინტერმედიის გარდა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა, პოლონეთი იბრძვის თავი დააღწიოს რუსების „მფარველობას" შეუწყვეტლად დღემდე. პოლონელი ხალხი დღესაც დაუთრგუნველია და იმედია საბოლოოდ გაიმარჯვებს, რაც შეიძლება ნიშანი გახდეს ჩვენი განთავისუფლებისაც.

აქ აღარაფერს ვიტყვით არც ბალტიის ქვეყნების დაპყრობაზე და კოლონიზაციაზე, არც ყირიმის სახანოს დასაკუთრებაზე და მის მკვიდრ თათარ მოსახლეობის ან მამაც ჩრდილოკავკასიელთა ამოჟლეტვაზე და მათი სამკვიდრო მიწა-წყლის რუსთა მიერ დაპატრონებაზე.

მოსკოვის იმპერია ხალხთა სისხლით გასივებული წურბელაა, ის ადრე თუ გვიან ამ სისხლმა უნდა იმსხვერპლოს და ის ვინც დღეს მის გამარჯვებებს ზეიმობს, ისიც იმ წურბელას ბედს გაიზიარებს.

ჩვენ დაწვრილებით ვეღარ შევჩერდებით რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის და შემდეგ საქართველოს სხვა ნაწილების ანექსიის მომენტებზე. უნდა ითქვას, რომ 1801 წლის, ჯერ იმპერატორ პავლე პირველის და მისი მოხჩობის შემდეგ, მისი ვაჟიშვილის, იმპერატორ ალექსანდრე პირველის, მანიფესტების გამოცხადების დროს და რუსული მმართველობის დამყარების პირველ მომენტში, როგორც ბატონიშვილები, ისე თავადობა და ხალხი დაბნეული ჩანს და ნელნელად ერკვევა რუსების მიერ შექმნილ ახალ სიტუაციაში. ისინი თავიდან თითქოს მერყეობენ, თუ როგორი პასუხი გასცენ რუსების ძალადობას. დავით გიორგის ძე, რომელიც იმპერატორის მიერ დამტკიცებული იყო ტახტის მემკვიდრეთ, შექმნილ მდგომარეობაში ვერ გაერკვა, იმის მაგივრად რომ რუსების მიმართ გადაჭრით და მტკიცედ ემოქმედნა, დაუყოვნებლივ მეფედ კურთხეულიყო და ქართველი ხალხი შემოემტკიცებინა, თავის შინაურ მოწინააღმდეგეებს დაერია. იულონ ბატონიშვილი და დედოფალ დარეჯანის პარტიის სხვა წევრებიც მერყეობენ. ერეკლეს სახელოვანმა კანცლერმა, სოლომონ ლიონიძემაც იმის მეტი ვერაფერი გააკეთა, რომ თბილისს გაეცალა და იმერეთის მეფეს შეაფარა თავი. თვით იმერეთის მეფეც რუსეთთან

ეპისტოლების წერით დაკმაყოფილდა მანამ, სანამ რუსები იმერეთსაც დასაპყრობლად არ მიადგნენ. ეს პირველი საათების არეულ-დაბნეულობა, ურთიერთ მტრობა და უნდობლობა კარგად გამოიყენეს თფილისში 1783 წლის ხელშეკრულებით დაბანაკებულმა რუსებმა, მათ ხომ წინასწარ შემუშავებული გეგმებიც ჰქონდათ და იცოდნენ რაც უნდოდათ.

ერეკლეს ოჯახის წევრები და ქვეყნის თავადობა მას შემდეგ გამოერკვნენ, როცა რუსთა ხელისუფლებამ საქართველოდან ბაგრატიონთა ძალით გადასახლებას მიჰყო ხელი და ქვეყანაშიც რუსული მართვა-გამგეობა გაახორციელა. დედოფალ მარიამის ჟესტი, რომელმაც ხეპრე რუს გენერალ ლაზარევს ხანჯლით გაუპო გული—თითქოს ნიშანი იყო ამ გამოფხიზლების და წინააღმდეგობის დაწყების მაუწყებელი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო: რუსების გასმა კავკასიონის მთებს მიღმა შეუძლებელი გახდა.

საქ–ს დაპყრობის საქმეში რუსები კარგი მოწაფეები გამოდგნენ ძველი რომაელების, რომელთა დევიზიც იყო: დაყავი და იბატონე. რუსები საუცხოოდ იყენებდნენ ქართველ მეფე-მთავართა შეუთანხმებლობით და ხშირად მტრობითაც. რუსეთის ანექსიას ყველაზე მეტი წინააღმდეგობა იმერეთმა გაუწია. იმერეთის დასამორჩილებლად რუსებმა მშვენივრად ისარგებლეს გურიის და სამეგრელოს მთავრების სიბეცით. იმერეთის დაპყრობის შემდეგ კი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რუსებმა არც გურიისა და სამეგრელოს სამთავროების ავტონომია დაინდვეს, ორივე შეუერთეს რუსეთის იმპერიას.

## მუსულმანური საქართველო

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მუსულმანური საქართველოს რუსეთის მიერ „განთავისუფლების" საკითხი. მე-19-ე საუკუნის სხვადასხვა პერიოდებში წარმოებულ ომების დროს, რუსეთმა თანდათან ოსმალეთს გამოსტაცა საქართველოს ძველთაძველი სამხრეთის პროვინციები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთმა მიიტაცა და გაამაჰმადიანა. ამ ჩვენი ტანჯული ძმების დედა-სამშობლოს წიაღში დაბრუნება მუდმივი სანუკვარი ოცნება იყო ყველა დროის ქართველი მამულიშვილისათვის, ერეკლე მეფის რუსული ორიენტაციაც უეჭველად ამ იმედით იკვებებოდა. ამიტომაც იყო: ქართველები თავდაუზოგავად, ლომებივით იბრძოდნენ რუსების გვერდით ამ ომების დროს, მაგრამ რუსეთმა აქაც იმედები გაგვიცრუა. რუსების მხეცური პოლიტიკა ქართველმა მაჰმადიანებმა ვერ აიტანეს, ვინც რუსთა ზარბაზნებს და კაზაკთა ხმლებს გადაურჩნენ, ოსმალეთში გადაიხვეწნენ. მათ ადგილას კი რუსეთის მთავრობამ თურქეთის სომხები გადმოასახლა. ცხადია: ქართველების გავლენის შესასუსტებლად. აი, რას წერდა ამის შესახებ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი:

„1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკალიო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30.000 მცხოვრები ჩაასახლა...მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90% აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სომეხნი იქცნენ."(ივ. ჯავახიშვილი, მოხსენება საბჭოთა მთავრობას, 1926 წ.)

ახალციხის ოლქში, რომელიც ახალი შექმნილი იყო, 1830 წელს ცხოვრობდა სულ 38.730 სული აქედან 25.545 იყო სომეხი, 1859 ქართველი ქრისტიანი და 10.663 ქართველი მაჰმადიანი; იქვე დაიწყო დასახლება ბერძნებისა და ებრაელების. აქედან ცხადია, რომ რუსეთმა არა მარტო ჩვენი სახელმწიფო მოგვისპო, არამედ ყველაფერსაც შვებოდა ჩვენი, ქართველების სახელი ამოეძირკვა ქართველების ისტორიულ მიწა-წყლიდან.

## ქართული ქრისტიანული ეკლესია და რუსეთი

თქმა არ უნდა, ქრისტიანულმა ეკლესიამ უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის ცხოვრებაში, მისი ეროვნული მთლიანობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში, მისი სულიერი კულტურის გაფურჩქნა-აყვავებაში, ქართული ეროვნული სახის შენარჩუნებაში. ქართველებმა ერთ-ერთმა პირველებმა იწამეს ქრისტე. ქრისტიანობა ქართველთა სახელმწიფო რელიგიად იქცა მეოთხე საუკუნედან, ხოლო ქართული ქრისტიანული ეკლესია დამოუკიდებელი იყო მეხუთე საუკუნედან მოყოლებული და ასე დარჩა იგი მიუხედავათ მონგოლებისა, მიუხედავათ სპარ-

სთა და მიუხედავათ ოსმალთა ხანგრძლივი მპყრობელობისა. მძიმე, ძალიან მძიმე იყო ქარ-თველთათვის ქრისტეს ძელის ტარება. ცხადია, რომ ხშირად ძალიან უჭირდათ მტანჯველ გოლ-გოთის გზაზე სვლა, ამიტომაც ეძიებდენ ისინი დამხმარე ხელის შეშველებას ერთმორწმუნე რუსებისაგან. ერთმორწმუნეობა იყო ერთერთი მთავარი გამამართლებელი მოტივი 1783 წლის რუსეთთან დადებული ხელშეკრულობისა. ტრაქტატშიაც განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ, თუმცა საქართველოს ეკლესია რუსულ სინოდს დაექვემდებარება და იქ იერარქიულად მერვე ადგილს დაიკავებს, მისი წყობა და მართვა-გამგეობა ხელშეუხებელი დარჩება. მოიკიდა თუ არა ფეხი საქართველოში, რუსეთის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მოსპო კათალიკოსობა. უკანასკნელი კათალიკოსი **ანტონ მეორე** რუსეთში გადაასახლა და საქართველოში კათალიკოს-ობის მაგივრად ეგზარქოსობა დააწესა. პირველი ეგზარქოსი მართალია ქართველი იყო **ვარლამი**, ქსნის ერისთავის ვაჟი. ქსნის საერისთაო ხომ რუსეთის წყალობით გაძლიერდა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ, ამიტომ ვარლამ ეგზარქოსი რუსზე არა ნაკლები სანდო იყო რუსეთის სამეფო კარისათვის. რუსებმა ვერც ასეთი ერთგული რუსოფილი იგუეს დიდხანს, მას გადაა-ბრალეს ეკლესიის რეფორმებთან დაკავშირებული აჯანყებები, რომლებიც განსაკუთრებით ძლი-ერი იყო იმერეთში, ვარლამი პეტერბურგში გაიწვიეს და მის ადგილას დანიშნეს რიაზანის ეპისკოპოსი **თეოფილაქტე რუსანოვი.** აქედან მოყოლებული ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას მუ-დამ რუსი ეგზარქოსები განაგებდენ. მე აქ აღარ შევუდგები აღწერას იმ სულიერ-მორალურ ზარალისა, რაც ამას მოჰყვა შედეგად: ქართულ ეკლესიას მისი ეროვნული სული ამოართვეს.

მაგრამ, ქართული ეკლესიის რიგითი მსახურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი წყა-ლობით რუსთა ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოებულ სასტიკი გამარუსებელი პოლიტიკის მიუხედავათ, ქართული ეკლესია ეროვნულად მაინც ჯანსაღი დარჩა და, როგორც კი საშუალება მიეცა, დაუყოვნებლივ, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტშივე, აღადგინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაცა და კათალიკოსობაც. ამით ჩვენი ეკ-ლესიის მამებმა მაგალითი მისცეს ქართული პოლიტიკის მესვეურებს.

### ანექსიის შედეგები ანუ რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ზოგიერთი მომენტი

1801 წლის მანიფესტის შედეგად გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველოში ისეთი საშინე-ლი ანტიეროვნული და ანტიხალხური ხასიათი მიიღეს, რომლის მსგავსი ქართველებს აღარ ახსოვდათ თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ. მეფობის გაუქმებას დაუყოვნებ-ლივ მოჰყვა ყველა ეროვნული ქართული დაწესებულების გაუქმება და მმართველობის სრული რუსიფიკაცია. ადმინისტრაცია, სამართალი, სამაზრო და სათემო საქმეები უეცრად რუსულ ენაზე გადავიდენ და მათ გასაგებლად დანიშნეს რუსი ოფიცრობა ან სამოქალაქო ჩინოვნიკე-ბი. მოხელეთ ხალხის ენა არ ესმოდათ, ხალხს კი—მოხელეების ენა. ამას ზედ ემატებოდა რუს ჩინოვნიკთა გარყვნილება და სიხარბე. ქართველი ხალხი გადაიქცა ამ მოხელეთა გაუმაძღარ ყლეფის, აბუჩად აგდების და დამცირების საგნად. ამას ზედ დაერთო ეკონომიური მდგომარე-ობის კატასტროფიული გაუარესება, ფულის კურსის დაცემა, სურსათ-სანოვაგის სიმცირე და თვით შიმშილობა.

რუსული მმართველობა საქართველოში სამხედრო-საოკუპაციო ხასიათის იყო, ის რუს შეია-რაღებულ-სამხედრო ძალებს ეყრდნობოდა, რომლის შენახვა ქართველ ხალხს მძიმე უღლად აწვა კისერზე. გათავხედებული რუსი ჩინოვნიკები ისე ძალადობდენ, როგორც ომით დაპყრობილ ქვე-ყანაში. ჭირნახულთან ერთად, ისინი გლეხებს ართმევდენ ცხენებს, ხარებს, საკლავებს. ძალა-დობდენ ქალებზე და ქალიშვილებზე (იხ. ს.ი.ნ., გვ.830 - 33).

რუსთა ცრუ პროპაგანდით მოტყუებული ყველა ფენის ქართველები თანდათან ერკვეოდენ და იძულებული ხდებოდენ იარაღისთვის მიემართათ, რათა თავი დაეხსნათ ამ ახალი მონობი-საგან. პირველ ხანებში კიდევ ეგონათ, რომ მშვიდობიანი თხოვნებით საქმე მოგვარდებოდა, რუსეთის მთავრობა დათანხმდებოდა სამეფოს დატოვებას გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში, თუნდაც კიდევ უფრო შეზღუდულ ფორმაში, მაგრამ როცა სამეფო ოჯახის წევრების ძალით გადასახლება დაიწყეს რუსეთში, მაშინ კი დარწმუნდენ საბოლოოდ ქართველები, რომ მშვი-დობიანი გზით რუსთაგან ვერაფერ დათმობას მიიღებდენ და აჯანყებებმაც იფეთქეს.

ერეკლეს შვილებისა და შვილიშვილების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთს თავისი ხალხი თავისი ნებით არ მიუტოვებია, რუსთა მიერ შეთავაზებულ ადგილ-მამულსა და ფულს

არ დახარბებია. დედოფლებიდან დაწყებული ბატონიშვილებამდე ყველა ძალით გადაასახლეს რუსეთში. ზოგიერთმა ბატონიშვილმა იმერეთში გაქცევით უშველა თავს. ამათგან, იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები 1804 წლის აჯანყების დროს ჩაიგდეს ხელში რუსებმა და მაშინათვე გადაასახლეს რუსეთში, გრიგოლ ბატონიშვილი დაატყვევეს 1912 წლის აჯანყების დროს და ისიც სხვების გზას გაუყენეს. გადარჩა რუსების ტყვეობას მხოლოდ ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია, რომ ბაგრატიონთა ტახტი კვლავ აღედგინა თბილისში. ვაგლახ, რომ მარჯვენას მისას ბარაქა აკლდა.

რუსების ძალადობის წინააღმდეგ აჯანყების დროშა პირველად კახელებმაააფრიალეს 1802 წ. ივლისში. ისინი მოითხოვდნენ, ერთ-ერთი ჩვენივე მეფე დაგვიყენეთ და როგორც წინად ისე გვიმსახურეთო. აგვისტოში, იმერეთში მყოფი იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები მხედრობით ქართლში შეიჭრენ და საერთო აჯანყება სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. რუსებმა იმ ხანად ტყუილი დაპირებებით შეძლეს კახელების დაშოშმინება. ქართლშიაც და კახეთშიაც ამ დროს კიდევ იყო ილუზიები, რომ რუსეთის მთავრობა დათანხმდებოდა ქართლ-კახეთის ტახტის აღდგენას. ამ რწმენას იზიარებდნენ ყოფილი ქართველი ელჩები რუსეთის სამეფო კარზე, კერძოდ გარსევან ჭავჭავაძე. გარსევან ჭავჭავაძის ჯგუფმა თავისი შემრიგებელი პოლიტიკით ცოტა სამსახური არ გაუწია რუსთა ძალაუფლების გამტკიცებას ქართლ-კახეთში. აკი რუსეთის სამეფო კარმაც არ დაუვიწყა სამსახური და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მარშლობა სულ პირველად მას უწყალობა.

**1804 წლის აჯანყება.** აჯანყებამ პირველად თავი იჩინა მთიულეთში მაისის დასაწყისში. აჯანყებულები გარს შემოერტყნენ ანანურსა და დუშეთს. რუსული ჯარის ოფიცერი აზნაური ჩოფიკაშვილი, რომელიც თავადობას მოელოდა, ერთგული დარჩა რუსების და მისი გავლენით ხევის ზოგიერთი სოფელი აჯანყებულებს არ მიემხრო. მაინც მეამბოხეთა რიცხვი 4.000 კაცს აღწევდა. აჯანყებულებმა იმერეთში მყოფი ბატონიშვილები, იულონი და ფარნაოზი იხმეს ხელმძღვანელებად. ეს უკანასკნელები სასწრაფოდ გამოეშურნენ, მაგრამ რუსებმა მათ გზა გადაუჭრეს ქართლში, იულონი დაატყვევეს, ფარნაოზი კი ახალციხეში გაიქცა. ქსნის ერისთავმაც, რომელმაც, ერეკლესაგან განდევნილმა, რუსეთის წყალობით დაიბრუნა მისი ძლიერი საერისთავო, რუსეთს არ უღალატა( ქსნის საერისთაოში 4.000 ოჯახი ყმა-გლეხი ცხოვრობდა ), თუმცა მის საერისთავოსაც მოედვა აჯანყება და თვით ერისთავსაც დამხობას უქადდა. ივლისსა და აგვისტოს თვეებში აჯანყება კიდევ უფრო გაძლიერდა, აჯანყებულებმა ლომისა აიღეს და ოც აგვისტოს დუშეთის ყაზარმები გადაწვეს. სექტემბერში მთიანეთში გაჩნდა ფარნაოზ ბატონიშვილი, რომელსაც კახეთის თავად-აზნაურობის უმრავლესობა მხარს უჭერდა. რუსთა სარდლობამ დიდძალ სამხედრო ნაწილებს მოუყარეს თავი, აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას თვით მთავარსარდალი გენ. ციციანოვი მეთაურობდა. აჯანყებულებს ყოველ მხრიდან შეუტიეს და ბოლოს და ბოლოს გამარჯვება რუსებს დარჩათ, რომლებიც სასტიკად გაუსწორდნენ ბრძოლებში გადარჩენილ აჯანყებულებს. ფარნაოზ ბატონიშვილი დაატყვევეს და მალე რუსეთის გზას გაუყენეს, ხოლო მისი ამალის 300 თავად-აზნაური ციხეში გამოამწყვდიეს. ეს აჯანყება იყო არა თავადების აჯანყება, როგორც ამას რუსების პროპაგანდა ავრცელებდა, არამედ ჭეშმარიტი ხალხური აჯანყება უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

**1812 წლის კახეთის აჯანყება.** აჯანყებამ პირველად სოფელ ახმეტაში იფეთქა 31 იანვარს. ახმეტლებმა რუსთა საეგზეკუციო რაზმი ამოხოცეს ან გარეკეს, რის შემდეგაც აჯანყება ელვისებურად გავრცელდა მთელ კახეთში. ორ თებერვალს აჯანყებულებმა თელავი აიღეს, ექვს თებერვალს სიღნაღი, ბოდბისხევში განლაგებული რუსთა ნაწილიც გაანადგურეს და ასეთივე დღე დააყენეს საეგზეკუციო რაზმებს ძაგაში, კაკაბეთსა და მანავში. აჯანყებულებს მიზნად ჰქონდათ თბილისის დაკავება და დამოუკიდებლობის გამოცხადება. რვა თებერვალს კახელებს ფშავ-ხევსურეთიც შეუერთდა. აჯანყებული თუშ-ფშავ-ხევსურები სამხედრო გზაზე გავიდნენ, დუშეთისა და ფასანაურის საგუშაგოები აიღეს, ანანურს ალყა შემოარტყეს და ამით რუსთა ჯარებს დიდი საფრთხე შეექმნათ. რუსებმა კვლავ შეძლეს დიდი სამხედრო ძალების თავმოყრა, რომელსაც თვით მთავარმართებელი პაულუჩი სარდლობდა. სასტიკი ბრძოლა მოხდა სოფ. ჩუმლაყთან 1 მარტს, ოთხი ათასი მეამბოხე თავგანწირვით იბრძოდა და დიდი ზიანიც მიაყენა რუსებს. აჯანყებულებს ამ ბრძოლაში ერეკლეს შვილიშვილი, გრიგოლ იოანეს ძე სარდლობდა. საბოლოოდ აჯანყებულები იძლიენ, ბატონიშვილი გრიგოლი დაღესტანში გაიქცა, მაგრამ იქიდან მალე ჩამოიყვანეს და რუსეთის გზას გაუყენეს.

აჯანყება კი მაინც არ ცხრებოდა. პეტერბურგმა ბრალი მთავარმართებელს დასდვა და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგივრად გენ. რტიშჩევი დანიშნა თანაც ზოგიერთი სხვა დათმობებიც გააკეთა აჯანყებულთა დასაშოშმინებლად, მაგრამ ის სულ უფრო ბობოქრობდა. აპრილის დამდეგს აჯანყება გავრცელდა კახეთის გაღმა მხარის სოფლებში: **ენისელი, გრემი, შილდა, საბუე.** აჯანყება მოედვა აგრეთვე **ქიზიყსაც.** დამფრთხალმა გენ. რტიშჩევმა დიდძალი ჯარი გააგზავნა გენ. **სტალისა** და გენ. **დიმიტრი ორბელიანის** სარდლობით, თანაც პროკლამაციები გაავრცელა, რომელშიც ამნისტიას და სხვა დაპირებებს სთავაზობდა აჯანყებულებს. ამავე დროს აჯანყებულებს მიუგზავნეს გავლენიან თავადთა ჯგუფი შუამავლად. ამ მოციქულობის შემდეგ აჯანყებულები მშვიდობიანად დაიშალენ.

კახეთის აჯანყებულებმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე გაზგავნეს კაცი ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა, და მეფედ მოიწვიეს, მაგრამ მან საქართველოს სექტემბრამდე ვერ მოაღწია. ექვს სექტემბერს, ასკაციანი ამალით, ალექსანდრე **თიანეთს** მივიდა და დაუყოვნებლივ აჯანყებისკენ მოუწოდა. ეს ის დრო იყო, როცა ნაპოლეონის დიდი არმია მოსკოვისაკენ მიიწევდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონიშვილ ალექსანდრეს გეგმებიც ამ დიდ საერთაშორისო ამბავთან იყო დაკავშირებული. თუ ნაპოლეონი რუსეთს დაიჩოქებდა, საქართველო დამოუკიდებლობას ადვილად განახორციელებდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ნაპოლეონი რუსულმა ზამთრის ყინვამ სძლია და ალექსანდრე ბატონიშვილის დაწყობილებაც მარცხით დასრულდა.

ბატონიშვილ ალექსანდრეს მოწოდებას კახეთი ფიცხლად გამოეხმაურა. კახეთს მიჰყვენ ქიზიყი, ფშავ-ხევსურეთი და ქართლი. ბატონიშვილმა აჯანყებულებს სარდლები დაუნიშნა და სამოქმედო გეგმები დაუსახა. ლაშქარს, რომელსაც ომან ჩოლოყაშვილი სარდლობდა, ქართლიდან თიანეთ-თელავისაკენ მიმავალი გზა უნდა ჩაეკეტა და დაეცვა, მეორე ლაშქარს თადია ჩოლოყაშვილის სარდლობით თბილისიდან კახეთში მიმავალი გზა უნდა ჩაეკეტა, მესამე ლაშქარს კი, რომელსაც გორჯასპ ნათალიშვილი და პაპუა აბელიშვილი მეთაურობდენ, რუსებისათვის ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსასვლელი გზები უნდა ჩაეკეტა. თვით ბატონიშვილი კი შიგ კახეთში მოქმედებდა.

ვინაიდან შეიარაღებითა და წვრთნით აჯანყებულები რუსთა ჯარებს ვერ შეედრებოდენ, ალექსანდრემ პარტიზანულ ბრძოლებს მიმართა. აჯანყებულმა მთიულებმა მათი დავალება პირნათლად შეასრულეს, სამხედრო გზა დაიჭირეს. ხევიც აჯანყებულთა ხელში იყო, მაგრამ ამავე დროს რუსებსაც დიდი დამხმარე ძალები მოუვიდათ ჩრდილოეთიდან.

შეთანხმების თანახმად, რუსებზე გამარჯვებული სპარსთა ჯარები ალექსანდრეს უნდა მოშველებოდენ თფილისზე საერთო იერიშის მისატანად, მაგრამ რუსთა ჯარებმა შაჰ-აბას-მირზას ჯარები სასტიკად დაამარცხეს 19-20 ოქტომბერს, რის შემდეგაც ალექსანდრეს სპარსთა იმედი აღარ შეიძლება ჰქონებოდეს. რუსებმა მთელი ძალები კახეთის დასამორჩილებლად გადაისროლეს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა სოფ. მანავთან. ლეკთა რაზმის ღალატის გამო ალექსანდრე ამ ბრძოლაში დამარცხდა. ამის შემდეგ ხანგრძლივი ბრძოლებით დაქანცული აჯანყებულნი დაიშალენ. მცირე რაზმით ალექსანდრემ შატილისაკენ დაიხია და ამ დევნის დროს რუსთა ჯარებმა გადასწვეს სოფლები: შილდა, ტურისციხე, საბუე, ფაშაანი, მაღარო, ქედელი, ნუკრიანი. შილდასა და საბუეში რუსთა ჯარებმა ბაღ-ვენახები აკაფეს.

ხევსურებმაც გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს, 700 ხევსური გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. შატილის აღების შემდეგ, რუსებმა ის და მასთან ერთად ოცი სხვა სოფელიც დაანგრიეს ხევსურეთში.

1812 წლის აჯანყება რუსეთმა სისხლში ჩაახშო, განსაკუთრებით კახეთი და ხევსურეთი გაოხრდა და გაპარტახდა. უწყალოდ ახრჩობდენ ტყვეებს, სწვავდენ და ანგრევდენ სოფლებს, კაფავდენ ბაღ-ვენახებს, ანადგურებდენ სოფლის მეურნეობას, რის შედეგადაც მოსახლეობა ძლიერ შემცირდა, განსაკუთრებით კახეთში. ვინც გადარჩენ ისინიც ქვეყნიდან გადაიხვეწენ.

აჯანყების დამარცხების შემდეგ რუსთა ხელისუფლება ბარბაროსულად გაუსწორდა აჯანყების მეთაურებს. 1813 წ. 14 იანვარს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს ხუთ გლეხს, მათ შორის იყო 75 წლის ქალი. 62 „მთავარ მეამბოხედან" 29-ს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს ციმბირში, 31-ს საქართველოს გარეთ ჯარში გამწესება, ორ მანდილოსანს,–ეკატერინე ჩოლოყაშვილს და გულქან ნათალაშვილს,–სამუდამო მონაზვნობა კურსკის გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში. (დაწვრილებით იხ. დავით ბატონიშვილის და ალ. ფრონელის „მასალები 1812 წ. აჯანყებაზე" და აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის „საქ. ისტ. საკითხები", 1965 წ. გვ.460-485).

საოკუპაციო რუსთა ხელისუფლებამ კახელებს ესეც არ აკმარა, კონტრიბუციითაც დასაჯა. კონტრიბუციის სახით კახელ გლეხებს წაართვეს: 69741 ფუთი პური, 35406 ფუთი ქერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და *49 909* მანეთი ვერცხლის ფული.

## გურია–იმერეთის აჯანყებები

იმერეთმა თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ბატონობის დამყარებას და განმტკიცებას. იმერეთში ამ დროს მეფობდა ერეკლეს შვილიშვილი და ერეკლეს სამეფო კარზე აღზრდილი **სოლომონ მეორე**, რომელმაც შეიფარა ქართლ-კახეთიდან დევნილი ბატონიშვილები და სხვა რუსთა მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ქართველები და ამრიგად, იმერეთი სრულიად ბუნებრივად სათავეში ჩაუდგა მთელი საქართველოს განთავისუფლების საქმეს.

თფილისში გაბატონებულმა რუსულმა ძალაუფლებამ სწორედ იმერეთის წინააღმდეგ მიიტანა მთელი თავისი მთავარი იერიში. რუსებმა სოლომონ მეორის წინააღმდეგ მოახერხეს გურიისა და სამეგრელოს მთავრების გადაბირება. ყოველმხრივ გარშემორტყმული მეფე სოლომონი თფილისის მთავარმართებელმა, გენ. პავლე ციციანოვმა, *1803* წ. *25* აპრილს, აიძულა გეორგიევსკის მსგავს ტრაქტატზე ხელი მოეწერა, რის შემდეგაც სრულ დაპყრობამდე შორს აღარ იყო.

სოლომონ მეორემ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა რუსთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მოძალადე რუსებს მან პარტიზანული ომი გაუჩაღა და მათ კავკასიაში ბატონობას ერთ დროს საფრთხეც შეუქმნა, *1810 - 11* წწ. იმერეთი საყოველთაო აჯანყებამ მოიცვა.

რუსები ვითომ დათმობაზე წავიდნენ, სოლომონ მეფე მოსალაპარაკებლად მიიწვიეს, მაგრამ ის ქართლში უსინდისოდ დაატყვევეს, თფილისში პატიმრად ჩაიყვანეს, საიდანაც რუსეთში უპირებდნენ გადასახლებას. სოლომონმა შესძლო პატიმრობიდან გაპარვა, ახალციხეში ჩავიდა, იქიდან კონსტანტინეპოლში, საიდანაც შეეცადა ურთიერთობაში შესულიყო იმპერატორ ნაპოლეონთან. სოლომონ მეფე მჭიდრო კავშირში იყო სამშობლოსთან, რომლის განთავისუფლებაზე მას ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ საქართველოს უკანასკნელი მებრძოლი მეფე რუსთაგან დევნილი *1915* წელს კონსტანტინეპოლს გარდაიცვალა.

უმეფოდ დარჩენილ იმერეთს ბრძოლა არ შეუწყვეტია. ივლისის დამდეგიდან აჯანყებულმა იმერლებმა იმერეთი თბილისთან კავშირს სრულებით მოსწყვიტეს და რუსთა ჯარებს არა ერთი დამარცხებაც აგემეს, მაგრამ როგორც ვთქვით, რუსებს მოკავშირეებად გურიის და სამეგრელოს მთავრებიც ჰყავდათ, რაც იმერლების ბრძოლას უნუგეშოდ ხდიდა. იმერეთმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო ამ დროს. ბრძოლის ველზე დაღუპულებს მიემატა შავი ჭირის მსხვერპლნი, რომელიც რუსთა ჯარისკაცებმა შეიტანეს იმერეთში ახალციხის ომიდან. ერთი წლის განმავლობაში იმერეთში დაიღუპა *32 750* ადამიანი, ხოლო *7 450* ქვეყნიდან გადაიხვეწა. აკადემიკოსი ნ. დუბროვინის მიხედვით, იმერეთის მთელი მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი დახოცილა იმ ხანად( ნ. დუბროვინ, „ისტორია ვოინი ი ვლადიჩესტვო რუსკიხ", ს. პეტერსბურგ, *1887* )

## *1819 - 20* წლების იმერეთ - გურიის აჯანყებები

მიუხედავათ *1810 - 1811* წლებში გაღებული მძიმე მსხვერპლისა, იმერეთს კიდევ აღმოაჩნდა ძალა, რომ აჯანყების დროშა აეფრიალებია რუსეთის მპყრობელობის წინააღმდეგ *1919* წელს, რომელიც ორ წელიწადს გაგრძელდა და გურიაც მოიცვა. იმერეთის აჯანყებულთა დროშას ეწერა „სამშობლოს განთავისუფლება". ივნისში მთელი იმერეთი აჯანყებული იყო. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა მთელი რაჭა, რომელიც შემდეგ რუსებმა სასტიკად დაარბიეს და ააწიოკეს, ცეცხლს მისცეს და მიწასთან გაასწორეს სოფლები, დაანგრიეს ციხე სიმაგრეები და სხვა.

*1820* წლის დამდეგს რუსებმა დიდძალ ჯარებს მოუყარეს თავი და აპირებდნენ იმერეთის საბოლოო დამორჩილებას. დააპატიმრეს მიტროპოლიტები: დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სოლომონ პირველის ასული დარეჯანი, სეხნია წულუკიძე და მდივანბეგი დავით მიქელაძე. ივანე აბაშიძემ, რომელიც სოლომონ პირველის შვილიშვილი იყო და იმერეთის ტახტის მემკვიდრეობაზე უფლებებს აცხადებდა, გურიაში გაქცევით უშველა თავს დაპატიმრებისაგან. ამ მიზეზით აჯანყების სიმწვავემ გურიაში გადაინაცვლა.

გურულებმა შემოქმედის ციხისაკენ მიმავალი რუსის რაზმი გაანადგურეს. ამ უკანასკნელებს დავალებული ჰქონდათ მთავარის ძმასთან თავშეფარებულ ივანე აბაშიძის დაპატიმრება. გურიაში აჯანყება ელვის სისწრაფით გავრცელდა. შემოქმედიდან აჯანყებულები ჩოხატაურისაკენ გაეშურნენ, ისიც აიღეს და იქ მყოფი რუსთა რაზმიც გასწყვიტეს, შემდეგ მდინარე რიონი გადალახეს, ქალადიდი აიღეს და მეგრელებიც აჯანყებაში აიყოლიეს. აჯანყებულ მეგრელებს მთავრის ძმა გრიგოლი მეთაურობდა, რომელიც, აჯანყების დამარცხების შემდეგ, მთავარმა რუსებს გადასცა დასასჯელად.

იმერეთ-გურიის აჯანყებამ რუსთა საოკუპაციო ჯარებს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. მის ჩასახშობად რუსებმა დიდძალი მაშველი ჯარები მოიყვანეს გენ. **ველიამინოვის სარდლობით.** სასტიკი ბრძოლის შემდეგ რუსთა ჯარებმა შეძლეს შემოქმედის ციხის აღება და იგი მიწასთან გაასწორეს. გამარჯვებული რუსები შურს ძიობდენ არა მხოლოდ აჯანყებულებზე, არამედ, აგრეთვე, სწვავდენ, ანგრევდენ და ანადგურებდენ მთელ სოფლებსა და კუთხეებსაც, როგორც მაგალითად პირწმინდად გაანადგურეს აჯანყებული რაჭა. გურია-იმერეთის აჯანყების ჩაქრობის შესახებ მთავარმართებელი **ერმოლოვი** თავის დღიურში შემდეგს წერდა: „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები ძირამდე ავჩეხეთ ისე, რომ მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას"-ო.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, გადარჩენილებს რუსები დიდი სიმკაცრით გაუსწორდენ, დააპატიმრეს უამრავი, ყველი ფენიდან და წოდებიდან, და გადაასახლეს შორეულ ციმბირში, საიდანაც უკან დაბრუნება აღარავის ღირსებია. ყველას ადგი-მამულები და ქონება ჩამოართვეს და სახაზინოდ ჩარიცხეს. სამაგიეროდ, ხელგაშლით დაასაჩუქრეს გამცემლები და მოღალატეები.

იმერეთის შემდეგ გურიის და სამეგრელოს სამთავროების ხალხურმა აჯანყებებმა ცხადყვეს, რომ ქართველი ხალხი აღარ იზიარებდა მათი მთავრების შემთანხმებლობას თუ სისუსტეს დამპყრობელ რუსეთის მიმართ და ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო გამოსვლას მოითხოვდენ.

**გაკვრით ზოგიერთ აჯანყებებზე და შეთქმულებაზე.** გრძელია იმ ბრძოლათა სია, რომლესაც რუსთა მპყრობელობიდან განთავისუფლებისათვის აწარმოებდა ქართველი ხალხი. მე-19-ე საუკუნის ქართველი ხალხის ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა მისი რუსთა მპყრობელობისაგან თავის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის ისტორია. ჩვენ აქ საშუალება არ გვაქვს ამომწურავად ვისაუბროთ ამაზე, ჩვენი სტატია ისედაც ძალიან გაგვიგრძელდა. გაკვრით ვახსენოთ მაინც მთავრები. ქრონოლოგიურად ჩვენს მიერ ნახსენებ რუსთა საწინააღმდეგო გამოსვლებს მოსდევს 1832 წლის ეროვნული შეთქმულება, რომელიც კარგად იყო მომზადებული, მას ხელმძღვანელობდენ ბატონიშვილები და ბრწყინვალე თავადიშვილები, მაგრამ მასში მონაწილეობდენ ქართველი ხალხის ყველა ფენები, შეთქმულების მიზანი იყო რუსების გარეკვა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა, შეთქმულებას შეიძლება გაემარჯვნა, მაგრამ იგი აჯანყების დაწყებამდე გამცემლობით ჩავარდა.

მეტად მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე გურიის მეორე დიდი აჯანყება 1841 წელში, რომელიც მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა მხატვრულად აღწერა მის **„ჯანყი გურიაში"**. აჯანყებულმა გურულებმა თითქმის მთელი გურია დაიკავეს, გარდა ოზურგეთისა. აჯანყებაში 7 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, მან გურიის საზღვრებიც გადალახა და ბევრი იმერეთის და სამეგრელოს სოფლებიც აიყოლია. ამ ჯერადაც რუსებმა დიდძალი ჯარებით და სასტიკი ომის შემდეგ შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება. რუსებმა ჩვეულებისდა მიხედვით ბევრი მეთაური და აქტივისტი დააპატიმრეს და სამაგალითო დასჯას უპირებდენ, მაგრამ გურიის მოსახლეობის საერთო მღელვარებამ შეაშინენ და ყველა პატიმარი გაანთავისუფლეს, გარდა აჯანყებულთა ხელმძღვანლის, თავად შალიკაშვილისა, რომელიც ციმბირში გადაასახლეს.

აფხაზეთის სამთავრო რუსებმა ოფიციალურად 1864 წელს გააუქმეს და მთავარი **მიხეილ შერვაშიძე** ვორონეჟში გადაასახლეს. ამის შემდეგ ორი წელიც არ გასულა და აფხაზეთში სახალხო აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულთა რიცხვი ოცი ათას კაცს ითვლიდა. რუსებმა შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება და სასტიკად გაუსწორდენ მათ. სამი კაცი საჯაროდ ჩამოახრჩვეს, 30— სამუდამოდ გადაასახლეს. რეპრესიებმა ვერ შეაშინეს აფხაზები, რუსეთ-ოსმალოს ომის დროს, 1877 -78 წწ. აფხაზებმა კვლავ იარაღი აისხეს რუსეთის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ამ ომშიაც რუსეთი გამოვიდა გამარჯვებული. აფხაზებმა რუსთა წინაშე იარაღის დაყრა არ ინებეს და ქედმოუხრელად სამშობლოდან გახიზვნა არჩიეს. ამრიგად, მამა-პაპეული სამშობლო მიატოვა და თავი ოსმალეთს შეაფარა აფხაზთა თითქმის ორმა მესამედმა. ისინი **„მუხაჯირების"** სახელწოდებით შევიდენ ისტორიაში.

თითქმის მე-19-ე საუკუნის სამი მეოთხედი მოუნდა რუსეთი საქართველოს მთლიანად დაპყრობა-დამორჩილებას. ამას, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ შეიძლება ეწოდოს **„თვისი ნებით"** შეერთება, როგორც ამას ირწმუნება რუსული პროპაგანდა და, რომელსაც ზოგჯერ ქართველი ავტორებიც ანგარიშმიუცემლად იმეორებენ (მე მხედველობაში მაქვს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სადაც ჩვენდა სამარცხვინოთ სწორედ ასეთი გამოთქმაა ნახმარი.), არამედ დაპყრობა ხიშტებითა და ზარბაზნებით, რომელსაც ქართველი ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა სისხლი და დოვლათი შეეწირა. საჭირო იყო შესვენება, ცოცხალი ძალების დაზოგვა-დაგროვება, ეკონომიური მოღონიერება და გონებრივი წინსვლა დროსთან შეფარდებულად და, ფარული, მაგრამ თავდაუზოგავი ბრძოლა ხელისუფლების გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთი მისია ხვდა წილად დიდი ილია ჭავჭავაძის თაობას, ანუ თერგდალეულთა თაობას. მათ ჩვენ დიდი მადლიერების გრძნობებით ვიხსენიებთ, რადგანაც მათზე ისტორიის მიერ დაკისრებული მოვალეობა, ღირსეულად და წარმატებით შეასრულეს მათ.

მეოცე საუკუნეს ქართველი ხალხი პარტიებად დარაზმული, გამანთავისუფლებელი ბრძოლის ყიჟინით ხვდება. უკვე **1905** წელში იაპონიასთან დამარცხების შედეგად თვითმპყრობელობას კრიზისული მდგომარეობა შეექნა, საქართველოში ადგილი აქვს მძლავრ სახალხო მოძრაობას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ბევრი დამკვირვებელი ფიქრობს, რომ ამ მოძრაობას სარჩულად ედვა სოციალურ-ეკონომიური მოთხოვნილებები და არა ეროვნული, რაც ჩვენი აზრით შეცდომაა, რადგანაც საქართველოში რევოლუციური აღტყინება შეუდარებლად ძლიერი და საყოველთაო იყო, ვიდრე რუსეთში, მაშინ, როცა სოციალ-ეკონომიური პირობებით არც იმდენათ განსხვავდებოდენ ისინი ერთმანეთისგან. თუ ქართველი რევოლუციონერები იმ დროს ეროვნული თავისუფლების ლოზუნგებს არ აყენებენ, ეს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით, რომ რუსის ხალხმა რევოლუციას არ უღალატოს, თვითმპყრობელობის მხარეზე არ გადავიდეს. ეს შეგნება ქართველი ხალხის ფართო მასებში უშუალოდ, თავისთავად არსებობდა და არა ლიდერებისგან მიღებული განკარგულებებით. რომ ჩვენი მოსაზრება მართალია ამას ადასტურებს რუსეთის მეორე დიდი, **1917** წლის თებერვლის, რევოლუცია. ამაშიც, დიდი ენთუზიაზმით და მასიურად მონაწილეობს ქართველი ხალხი, რომელიც ეროვნულ მოთხოვნილებებს არც კი აყენებს, მაგრამ, როგორც კი სათანადო პირობებს დაიგულებს, ერთსულოვნად აცხადებს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. ეროვნული მოტივი რომ არ ყოფილიყო ქართველი ხალხის რევოლუციურ მოძრაობაში, მაშინ ის ასე უმტკივნეულოდ რუსეთს ვერ გამოეყოფოდა და ვერც ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთვის გაიღებდა იმ მსხვერპლს, რომელიც მან მისთვის შემდეგ გაიღო.

ასე იყო თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ, **117** წლის რუსთა მპყრობელობის შემდეგ, **1918** წლის **26** მაისს, საქართველო გამოეყო რუსეთის იმპერიას და საკუთარი დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა. იგი იცნო იმ დროის უმრავლესმა და უმძლავრესმა სახელმწიფოებმა და მათ შორის ლენინის საბჭოთა რუსეთის მთავრობამ. **1920** წლის **7** მაისის ხელშეკრულობით, საბჭოთა მთავრობა ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, უარს ამბობდა ყველა იმ უფლებებზე, რომლებიც რუსეთს გაჩნდა საქართველოს მიმართ და პირობას დებდა საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩარეულიყო. ყველა ამ საერთაშორისო საჯარო აქტებით საბოლოოდ შეწყვიტა იურიდიული და ფაქტიური არსესებობა, როგორც **1783** წლის ტრაქტატმა, ისე **1801** წლის პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის მანიფესტებმა და ისინი მხოლოდ ისტორიის საგნებად იქცენ.

მართალია: არც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ სცა პატივი საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულობას, ერთი წელიც არ იყო გასული მისი დადებიდან, როცა საბჭოთა მთავრობამ თავისი ჯარებით დაიპყრო იგი, მაგრამ ამ დაპყრობას მან ვერავითარი გამართლება ვერ მოუნახა დღემდე და „გასაბჭოებას“ ეძახის. თვით საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვითაც საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა. მაშასადამე საქართველოს დღევანდელი უთავისუფლობა მხოლოდ ძალის ფაქტითაა გამოწვეული და როგორც კი ეს ძალადობა მოისპობა საქართველოც ავტომატიურად განთავისუფლდება. სწორედ ამიტომაა მეტად გასაკვირი , რომ საბჭოთა პარტოკრატიამ დღეს ეს ორასი წლის დოკუმენტი ისტორიის უძირო კალათიდან ამოქექა და ასეთი რიხითა და ზარ-ზეიმით საჯაროდ გამოფინა. რა სურს მას ამით? იმის დამტკიცება ხომ არა, რომ ორასი წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა უცვლელია? ეს ხომ ადრეც ვიცოდით. ჩვენთვის საეჭვო არ არის, რომ საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკა გაგრძელება და სრულყოფაა ცარისტული რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისა! რა თქმა უნდა, ისინი ამას საჯაროდ არ გაამხელენ, პირიქით ისინი წელებზე ფეხს იდგამენ, რათა კაცობრიობა დაარწმუნონ, რომ კრემლის ხაზეინთა პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ხალხთა განთავისუფლების წმინდა საქმეს ემსახურება და, რომ ყოველი ნაციონალისტურ-შოვინისტური ზრახვები მისგან გამორიცხულიაო. არა, გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის ზეიმი საბჭოთა ხელისუფლებას სულ სხვა მიზნით აინტერესებს. ჯერ ერთი, იგი, როგორც ყველა ტოტალიტარული რეჟიმი, გრანდიოზული მასიური მანიფესტაციების დიდი მსუნაგია. ამით ის ცდილობს ხალხის ყურადღება მიიქციოს და დაიპყროს. როცა რეჟიმს დამშეულ მასების დასაპურებლად სურსათ-სანოვაგე არ გააჩნია, სიტყვებით მაინც უნდა გაართოს და თავი შეაქცევინ-

ოს. მაგრამ, გარდა ამისა, გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის მასკარადით და მის ირგვლივ ატეხილი ხმაურით, საბჭოთა დღევანდელი ხელისუფლები ორ მთავარ მიზნის მიღწევას იმედოვნებენ: **1.** ქართველი ხალხის გაბრიყვება-მოტყუებას. **1783** წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულობის ირგვლივ ოფიციალური პროპაგანდა მოხერხებულად ქარგავს მომხიბლველ ზღაპრებს ქართველებისა და რუსების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე, მეგობრობაზე, ძმობაზე, გაჭირვებებში და დალხინებებში თანადგომასა და გამტანობაზე; რესების კეთილშობილებაზე, დაუინტერესობაზე და სხვა და სხვა...რომელთა მიზანიც ცხადია: დაპყრობილ ქართველს მონური ერთგულება, მადლიერება და, რატომაც არა, სიყვარული ჩაუნერგოს მის ორასი წლის მპყრობელ რუსი ხალხისადმი, და მისი დღევანდელი საბჭოთა რეჟიმისადმი, რადგანაც ამ რეჟიმს თავი მოაქვს მუდმივი, წარსულის, აწმყოს და მომავლის, რუსი ხალხის ემანაციად. ამავე დროს, საბჭოთა მესვეურები ხომ იმასაც ამტკიცებენ, რომ დღევანდელ საბჭოეთში მხოლოდ ერთი საბჭოთა ერი არსებობს და მათი ლოღიკის მიხედვით, თუ დღეს კიდევ ლაპარაკობენ ქართველ ერზე, ამას მხოლოდ ფოლკლორული ხასიათი აქვს და არა დღევანდელი და ხვალინდელი რეალობის გამომხატველობა; **2.** საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას. აწყობს რა გრანდიოზულ და ხანგრძლივ (უკვე ორი წელიწადია, რაც საქართველოში მზადების ხმაურია ატეხილი ამ წლისთავის საზეიმოდ) მანიფესტაციებს საქართველოს რუსეთთან შეერთების ორას წლისთავთან დაკავშირებით, ამის გამოძახილი სრულიად ბუნებრივად ეუბნება საერთაშორისო საზოგადოებას: ხომ ხედავთ ამ მოზეიმე ხალხს, როგორი ენთუზიაზმით და მასიურად ისინი დღესასწაულობენ რუსეთთან მათი სამშობლოს შეერთების ორას წლისთავს, განა აშკარა არ არის, რომ ისინი ვინც ამტკიცებენ, რომ ვითომც ეს ხალხი ძალით იყოს დაპყრობილი, ურცხვი მატყუარები და პრიმიტიული ანტისაბჭოელები არიან და სხვა არაფერი?!

თავს ნუ მოვიტყუებთ, ვითომც რუსების ამ ოინებს არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლოს. ის უეჭველად გავლენას ახდენს და მოახდენს ჩვენი ახალგაზრდობის შეგნებასა და ფსიქიკაზე, რომელსაც გარდა ოფიციალური ვერსიისა თითქმის არავითარი სულიერი საზრდო არ გააჩნია. ხოლო, საერთაშორისო აზრი კიდევ უფრო მეტად განიცდის მიმდინარე ამბავთა გამოძახილის გავლენას. ამიტომაც არის, რომ ამ ამბების წაყრუება შეგნებულ მამულიშვილს არ მართებს. პირიქით, საჭიროება კი არა, ვალდებულებაცაა, თვითოეულმა ჩვენგანმა, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში, თავისი წვლილი შეიტანოს ამ ჩვენს ეროვნულ საჭირბოროტო საკითხის გაშუქება-გარკვევაში და გარკვევით გააგონოს თავისი სიმართლე როგორც მტრებს ისე მოყვრებსა და კეთილისმსურველებს.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენი სიმართლე რუსეთ - საქართველოს ურთიერთობაზე საერთოდ და კერძოთ **1783** წელს გიორგის ციხეში ხელმოწერილ ხელშეკრულობაზე და მის შედეგებზე სულ მოკლედ ასეთია: რუსეთის სამეფოსა და საქართველოს სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრივ ურთიერთობას ოთხი საუკუნის ისტორია აქვს. სანამ მოსკოვის სამეფო მძიმე-მძიმედ მოიწევდა კავკასიისაკენ საქართველოს მტრებთან,--ოსმალეთთან და სპარსეთთან,– ბრძოლით, მანამ ერთმორწმუნეობა და გეოპოლიტიკა ქართველ მეფე-მთავრებს მისკენ ეწიკებოდათ. ამით მოხერხაბულათ სარგებლობდენ რუსეთის ხელისუფალნი, სამხედრო კავშირებს ამყარებდენ საქართველოს მეფე-მთავრებთან, მაგრამ თითქმის არასოდეს თავიანთ დაპირებებს არ ასრულებდენ და მათი მოიმედე ქართველებს ამით დიდ ზიანსა და ხშირად უბედურებას აყენებდენ. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი, რუსეთის სამეფო კარს გადაწყვეტილი აქვს ქართული მიწა-წყლის ანექსია და ამისათვის ყოველ მხრივ ნიადაგს ამზადებს. **1783** წელს რუსეთის მთავრობა ახერხებს მეფე ერეკლე მეორესთან ხელშეკრულობის დადებას, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში შედიოდა. ერეკლეს დიპლომატიისათვის ეს ძალიან დიდი მარცხი იყო: სუვერენული სახელმწიფო რუსეთის პროტექტორატად ხდებოდა. ეს ხელშეკრულობა ნამდვილი პროვოკაცია გამოდგა ერეკლეს სამეფოსათვის, მან საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა ყველა მუსულმანი სახელმწიფოები და გაძლიერების მაგივრად გაუთავებელმა შემოსევებმა და ომებმა ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დაასუსტა. მოუწყვეს რა პროვოკაცია, რუსებმა პირისპირ მარტოდ შეატოვეს მტრებს და მით ხელი შეუწყვეს აღა-მახმად-ხანის ჯარებს ერეკლე მეფის სამფლობელოში შეჭრილიყვნენ და თფილისი და ქართლი სასტიკად აეოხრებინათ **1795** წელში. ამის შემდეგ სრულიად დასუსტებული ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა შეიერთა **1801** წელს, ხოლო რამდენიმე წელიწადში ქრისტიანული დასავლეთ საქართველოც და მაჰმადიანური სამხრეთიც დაიმორჩილა და თავის დესპოტიურ იმპერიაში მოაქცია, რასაც

ქართ. ხალხმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია აჯანყებებისა და შეთქმულებების სახით, რომლებსაც რუსები არა ნაკლები სიმკაცრით ახშობდენ, ვიდრე თემურ ლენგები და შაჰ აბაზები. რუსეთის დესპოტიის ზუსტ განსაზღვრას გვაძლევს ბატონიშვილი პაატა ვახტანგ მეექვსეს ძე, რომელსაც თავი მოჰკვეთეს ერეკლე მეორის წინააღმდეგ შეთქმულების გამო: „რუსეთის მთავრობა,–წერდა პაატა მის ძმა გიორგის,–მატყუარაა, რუსეთი კი სამართლებრივ ნორმათა უარმყოფელი სახელმწიფო, სადაც „კაცი კაცად არ არის მიჩნეული“-ო. მძიმე და სულშემხუთავი იყო ამ „მატყუარა“ და „სამართლებრივ ნორმათა უარმყოფელ“ სახელმწიფოს უღელი, გზა იყო გრძელი და ძნელი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა და, როგორც თვითმყოფადი ერი გადარჩა, ყოველ შემთხვევაში, მეფეების რუსეთის მპყრობელობიდან. ამის შესახებ სამართლიანად და ზუსტად ამბობს ჩვენი ახალი გადმოხვეწილი თანამემამულე **ჯანრი კაშია**, რადიო „თავისუფლების“ გადაცემაში, რომელიც სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატს არის მიძღვნილი:

„...და თუ ქართველი ერი გადარჩა როგორც ერი, პიროვნება, კულტურა; თუ ქართველმა ერმა შეინარჩუნა უხრწნელი ფესვი თავისთავადობისა და სიცოცხლისუნარიანობისა, ამას იგი უნდა უმადლოდეს არა დამპყრობელის სისუსტესა და უუნარობას, ან სალაქუცოდ ნათქვამ „დიადობასა და დიდსულოვნებას“, არამედ საუკუნოვანი ბრძოლებით ნაწრთობ სულს, შინაგან სიმტკიცესა და რწმენას. საქართველოს და ქართველი ერის გადარჩენა და ამოუძირკველობა, თვით ქართველი ერის გამარჯვებაა ვერაგსა და აღმართთა ამხვნელ ბოროტ ძალაზე.“

ჩვენი ერის თვითმყოფადობისათვის უფრო საშიში თუა, თორემ ნაკლებია არა ჩვენი დღევანდელი მპყრობელი საბჭოთა რუსეთი, მაგრამ *1918 - 21* წწ. დამოუკიდებელი ეროვნული ცხოვრება ეროვნულად დიდი გამაჯანსაღებელი მკურნალობის პერიოდი იყო, რისი სიკეთე დღემდე გრძელდება, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია თამამად გავიმეოროთ აწ განსვენებული, ნათელი გონების მქონე, **ზურაბ ავალიშვილის** წიგნის „ნეზავისიმოსტ გრუზიი“, *1918 - 1921*, ბოლოთქმა: „უკვე უკვდავების წყლით გამაგრებული, აღსდგა ძველი საქართველო და მისი ხელახალი სიკვდილი შეუძლიათ მხოლოდ მის სულმოკლე შვილებს“-ო.

სულმოკლენი არ გვაკლია, მაგრამ ჩვენ მაინც იმედიანათ შევყურებთ მომავალს და გვჯერა, რომ ახლო მომავალში ქართველი ხალხი თავისი თავის ბატონ-პატრონი გახდება იმ მცირე მიწაწყალზე, რომლის გადარჩენაც მან შეძლო უთვალავ ისტორიულ ქარტეხილებიდან.

გიორგი წერეთელი

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, *8* ტომად – მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი მე-*4*-ე ტომი, თბილისი, *1973*. ტომის რედაქტორი პროფესორი **მამია დუმბაძე**, ავტორები: მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა, გ. ჯამბურია, ქ. ჩხატარიშვილი, ვ. ბერიძე, ბ. გიორგაძე და სხვები.

"ქართლის ცხოვრება" ტ.*4* – ბატონიშვილი ვახუშტი

„ქართველი ერის ისტორია“ ტტ.*4 - 5*. – ივანე ჯავახიშვილი

„დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-*18*-ე საუკ. *1919* წ. –ივ. ჯავახიშვილი

"მოხსენება საქ. საბჭოთა მთავრობას", *1926* წ. – ივ. ჯავახიშვილი

„საქ. ისტორიის საკითხები“, *1964* წ. – აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი

„პრისოედინენიე გრუზიი კ როსიი“, პირველი გამოც. *1906* წ. – ზურაბ ავალოვ

„რუსეთი და საქართველო“(*1801 - 1951*) – ალექსანდრე მანველიშვილი

„A propos d'un traite celebre dans l'histoire de la Georgie“, Revue „BEDI KARTLISA“, PARIS 1957. Prof. M. MOUSKHELY

*** *** ***

## ო რ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, როდესაც ჯერ კიდევ ყმაწვილი ვიყავი, მახსოვს მეფე ერეკლეს საჯარო გასამართლებას უწყობდნენ მისი რუსეთთან ხელშეკრულების დადების გამო. ეს მოვლენა მაშინაც მაშფოთებდა და, უნდა ვთქვა, აგერ 65-ზე მეტი წელი გავიდა მას შემდეგ და ამ განწყობილებას ჩემში არ შეუცვლია.

თუ იმ დრინდელმა რუსეთის მთავრობამ არ გაამართლა ქართველების იმედი, ამაში მეფე ერეკლეს ბრალი არ დაედება. ერთი სახელმწიფო ხშირად მიმართავს მეორეს სამეგობრო დახ-

მარებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი სახელმწიფოებრივი წყობის მოშლის სურვილს. პირიქით, მეფე ერეკლე მეორე და მაშინდელი ქართველი ხალხის ხელმძღვანელობა ფიქრობდა, როცა ამ ხელშეკრულებას დებდა, საქართველოს ტახტის გამაგრებაზე, მის დაცვას მუსულმანურ ქვეყნებისაგან და ქვეყნის განმტკიცება-აღორძინებაზე. იმ დროინდელმა რუსეთის მმართველობამ არ ინდომა საქართველოს სახელმწიფოს დაცვა.

უნდა ითქვას, რომ მაშინდელი რუსეთის ხელისუფლება ლოღიკური იყო თავის მოქმედებაში. იგი ნებით თუ ძალით იერთებდა თავის მეზობელ ქვეყნებს და მათზე ავრცელებდა თავის უფლებებს და ამრიგად, გადააქცია საქართველო რუსეთის ორ გუბერნიად.

არც ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, 1921 წელში, დამართნია უკეთესი ბედი, ლენინის ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან დადებულ ცნობას და ხელშეკრულებას. პირიქით, ბოლშევიკური რუსეთი შეიარაღებული ძალით შემოიჭრა საქართველოში, დაიპყრო, გააქცია მაშინდელი საქ-ს მთავრობა და დაარსა თავისი ხელისუფლება. და ისევ გადაიქცა მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება შემზღუდველი საქ-ს თავისუფლად გაშლისა და აღორძინებისა.

ასე, რომ, დროის გარდა ამ ორ ხელშეკრულებაში განსხვავება არ ჩანს მოსკოვის განწყობილებაზე მის მეზობლებთან. უნდა ითქვას, რომ აქაც ლოღიკური იყვნენ ბოლშევიკები. ისინი ძალით და ეშმაკობით ცდილობენ თვისი მეზობლების დაპყრობას, და ამ მიმართულებით სწორნი არიან თავის თავთან.

როდემდის გაგრძელდება ეს მდგომარეობა? არის თუ არა რაიმე იმედი ამ პირობების შეცვლისა? მართლაც ჩვენ, ევროპაში მცხოვრებ ქართველებს, შეგვიძლია დავინახოთ თუ როგორ მოახერხეს ევროპულმა ქვეყნებმა თავის მეზობელ და კოლონიალურ ქვეყნებში ხელის შეშვება და წესიერი ურთიერთობის დამყარება. ისინი აღარ ერევიან განუკითხავად ყოფილი კოლონიების შინაურ საქმეებში. მაგალითად საფრანგეთში და ბელგიაში შეიძლება ერთნაირი ან სხვადასხვანაირი მთავრობები იყვნენ, მაგრამ ეს მათ უფლებას არ აძლევთ ერთიმეორე შებღალონ.

არც დღევანდელ რუსეთს აქვს ისეთი წესწყობილება და მმართველობის სისტემა, რომელიც მიმზიდველი იყოს რომელიმე სხვა ხალხისთვის. დარწმუნდებიან ისინი ამაში როდესმე? ჯერ-ჯერობით რუსები თავიანთ წესწყობილებას მეცნიერულ სოციალიზმს უწოდებენ და ამით კიდევ უფრო საშიში და დაუნდობელი ხდებიან თვისი მეზობლებისთვის, ხოლო მათი ხელისუფლება მსოფლიოს საშიშროებას უქადის თავისი უსაზღვრო შეიარაღების გამო.

რაც შეეხება დღევანდელ „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის" დღეობას, ეს უბრალო ქათინაურად გვეჩვენება. უნდა ითქვას, რომ თვით ქართველ კომუნისტებშიც იყვნენ ისეთები, რომლებიც საქართველოს თანასწორუფლებიანობას მოითხოვდნენ და ამისთვის მსხვერპლიც გახდნენ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

ირაკლი ოთხმეზური

*** *** *** ***

## ვინ იყო იაკობ რაინეგსი

(რადიო „თავისუფლების" გადაცემიდან)

[ი. **რაინეგსი** ცენტრალური ფიგურაა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელის მოწერის საქმეში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები" შემდეგ ცნობებს გვაწვდიან მასზედ:
„გ. პოტიომკინმა გადაწყვიტა საქსონელი(უნგრეთში გაზრდილი) იაკობ რაინეგსის მეშვეობით მოლაპარაკება დაეწყო ერეკლე მეორესთან. რაინეგსმა ჯერ კიდევ 1776–1778 წლებში, კონსტანტინოპოლში მოგზაურობის დროს გაიცნო ენაკოლოფაშვილი, რომელიც იქ ერეკლეს საგანგებო დავალებით იმყოფებოდა. 1779 წელს რაინეგსი საქართველოში ჩამოვიდა. ერეკლე მეორემ იგი სამსახურში აიყვანა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ რაინეგსის საეჭვო ქცევამ ქართლ-კახეთის მეფის უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც რაინეგსი 1781 წელს რუსეთს გაემგზავრა, პეტერბურგში ჩავიდა, შემდეგ კი აღმოჩნდა გ. პოტიომკინთან, რომელმაც იგი 1782 წ. საქართველოში სპეციალური დავალებით მოავლინა. რაინეგსის მეშვეობით გ. პოტიომკინმა წინადადება მისცა ერეკლეს, რათა რუსეთის მფარველობის მისაღებად დაეწყო მოლაპარაკება, ხოლო იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს ურჩია შერიგებოდა ერეკლეს და მასთან ერთობლივად ემოქმედნა საერთო მტრების წინააღმდეგ."

საარლანდის(გერმანიის ფ. რ.) დიდი გაზეთის „საარბრიუკენცაიტუნგის" 1982 წ. 15 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ბ. **რაინერ პეტოს** სტატია „პირველი გერმანელი საქართველოში" ეხება სწორედ ამ ჩვენი ისტორიული პირის, **იაკობ რაინეგსის**, ცხოვრების საინტერესო დეტალებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. რ. პეტოს ეს სტატია თარგმნა და რადიო „თავისუფლება"-ს საშუალებით გადასცა სამშო-
ბლოში ბატონმა **დავით თაბორიძემ**, ვფიქრობთ, ეს ამბავი საინტერესო იქნება აგრეთვე
ჩვენი მკითხველებისა და ქართული ისტორიოგრაფიისათვისაც. **თ.ტ.**]

„პირველი გერმანელი საქართველოში" –„200 წლის წინათ: ავანტიურული ცხოვრება დოქტორ
რაინეგსისა", ასეთი სათაური და ქვესათაური აქვს რაინერ პეტოს წერილს, რომელშიც მოთხ-
რობილია დოქტორ რაინეგსის ცხოვრების შემდეგი მთავარი მომენტები:
ივი მონათლული იქმნა *1744* წლის *28* ნოემბერს მისი მამის–ქრისტიან **რუდოლფ ელიხის** სახე-
ლით ქალაქ აისლებენში. ვინაიდან მამა ელიხს მიდრეკილება ჰქონდა ქორწინების გარეშე ურ-
თიერთობისადმი, ჯერ მთელმა ოჯახმა დასტოვა ქ. აისლებენი, შემდეგ კი მამამ დატოვა ოჯა-
ხი, ხოლო უფრო მოგვიანებით, ვაჟიშვილმა შეიცვალა სახელი. პატარა ელიხი იძულებული იყო
შეესწავლა მამის ხელობა–პარიკმახერობა, რაც მაშინ არა მარტო პირის გაპარსვასა და თმის
გაკრეჭას ნიშნავდა, არამედ ამასთანავე უბრალო ქირურგობასაც, რომელსაც მაშინ სწავლული
ექიმები არ კადრულობდნენ. ახალგაზრდა ელიხი ნიჭიერი იყო და მეტად სურდა რაიმე უკეთესი
ვამხდარიყო, ამიტომ დაიწყო ლაიფციგში დიდი მონდომებით მედიცინის შესწავლა, სადაც პროფ.
**რიუდიგერთან** ის გახდა ე.წ. „დამხმარე". პროფ. რიუდიგერი ალქიმიკოსი იყო და ცდილობდა
ლითონებიდან ოქროს დამზადების საიდუმლოების აღმოჩენას. ათი წლის განმავლობაში მას არ
მოშორებია ელიხიც. ის ისევ და ისევ ეძებს კონტაქტს ოქროსა და მე-*15*-ე საუკუნეში დაარსე-
ბულ ქრისტიანულ ე.წ. „ვარდის-ჯვარის" საიდუმლო საზოგადოებებთან.

გაუგებარი მიზეზით ის წყვეტს სწავლას ლაიპციგის უნივერსიტეტში, დახეტიალობს ერთ მო-
ძრავ თეატრთან ერთად ბოჰემიაში; მიდის ისევ ლაიპციგში, სადაც პოლიცია ეძებს, და ბოლოს
ვენაშია სტატისტია ბურგთეატრში. აქ ის გაიცნობს გრაფ **იოჰან კოჰარს**, უნგრელ მაგნატს, რომ-
ლის ხელქვეით იყვნენ ვენის თეატრები *1770* წლიდან.

ელიხი ისევ იწყებს ლექციების მოსმენას და მუშაობს როგორც ქრილობათა-ექიმი ვენის „ბიურ-
გერჰოსპიტალში. აქ მას იღბალი აქვს განკურნოს თავადი მანდილოსან–ლიხტენშტაინის სამეფო-
მეეტლე, რომელიც მოურჩენელად ითვლებოდა და თავადისგან ღებულობს სტიპენდიას.

*1773* წელს ის ხდება ქ. **ნაგისზომბატის** უნგრული უნივერსიტეტის მკურნალი-ექიმი და ამის
შემდეგ ის იცვლის სახელს, ირქმევს დოქტორ **რაინეგს** და ზოგჯერ მას უმატებს არისტოკრატიულ
სახელწოდების ნიშანსაც. დოქტორი რაინეგსი ქ. აისლებენში ავრცელებს მისი სადოქტორო სამუ-
შაოს რამდენიმე ასეულ ცალს. ქ. შემნიცში, უნგრეთში, მას ნიშნავენ სამთო აკადემიაში პრაქ-
ტიკანტის პოსტზე. ამ პერიოდში გრაფი კოჰარი კოტრდება ვენაში და ავსტრიის დედოფალი **მა-
რია-ტერიზია** მას აგზავნის თავის მამულებში, უნგრეთში; ეს მამულები ახლოსაა ქ. შემნიცთან
და რაინეგსი და კოჰარი ანახლებენ ნაცნობობას, ხოლო, როცა სასამართლომდე მივა გრაფ კოჰ-
არის საქმე, ორივე მეგობარი გადაწყვეტს იმოგზაურონ აღმოსავლეთში. მათი სამოგზაურო გე-
ზია ვენეციიდან სმირნამდე(დღევანდელი იზმირი), შემდეგ კონსტანტინოპოლი. კონსტანტინოპოლში
უფასურდება გრაფ კოჰარის ვექსილი, რომლითაც უნდა დაეფარათ მოგზაურობის ხარჯები. ამის
შედეგად რაინეგს აღარ გააჩნია საარსებო სახსრები და თვით გრაფი კოჰარიც შველას რაინეგსი-
საგან მოელის. დოქტორი რაინეგსი მშვენიერად ახერხებს, აღმოსავლეთში ასე მეტად დაფასებუ-
ლი დასავლეთური დოსტაქრული ხელობით და გავლენიან პირებთან მიტმასნის უნარით, ფუფუნე-
ბაში ცხოვრებას და კარგი რეპუტაციის შექმნას.

კონსტანტინოპოლიდან რაინეგსი ამყარებს კავშირს საქართველოსთან, რომელიც მანამდე მისი
მოგზაურობის მარშრუტში არ შედიოდა. თურქეთის ქალაქ ტოკატში განკურნავს ის საქართვე-
ლოს ავადმყოფ ელჩს, რის შემდეგ, მალე მიიღებს მეფე ერეკლე მეორის მიპატიჟებას.

საქართველო,–წერს შემდეგ რაინერ პეტო,–იყო უძველესი ქრისტიანული სამეფო, რომლის მოსა-
ხლეობას შენარჩუნებული ჰქონდა სიმპათიური ინდუსტრიამდელი მიდგომა შრომისადმი. ისინი
მოსავალს იწევდენ თესვის გარეშე, უყვარდათ ჭამა-სმა, სძულდათ დისციპლინა. მეფე ერეკლე
იყო არა მარტო გმირი მებრძოლი, არამედ აგრეთვე დინამიური პოლიტიკოსი, რომელიც მისი
სამეფოს მომავალზე ზრუნავდა. მეფე ერეკლემ შეძლო მისი სამეფოს ისე აყვავება, როგორიც
არ არსებობდა საქართველოში მე-*12 - 13*-ე საუკუნეების, თამარ მეფის ოქროს ხანის შემდეგ,
რაც აღიარებული იყო ევროპაშიაც, პრუსიის მეფეს, ფრიდრიხ დიდს აწერენ გამოთქმას: „რაც
მე ვარ ევროპაში, ის არის უძლეველი ერეკლე აზიაშიო."

რაინეგსისთანა კაცი–თავმოყვარე და მცოდნე–გამოსადეგი იყო მეფისათვის. მალე ის არა
მარტო ავადმყოფებზე ზრუნავდა, არამედ ქვეყნის ინდუსტრიის, ეკონომიკისა და პოლიტიკისთვისაც.
დოქტორი რაინეგსი, მისი დამახასიათებელი თავმდაბლობით–შენიშნავს ირონიულად რ. პეტო–
მოგვითხრობს: „მე ვასწავლე ამ ერს უკეთესი გამოდუღების ხერხი ძვირფასი ლითონებისა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლებიც ამ ქვეყანაში მცირედ არ მოიპოვება; მე ვასწავლე მათ რკინის გამოდნობა, მოვუწყვე მათ ქურა-ღუმელები, რკინა-ფოლადის ფაბრიკები, რკინის ზარბაზნები, რომლებიც მანამდე ძვირად და დიდი გაჭირვებით რუსეთიდან შემოჰქონდათ; ქვემეხები ჩამოსხმული იქმნენ ჩემი მეთვალყურეობითა და ამ ერის კეთილშობილთა დახმარებით გამობურღული და გამზადებული იქმნა. წამალი, ყველაზე უფრო ძვირფასი ამ ქვეყანაში, დამზადებული იქნა ჩემი მეთვალყურეობით. მე ვასწავლე მათ წამლის დამზადება ევროპული ხერხით, ყოველდღიურად მცირე სახსრებით რომ ბევრი დამზადებულიყო; მე ავუშენე მათ ლამაზი და დიდი წამლის წისქვილები და საწყობები, რომლის შესახებ ჩემი სახელი და სხვა ცნობები სპარსულად ამოკვეთილია მარმარილოზე."

ყველაფერი ეს,–განაგრძობს შემდეგ რაინერ პეტო,–რაინეგს გაუკეთებია სამ წელიწადში–**1778 -81**–შემდეგ, როგორც ჩანს, მოწყინდა ყველაფერი ეს; საშუალო სიდიდის სამეფოს საშინაო პოლიტიკა უკვე აღარ აკმაყოფილებს მას, როცა მას გააჩნია შესაძლებლობა დიდი სახელმწიფოს, ეკატერინე მეორის რუსეთის, საქმეებში ჩაერიოს. რაინეგსი სტოვებს საქართველოს და მიდის პეტროგრადში, იქიდან კი ისევ ბრუნდება საქართველოში, როგორც რუსეთის აგენტი. მან ისარგებლა მეფე ერეკლე მეორის ნდობით, მეფე ერეკლესი, რომელიც იმ დროს პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ სიძნელეებში იმყოფებოდა, და მას თავს მოახვია ხელშეკრულების დადება რუსეთთან, რომლითაც რუსეთი საქართველოს ძმურ დახმარებას ჰპირდებოდა თურქეთის და სპარსეთის წინააღმდეგ.

ეს ხელშეკრულება,–წერს შემდეგ რაინერ პეტო,– დაიდვა **1783** წელს გეორგიევსკში. ორი წლის შემდეგ გენ. პოტიომკინი, ახლად გაკეთებული გზით კავკასიონის მთებში, ჩავიდა საქართველოს დედაქალაქში, ხელშეკრულების სარატიფიკაციოდ, მაგრამ, როცა **1795** წ. საქართველოს სპარსელები თავს დაესხნენ, რუსეთი საქართველოს არ დახმარებია. **1801** წელს კი გაუქმდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთმა ის შეიერთა და აქცია მის პროვინციად. მაშინ,–აგრძელებს რაინერ პეტო,–რაინეგსი უკვე გარდაცვალებული იყო. ის გარდაიცვალა **1793** წელს, *49* წლის ასაკში, რომლის ჯანმრთელობა შერყეული იყო ოპიუმის გადაჭარბებული გამოყენებით.

რუსეთის მთავრობამ დიდათ დააფასა მისი დიპლომატიური სამსახური: ის იყო პეტროგრადის დოსტაქართა აკადემიის დირექტორი და მდივანი ექიმთა სამეცნიერო საზოგადოებისაო, დასძენს ბ. რაენერ პეტო თავის სტატიაში „პირველი გერმანელი საქართველოში."

გერმანულიდა თარგმნა **დავით თაბორიძემ**

*** *** ***

## ო, ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ო !

ო, ღვთისმშობელო! სამშობლო
ჩემი შენი წილ-ხვედრია;
შენ ავად იყავ, ვერ წახველ,
და იქ გაგზავნე ანდრია.

დღეს იგი განსაცდელშია,
სკვითების ტყვეობაშია;
ამოწყდეს მათი ჯილაგი,
მათი ძირი და ფესვია.

არა გვაქვს მათი ზიარი
არც მიწა, არცა წყალია;
არც სინდისი და ნამუსი,
წინაპართ ნაბოძებია.

ქართველი რკინას აღნობდა,
სკვითი დახტოდა ტყეშია,
რუსმა რა უნდა გვასწავლოს,
ცრუ არის და უხეშია.

**ნ ა მ ო. ლ ე ვ ი ლ ი. 1983.**

*** *** ***

## ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ა

ნათქვამია: მონათ იბადებიან, თავისუფალ კაცის დამონება კი არავითარ ძალას არ შეუძლიაო. ამ სიტყვებს ამართლებს ჩვენი სამშობლოს დღევანდელი სინამდვილე. მიუხედავად უსაშველო პოლიციურ-პარტიულ-საპროპაგანდო დაწოლისა, საოკუპაციო ხელისუფლება ვერ ახერხებს უპროტესტოთ აზეიმოს ქართველი ხალხი მისი რუსთაგან დაპყრობის წლისთავი . მიუხედავათ საბჭოთა ხელისუფლების დიდი მცდელობისა, ზოგიერთი გამოძახილი ამ საპროტესტო ხმებისა, თავისუფალ სამყარომდეც და, მაშასადამე, ჩვენამდეც აღწევს.

ამ პროტესტებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ქართული თვითგამოცემის ჟურნალი „საქართველო"

№**1**, **1982** წელი. ამ ჟურნალის მოწინავე სტატიაში: „რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის **200** წლისთავი. ვგმობთ ცარიზმის იუბილეს“ ნათქვამია: „არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენში უახლოეს ხანში დიდი მასშტაბით აღინიშნება რუსეთის ცარიზმის იუბილე, იმ ცარიზმისა, რომელმაც, მე-**18**-ე საუკუნის მიწურულში, ექსპანსიონისტური მიზნით, ათასგვარი დიპლომატიური ხრიკებითა და ვერაგობით, „ერთმორწმუნეობის“ ნიღბით, მოატყუა გარეშე მტრების შემოსევებითა და შინააშლილობით განაწამები მხცოვანი მეფე საქართველოსი **ერეკლე მეორე**; დაიყოლია მოჩვენებითი, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების, ანუ ტრაქტატის დადებაზე, რითაც გამოსძალა მას სამეფო და მისი გარდაცვალების შემდეგ იგი რუსეთის კოლონიად აქცია.
რუსეთის ცარიზმმა არ შეასრულა არც ერთი პუნქტი თავის მიერვე დადებული ხელშეკრულებისა, ვინაიდან მისი დადებისას იგი მიზნად ისახავდა მოტყუებით დაპყრობას ჩვენი ქვეყნისას, რაც აუცილებელი იყო რუსეთის სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესებისათვის საქართველოში.“

შემდეგ ჟურნალში მიმოხილულია **ივანე ჯავახიშვილის** შრომები: „„დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-**18**-ე საუკუნეში“, თბილისი **1919** წ. და „სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში მე-**19**-ე საუკ.“, **1906** წ. რომლებიც დღეს საქართველოში აკრძალულნი არიან და ამის თაობაზე ჟურნალში ნათქვამია: „ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომების აკრძალვა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც აშინებს ისტორიული სიმართლე, ვისაც განზრახული აქვს დაუმალოს ქართველ ხალხს ის მძიმე დანაშაულები, რომლებიც ჩაიდინა რუსეთის თვითმპყრობელობამ მის წინაშე, ვისაც განზრახული აქვს რეაბილიტაცია თვითმპყრობელობისა, ფალსიფიკაცია ისტორიისა: მოტყუებისა და ძალადობის **„ძმობად“** და **„მეგობრობად“** წარმოსახვა, საქართველოს დაპყრობის გამოცხადება მის „ნებაყოფლობით შესვლად რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.“ შემდეგ ჟურნალში ნათქვამია, რომ „ყოველგვარი „მორცხვობა“ დავიწყებული იქნა და ტრაქტატის დადების აქტს გაუთანაბრდა „შეერთების“ აქტი თავისი „პროგრესიულობით“, როგორც ამას წერდა, მაგალითად, **1982** წლის **25** აპრილის გაზ. „კომუნისტი“-ო.

„ხედავდა რა ევროპასთან პოლიტიკური კავშირის დამყარების შეუძლებლობას,–წერდა ივანე ჯავახიშვილი „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადების შესახებ,–ერეკლე მეორე დაყაბულდა გერმანელი მოგზაურის რაინეგსის რჩევას, რუსეთის თვითმპყრობელობისაგან ოფიციალურად ეთხოვა მფარველობა...**1783** წ. **24** ივლისს აღმოსავლეთ საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებას, ანუ ტრაქტატს, ხელი მოაწერეს...საერთო აღიარებით, ტრაქტატი იყო მოკავშირეობის და მფარველობის ხელშეკრულება. ცარისტულმა რუსეთმა **1801** წელს დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და საქართველო რუსეთის კოლონიად აქცია... „ზოგი ბრძენი,– განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი,–თვით დაპყრობის ფაქტსაც კი უარყოფს. „შეერთება“ იყო, დაპყრობა კი არაო! ამაზე მეტი ფორმალისტობა რაღა გინდა?! ხალხს პოლიტიკური დამოუკიდებლობა წაართვეს, ენა წაართვეს, სამართალი შეუცვალეს, თვით ეს ხალხი ქვეყნის მართვას არ გააკარეს, და რაღაა ეს, თუ არა დაპყრობა?! და თუ არ შეიძლება ასეთი დაპყრობის გამართლება, მაშინ როგორღა შეიძლება ამ დაპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგმობა“-ო,–ბრძანებს აწ განსვენებული ბატონი ივანე ჯავახიშვილი.

ჟურნალ „საქართველოში“ მესამე სტატიად დაბეჭდილია აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ნარკვევი „საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ“, რომელსაც ასევე არ აქვს დღევანდელი საბჭოთა პარტხელმძღვანელობის წყალობა, ხოლო მეოთხე სტატიად მიდის ქართული ინტელიგენციის **364** წარმომადგენლის ცნობილი **1980** წლის მიმართვა ბრეჟნევისა და შევარდნაძისადმი, რომელშიც მოთხოვნილია ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა და საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესება. ამ მიმართვის ტექსტსა და ხელისმომწერთა სრულ სიას, ჟურნალის რედაქცია უმატებს: „იმის ნაცვლად, რომ საქ–ს კომპარტიის ხელმძღვანელობა ცდილობდეს ქართველი ხალხის კონსტიტუციურ უფლებების დაცვას, იგი თავს ახვევს ქართველ ხალხს გეორგიევსკის ტრაქტატის **200** წლისთავის იუბილეს. ისტორიული ფაქტების გაყალბებით, **1783** წლის რუსეთ-საქართველოს არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებას, რომლის ფეხქვეშ გათელვით მეფის რუსეთმა ქართველი ხალხი კოლონიურ ხალხად აქცია, საქართველოს ხელმძღვანელები და მათ დუდუკზე მოცეკვავე ზოგი „მოპატრიოტო“ მწერალი თუ ისტორიკოსი ნამუსახდილი ქვემძრომ-მლიქვნელობის ფორმით, ადიდებს და „რუსი და ქართველი ხალხების ძმობის ქარტიას“ უწოდებს.“

უკანასკნელი, მეხუთე სტატიის სათაურია ჟურნალ „საქართველო“-ში : „ლენინური „ისკრა“ საქართველოს რუსეთთან შეერთების **100** წლისთავის ზეიმის შესახებ“, რომელშიც მთლიანად არის გადმობეჭდილი ბოლშევიკური ჟურნალ „ისკრის“ მეცამეტე ნომრიდან სტატია: „რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიშტის 100 წლისთავი საქართველოში" და მთავრდება მკითხველებისადმი შემდეგი მიმართვით:

„მსურველებს შეგიძლიათ მოაწეროთ ხელი შემდეგი პეტიციის ტექსტზე, თქვენი პროფესიის ან თანამდებობის ჩვენებით და გაგზავნოთ მისამართით: სსრკ კპ გენერალურ მდივანს, ს.კ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სსრკ კპცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს-ედ. შევარდნაძეს.

–ვუერთებთ ჩვენს ხელმოწერებს ქართ. საზოგადოების 1980 წ. ივნისის წერილს, რომელიც მოითხოვს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას და საქ–ს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებას.

–მოვითხოვთ ობიექტურ შეფასებას რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტისას, ლენინური „ისკრის" პოზიციის საფუძველზე და აქედან გამომდინარე, გაუქმებას გეორგიევსკის და საქართველოს რუსეთთან შეერთების 200 წლისთავის საიუბილეო ზეიმისას.

–მოვითხოვთ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აკრძალული შრომების რეაბილიტაციას, რომლებშიც მხილებულია რუსეთის ცარიზმის დამპყრობლურ-კოლონიური პოლიტიკა საქართველოს მიმართ."

სამშობლოდან მოსული ჟურნალი „საქართველო" №1, 1982 წელი თავიდან ბოლომდე შედგენილია საგნის ცოდნით, დიდი სერიოზულობის და პასუხისმგებლობის გრძნობით და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი მკითხველი საზოგადოებაც მას დადებითად გამოეხმაურება.

## იუბილეს საწინააღმდეგო მანიფესტაციები და დაპატიმრებები

13 და 15 ივლისს მიმდინარე წლისა დასავლეთის ინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს მოსკოვის დისიდენტურ წრეებიდან მიღებული ცნობები, რომელთა მიხედვით, ა.წ. 11 ივლისს თბილისში გამართულა ხელისუფლების საპროტესტო მანიფესტაცია, რომელშიც დაახლოებით ასი კაცი მონაწილეობდა. მანიფესტანტები თურმე პროტესტს აცხადებდნენ გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეო ზეიმის მოწყობის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ერთი თვის წინად დაპატიმრებულ 22 წლის ირაკლი წერეთლის და 25 წლის პაატა სალარაძის განთავისუფლებას.

ცამეტ ივლისს გადმოცემული ცნობების მიხედვით, დააპატიმრეს მანიფესტაციის ოცი მონაწილე, მაგრამ ყველა გაანთავისუფლეს დღის ბოლომდეო, მაშინ, როცა 15 ივლისის ცნობაში ნათქვამია, რომ კ.გ.ბ.–ს მეორე დღეს დაუპატიმრებია მანიფესტაციის ხუთი მონაწილე: ორი ისტორიკოსი, **თამარ ჩხეიძე** და **ზურაბ ცინცაძე**, ორი სტუდენტი, **ნინა კაკაბაძე** და **გია ჭანტურია**, აგრეთვე საშუალო სკოლის მოწაფე **მარიკა ბაღდავაძე**, რომლებსაც შიმშილის გაფიცვა გამოუცხადებიათ.

რაც შეეხება ივნისის თვეში დაპატიმრებულ ირ. წერეთელს და პ. სალარაძეს, გაჩხრეკის დროს სახლში კ.გ.ბ.–ს აგენტებმა მათ უპოვნეს პროკლამაციები, რომლებსაც ისინი ხალხშიავრცელებდნენ და, რომლებშიც ნათქვამი იყო: „ქართველებმა არ უნდა აღნიშნონ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელის მოწერის ორასი წლისთავი, ვინაიდან ეს მოვლენა ტრაგედიას წარმოადგენს ქართველი ერის ისტორიაში. დაუშვებელია ამ დღესასწაულის აღნიშვნა, ვინაიდან გეორგიევსკის ტრაქტატი საფუძვლად დაედო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას"-ო.

ირ. წერეთელი უკვე ცნობილი აქტივისტია, უკვე გასულ წელს სასამართლომ მას ხუთი წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. ასევე ხშირად ყოფილან კ.გ.ბ. ორგანოების კლანჭებში ზემოდ დასახელებული ხუთი პატიმარი ახალგაზრდა, რომლებმაც შიმშილი გამოაცხადეს.

ვერ ვიტყვით, რომ ეს საპროტესტო მანიფესტაციები რაიმე შუაში იყვნენ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ პარტხელმძღვანელობას თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა ტრაქტატის იუბილე 24 ივლისს ეზეიმნა, მაგრამ ყოველგვარი განმარტების გარეშე, ის ოქტომბრის თვეში გადაიტანეს, ე.ი. ედ. შევარდნაძემ თავის ღვინოში წყალი გაურია.

გრიგოლ წერეთელი

*** *** ***

## დ ი ა ხ, ი ყ ო წ ა მ ე ბ უ ლ ი!

( რადიო „თავისუფლების" გადაცემიდან )

გაზ. „კომუნისტის" 6 მაისის ნომერში დაიბეჭდა „საქინფორმის" ვრცელი წერილი სათაურით: „იყო კი წამებული?", რომელიც ცდილობდა ცილისმწამებლების როლში გამოეყვანა დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები, ნაზი **შამანაურის** ტრაგიკულად გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მაგრამ „საქინფორმის" მტკიცება და ცილისწამება სრულიად უსაფუძვლოა.

პირველად ცნობა **ნაზი შამანაურის** ტრაგიკული ბედის შესახებ „ფრანს-პრესის" სააგენტომ გადმოსცა 24 მარტს, მოსკოვის თავისუფლად მოაზროვნეთა წრეებიდან მიღებულ განცხადებაზე დაყრდნობით. მასში ნათქვამი იყო: „ნაზი შამანაური და მისი დედა გასული წლის 24 აგვის-

ტოს დააპატიმრეს თბილისში, ერთ-ერთი ლიტერატურული საღამოს დამთავრების შემდეგ. დაპატიმრების მიზეზი ის იყო, რომ ნაზი შამანაურმა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გააკეთა საბჭოთა რეჟიმის მიმართ. ისინი საპატიმროში გამოამწყვდიეს ხულიგნობის ბრალდებით. შემდეგ ნაზი შამანაური თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი სასტიკად აწამეს იმ მიზნით, რომ წერილობით უარეყო თავისი შეხედულებები. ამის გამო, პროტესტის ნიშნად, ნაზიმ საშიმშილო გაფიცვა გამოაცხადა. ორთვიანი საშიმშილო გაფიცვის შემდეგ ნაზი შამანაური საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი ექვსი დღის შემდეგ გარდაიცვალა." 28 მარტს ეს ცნობა „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშინელის" სააგენტომაც გაავრცელა, მოსკოვის თავისუფალმოაზროვნეთა წრეებიდან მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შემდეგი ტექსტი გადავეცით: „ნაზი შამანაური გასული წლის აგვისტოში დააპატიმრეს იმის გამო, რომ მან ოფიციალურ პროპაგანდას „არასწორი და ტყუილი"უწოდა.

საპატიმროში ნაზი სასტიკად აწამეს იმ მიზნით, რომ მას უკან წაეღო საქართველოს ხელისუფლებისადმი გაგზავნილი საჩივარი. ამ საჩივარში აღწერილი იყო ის ფაქტები, რომლებსაც სჩადის საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ხელმძღვანელობა. შემდეგ ნაზი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მან საშიმშილო გაფიცვა გამოაცხადა. ორთვიანი საშიმშილო გაფიცვის შემდეგ, მისუსტებული და დაუძლურებული ნაზი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი ექვსი დღის შემდეგ გარდაიცვალა."

„საქინფორმის" შეშფოთება და თავისმართლების მიზნით დასავლეთის ინფორმაციების ცილისმწამებლის როლში გამოყვანა, იმითაც აიხსნება, რომ ბოლო დროს, დასავლეთის საზოგადოება სულ უფრო ფართოდ და სასტიკად გმობს პოლიტიკური მიზნით ფსიქიატრიის გამოყენებას საბჭოთა კავშირში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მიმდინარე წელს, ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაცია აპირობდა საბჭოთა კავშირის გარიცხვას თავისი რიგებიდან ამის მიზეზით, მაგრამ საბჭოთა კავშირმა დაასწრო და ამ საზოგადოებიდან გაგდებას იქიდან გასვლა ამჯობინა. სწორედ საბჭ. ხელისუფლების შეშფოთებით უნდა აიხსნას ისიც, რომ 6 აპრილს საბჭ. კავშირმა ოფიციალურად დაადასტურა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ნაზი შამანაურის გარდაცვალების ფაქტი, მაგრამ ამავე დროს მან უარყო გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ ნაზი შამანაური გარდაიცვალა მისდამი არაადამიანური მოპყრობის შედეგად.

დავუბრუნდეთ „საქინფორმის" 6 მაისის სტატიას. მისი მტკიცებით, ნაზი შამანაური შიზოფრენიის მწვავე ფორმით იყო დაავადებული. სტატიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი განსვენებულ შამანაურის პირად ცხოვრების მოურიდებელ ქექვას იმის დასამტკიცებლად, რომ ნაზი შამანაურს დევნის მანია, შიზოფრენია თითქოს წლების მანძილზე უვითარდებოდა. დავუშვათ, რომ გაზ. „კომუნისტის" ეს მტკიცება მართალია და ნ. შამანაურს ფსიქიატრიული დაავადება ხანგრძლივი დროის მანძილზე უვითარდებოდა, მაშინ როგორ შესძლო სულიერად დაავადებულმა ჯერ უცხო ენათა ინსტიტუტის და შემდეგ უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრება? როგორ დასძლია მან ამ უმაღლეს სასწავლებელთა არც თუ იოლი პროგრამები, რაც ხშირად სრულიად ჯანსაღებსაც უძნელდებათ? უფრო მეტი, თუ ნ. შამანაური სულიერად დაავადებული იყო, მაშინ როგორღა თანამშრომლობდა იგი გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში"? როგორც ვხედავთ აქ „საქინფორმი" წინააღმდეგობაშია.

ამის შემდეგ გაზ. „კომუნისტის" სტატია ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს ნ. შამანაური და მისი დედა სისტემატიურად ჩადიოდნენ სხვადასხვა სახის ხულიგნობას და, რომ რაიონში ისინი დიდი ხნის ცნობილნი იყვნენ, როგორც სულიერად დაავადებული ადამიანები. ეს მტკიცება თუ სიმართლეს შეესაბამება, მაშინ რაიონის მილიციამ რატომ დააპატიმრა იგი მხოლოდ გასული წლის აგვისტოში და, რაც მთავარია, რატომ უკრეს მას თავი პირდაპირ საპატიმროში და არა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? რა საჭირო იყო შეურაცხადად თითქოს დიდი ხნის ცნობილი ადამიანის ციხიდან გაგზავნა თბილისის საამბულატორიო-სამედიცინო ექსპერტიზაზე? ცხადია: გაზეთის მტკიცებებსა და ხელისუფალთა მიერ ჩადენილ ქმედებებს შორის არავითარი ლოგიკური კავშირი არ არსებობს. სტატიის ავტორებმა, როგორც ჩანს, თვითონვე იგრძნეს, რომ მათივე შეკოწიწებულ მონაჭორში ჩაიხლართნენ და ამიტომ ხელისუფალთა მოქმედების მიზეზების ახსნას ისინი სხვებზე გადაბრალებით ეცადნენ. „ეს, რომ არ გაკეთებულიყო,–ნათქვამია სტატიაში,– მაშინ საზღვარგარეთელი „ადამიანის უფლებათა დამცველები" შემობრუნდებოდნენ 180 გრადუსით და მსოფლიოს აუწყებდნენ: მილიციის მუშაკებმა სულით ავადმყოფი ქალი სამედიცინო შემოწმების გარეშე დააკავესო."

ამგვარმა მსჯელობამ შეიძლება მხოლოდ გულუბრყვილონი დააჯეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. „კომუნისტის“ მტკიცებათა სიყალბეს კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს ის, რომ ნაზი შამანაური რესპუბლიკურ კლინიკურ-ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაპატიმრებიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ გადაიყვანეს. ნ. შამანაური გასული წლის 24 აგვისტოს დააპატიმრეს, ხოლო აღნიშნულ საავადმყოფოში კი მხოლოდ ოქტომბერში გადაიყვანეს. ამ შემთხვევაში საკითხავია, თუ რა უნდოდა შიზოფრენიის მწვავე ფორმითა და დევნის მანიით ვითომც დაავადებულ ადამიანს ჯერ საპატიმროში და შემდეგ საამბულატორიო-სამედიცინო ექსპერტიზაზე, მთელი ორი თვის განმავლობაში? და მაინც რაში გამოიხატა ნაზი შამანაურის სიგიჟე და ხულიგნური საქციელი? მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ, როგორც თვითონ გაზეთი ამტკიცებს, იგი „რაიონულ ხელმძღვანელობას ლანძღავდა“, ვაჟაობის დღესასწაულზე.“ ჩვენს მიერ, დასავლეთის სააგენტოების მიერაც სწორედ ეს იყო გადაცემული და მაშასადამე, ისინი არ სტყუოდენ და არც ის ადამიანები სტყუოდენ, ვინც ეს ინფორმაცია მათ მიაწოდეს.

რაიონული ხელმძღვანელობის მოქმედებათა საჯარო კრიტიკისათვის, რაიონული მილიცია ნაზი შამანაურს, რასაკვირველია, თავზე ხელს არ გადაუსვამდა. როგორც ჩანს მილიციამ ზომ ას გადაამეტა. მართალია „საქინფორმის“ წერილი ამას არ აღნიშნავს, მაგრამ, როგორც მოსკოვის თავისუფალმოაზროვნეთა წრეებიდანაა ცნობილი, ნაზი შამანაური მილიციამ სასტიკად ცემა, რათა მას უარეყო თავისი შეხედულებები. საქინფორმი იმასაც უარყოფს, რომ ნაზი შამანაურმა საშიმშილო გაფიცვა გამოაცხადა. ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც საქინფორმის მტკიცება, რომ ნაზი შამანაური ფსიქიკურად დაავადებული იყო, მაშინ სრულებით გაყალბდებოდა. რადგანაც, თვით აქტი საშიმშილო გაფიცვის გამოცხადების, არის ნორმალური ადამიანის გონივრული მოქმედება. მიუხედავათ ამისა, აღნიშნულ სტატიაში მოყვანილი ზოგიერთი ადგილი აშკარად მიუნიშნებს იმაზე, რომ ნაზი შამანაურს მართლა ჰქონდა გამოცხადებული საშიმშილო გაფიცვა. აი ეს ადგილები: „იგი ზოგჯერ უარს ამბობდა საჭმელზე და იძულებული ვხდებოდით ხელოვნურათ გვეკვება“...„ავადმყოფს განუვითარდა ე.წ. მწვავე მუცელი, ანუ საჭმლის გაუვალობა...მკურნალობამ ვერ უშველა. თავი იჩინა ორგანიზმის საერთო სისუსტემ, მისი დამცველი მექანიზმების მოქმედებების დაქვეითებამ.“

რას შეიძლებოდა გამოეწვია ყოველივე ეს? თუ არა ხანგრძლივ საშიმშილო გაფიცვას? ამგვარად, ქრონიკული შიზოფრენიით და დევნის მანიით დიდი ხნის განმავლობაში შეპყრობილ ადამიანად ნაზი შამანაურის წარმოდგენის ცდა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ნაზი შამანაური გასული წლის 24 აგვისტოს დააპატიმრეს მის სიცოცხლეში პირველად. ორი თვის შემდეგ იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ესეც მის სიცოცხლეში პირველად, სადაც მან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ დალია სული.

ყველა ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ნაზი შამანაური დააპატიმრეს ვაჟაობის დღესასწაულზე, რადგანაც მან ტყუილი უწოდა რაიონის ხელმძღვანელის, თუ სხვა მაღალი ჩინის პარტიელის ნალაპარაკებს; პოლიციაში მას უხეშად მოეპყრენ, იქნებ აწამეს კიდევაც, რომ მას ბოდიში მოეხადა და უკან წაეღო მისი საჯაროდ ნათქვამი სიტყვები; ახალგაზრდამ, ამაყმა და კულტურულმა ქალმა იუკადრისა და მიმართა უკიდურეს საშუალებას, რომელიც მას გააჩნდა: შიმშილით გაფიცვას; ორი თვის შიმშილობის შემდეგ მომაკვდავი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ უკვე გვიან იყო და ექვსი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ნაზი შამანაური ტიპიური მსხვერპლია აზრის თავისუფლების აკრძალვის და პოლიციის აღვირახსნილობის. იგი არაა პირველი, მე ვისურვებდი, რომ ის ჯალათობის უკანასკნელი მსხვერპლი ყოფილიყოს ჩვენს ტანჯულ სამშობლოში.

ზურაბ ნარსია

*** *** ***

## ჩ ვ ე ნ ი  ს ა თ ვ ი ს ტ ო მ ო ს  ა მ ბ ე ბ ი დ ა ნ

### 1. წმიდა ნინოს ეკლესიის სამრევლოს საერთო კრება.

1983 წლის 17 აპრილს გაიმართა წმიდა ნინოს მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის პარიზში საერთო კრება, რომლის დღისწესრიგში იყო განვლილი წლების ანგარიშის დამტკიცება და საბჭოს არჩევნები.

მოძღვარმა, დეკანოზმა ილია მელიამ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ განსაკუთრებულ ვითარებას, რომელიც საფუძვლად დაედვა ჩვენს ემიგრაციას, რის გამოც ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჩვენი სამრევლოს ცხოვრებაზე.

მიუხედავათ ჩვენი საშუალებების შეზღუდულებისა,—თქვა მომხსენებელმა,—განსაკუთრებით კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხიზმოს საკითხში, მაინც ჩვენი ეკლესია ერთადერთი ქართული ეკლესიაა საზღვარგარედ, და ამიტომ ის ერთადერთია უცხოეთში მცხოვრები ქართველების ურთიერთკავშირისათვის.

ქება შეასხა რა პოლონელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის, მომხსენებელმა კრებას მოუწოდა თანაგრძნობა და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს პოლონელ ხალხს.

სამრევლოს მოლარემ, ბ. ტარიელ ზურაბიშვილმა კრებას მოახსენა უკანასკნელ სამი წლის ანგარიში. **1980** წელში სულ შემოვიდა **91.000** ფრანკი, გსავალი კი შეადგენდა **97.930** ფრანკს, **1981**-ში შემოსავალი გვქონდა **87.297** ფრ. ხოლო გასავალი–**94.071** ფრ. **1982**-ში შემოსავალი უდრიდა **110.797** ფრ. და გასავალი–**101.786** ფრ. **1982** წლის ბოლოსათვის სალაროს დანაკლისი შეადგენდა **54.882** ფრ. რომელსაც ემატება ანდერძით დატოვებული ოქროები, რომელთა ღირებულება შეფასებული არ ყოფილა.

კრებამ დაამტკიცა წარმოდგენილი ანგარიშები, დაადგინა პოლონეთის დასახმარებლად გადაიდოს ერთი კვირის მოკრეფილი თანხა, სამრევლო საბჭოს განუახლა ნდობა და განსვენებულ ქალბატონ რეი ზურაბიშვილის მაგივრად საბჭოში შეიყვანა ქალბატონი ირინე ბაგრატიონ-მუხრანელი. ამრიგად სამრევლო საბჭოს წევრთა სია ასეთია: თავმჯდომარე დეკანოზი **ილია მელია**, მდივანი **თამაზ ნასყიდაშვილი**, მოლარე **ტარიელ ზურაბიშვილი**, წევრები: ქქ. **ქეთევან დადიანი**, **ზეინაბ ზურაბიშვილი**, **ირინე ბაგრატიონ-მუხრანელი**, **მარინე მაღალაშვილი**, **ელენე ვოდე**, ბბ. **დიმიტრი კლდიაშვილი**, **კლოდ კემულარია**, **ალექსი კობახიძე**, **ოთარ პატარიძე**, **მიხეილ ვოდე**.

*** *** ***

## 2. ჩვენი დამოუკიდებლობის 65 წლისთავი

პარიზის ქართველთა სათვისტომომ ტრადიციულად აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების **65** წლისთავი. **26** მაისს, საღამოს შვიდ საათზე, ყოფილ მხედრებთან ერთად სათვისტომოს წევრებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს და ცეცხლი გააღვივეს უცნობ ჯარისკაცის საფლავზე, ეტუალის თაღებს ქვეშ; შემდეგ, წმიდა ნინოს ეკლესიაში მოძღვარმა ილიამ წირა და პარაკლისი გადაიხადა იმ მამულიშვილთათვის ვინც თავი დადვა ან სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვების, ან მისი დაცვის წმიდა საქმისათვის.

შაბათს **4** ივნისს, **20** საათიდან გაიმართა მიტინგი და დღესასწაულობა „შაიო-გალიერას ცენტრში", პარიზის მერვე არანდისმანში, რომლის დროსაც ვრცელი სიტყვით გამოვიდა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე **თამაზ ნასყიდაშვილი**. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ წლევანდელი **26** მაისობა განსაკუთრებულ პირობებში ტარდება, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქართველი ხალხი წელს დიდი ამბით აზეიმოს მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის იუბილე. ამ ანექსიას დღევანდელი საბჭოთა მესვეურები „ნებაყოფლობით შეერთებას" უწოდებენ, ხოლო რუსთა მპყრობელობას ქართველებზე და საქართველოზე–„ქართველ და რუს ხალხების მეგობრობას". გააკეთა რა ფართო მიმოხილვა, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატის, ისე **1801** წლის ცალმხრივ რუსულ მანიფესტის ირგვლივ, მომხსენებელმა დაასკვნა: ოსმალეთ-სპარსელისაგან შევიწროებული ქართლ-კახეთის გმირი მეფე ერეკლე მეორე, მას შემდეგ რაც არა ერთი ცდისა ევროპიდან ვერ მიიღებს დახმარებას, ერთმორწმუნე რუსეთთან დებს მეგობრობისა და მფარველობის ხელშეკრულებას. რუსეთის მთავრობამ საქართველოს არ აღმოუჩინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამხედრო დახმარება, რის გამოც ქართლ-კახეთი აოხრებული იქნა **1795** წელში. ამრიგად დასუსტებული ქვეყანა კი რუსეთმა უშუალოდ შეიერთა **1801** წელს, რის შედეგადაც რუსეთმა გაბედა იმის გაკეთება საქართველოში, რაც არც ერთ სხვა დამპყრობელს არ გაუბედნია: გააუქმა ათასწლოვანი საქართველოს ტახტი და სახელმწიფო, ხმარებიდან განდევნა უძველესი და უმდიდრესი ქართული ენა; მართვა-გამგეობა, სკოლა, სამართალი, ყველაფერი გაარუსა; დაიწყს ქართველი ხალხის უსაშველო კოლონიალური ჩაგვრა და ყლეფვა! რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი არ შეურიგდა ამ ძალადობას და მას უპასუხა უამრავი აჯანყებებით, რომლებიც რუსულმა სადამსჯელო სამხედრო ძალებმა ყოველთვის უსასტიკესი სიმკაცრით ჩაახშვეს. აი, ყველაფერ ამ საშინელებას აზეიმებენ წელს ქართველ ხალხს მისი დღევანდელი მპყრობელი საბჭოელი რუსებიო,–ამბობს ორატორი და ასკვნის: ჩვენი პასუხი ამ შემთხვევაში არ შეიძლება ორჭოფული იყოს, ეს იქნება რუსი კოლონიზატორ-იმპერიალისტების და თითო-ოროლა მათი ლაქია ქართველების ღრეობა, მაგრამ არამც და არამც ქართველი ხალხის დღესასწაულ-ზეიმი!

თავმჯდომარის შემდეგ კრებას მიესალმენ ჩვენს ბედში მყოფი ერების სათვისტომოების წარმომადგენლები. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მამა ილია მელია, რომელმაც ხაზი გაუსვა ეკლესიის როლს სამშობლოს განთავისუფლების საქმეში.

მხატვრულ განყოფილებაში, საკუთარი პატრიოტული ლექსი „პოეტის ფიცი“ წაიკითხა პოეტმა **გიორგი ყიფიანმა, გიორგი ლეონიძის** მოკლე მაგრამ უაღრესად პატრიოტული ლექსი „**სამშობლო**“– **გოგი წერეთელმა** და **ლადო ასათიანის „სალაღობო“–სალომე კობახიძის ასულმა.** და ბოლოს, ხუთმა ჭაბუკმა: **ოთარ პატარიძე, ოთარ ზურაბიშვილი, მიხეილ ვოდე-გოგიტიძე, გურამ ასათიანი, მერაბ ოდიშელიძე,**–საზოგადოება მოხიბლეს მშობლიური ხალხური სიმღერებით.

ეთერი

**************************************************************************

## ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო   გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

**მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ:**

--- --- --- ---

ა.წ. 7 ივნისს პარიზში გარდაიცვალა ქალბატონი **ნათან დაჰანი,** ლევან ელიგულაშვილის ასული და დაიკრძალა პარიზის **პანტენის** სასაფლაოზე.

--- --- --- ---

ა.წ. 22 ივლისს პარიზში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ბატონი **სევერიან ურუშაძე** და მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

--- --- --- ---

ა.წ. 23 ივლისს, ესპანეთში საავგარაკოდ მყოფი უეცრად გარდაიცვალა **სერგო ინასარიძე,** დროებით დაკრძალული იქნა გარდაცვალების ადგილზე, მაგრამ უნდა გადმოასვენდეს ლევილის სასაფლაოზე.

---

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ა.წ. 31 ივლისს გარდაიცვალა ქალბატონი **თამარ ბერეჟიანისა** და 4 აგვისტოს დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

--- --- --- ---

წელს 10 სექტემბერს, 96 წლის ასაკში, ვაშინგტონში გარდაიცვალა ბატონი **ევსევი** (ძუკუ) **გუგუშვილი** (გორჯესტანი) და იქვე დაკრძალული იქნა ადრე გარდაცვლილი მეუღლის გვერდით.

--- --- --- ---

ა.წ. 25 სექტემბერს, 86 წლის ასაკში, უეცრად გარდაიცვალა ბატონი **მიხეილ(მიშა) გოცირიძე** და 28 სექტემბერს მისი ცხედარი მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

--- --- --- ---

ა.წ. 24 სექტემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, პარიზის საავადმყოფოში გარდაიცვალა ქალბატონი **ბაზილი ახვლედიანისა** და 29 სექტემბერს დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

--- --- --- ---

**და ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჭირისუფალთ.**

**************************************************************************

## მ ც ი რ ე   რ ა მ   ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო   მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე

1983 წელი სახიფათო წლად იყო მიჩნეული საერთაშორისო ურთიერთობაში. ყველა მოელოდა მდგომარეობათა გართულებას ე.წ. „ცხელ“ პუნქტებში: ავღანისტანი, პოლონეთი, ლიბანი, ჩადი, ცენტრალური ამერიკა და სხვა. მაგრამ გართულება მოვიდა იქედან, საიდანაც არავინ არ მოელოდა. აგვისტოს თვის დასასრულს და სექტემბრის დამდეგ ღამით საბჭოთა გამანადგურებელმა ავიაციამ დაამსხვრია სამხრეთ კორეის სამგზავრო თვითმფრინავი, რომელსაც ამერიკის ალიასკას ქალაქ ანხორაჟადან ქალაქ სეულში გადაჰყავდა 296 მგზავრი, რომელთა შორის იყვნენ 60 ამერიკის შ. შტ–ბის მოქალაქე, მათ შორის ერთი ცნობილი სენატორი, და 30 იაპონელი. ამდენი უმანკო ბავშვის, ქალის და კაცის წინასწარ განზრახვით ჩადენილმა მკვლელობამ აღაშფოთა მსოფლიო საზოგადოების სინდისი. საბჭოთა ხელისუფლებამ თითქმის ერთი კვირის განმავლობაში პასუხი ვერ გასცა უბრალო მაგრამ სამართლიან კითხვებს: რისთვის? და რატომ? მხოლოდ 6 სექტემბერს საბჭოთა სააგენტომ აღიარა, რომ მისმა გამანადგურებლებმა „ფრენა შეაწყვეტინა“ კორეის თვითმფრინავს, რომელმაც საბჭოთა კავშირის საზღვრები დაარღვია და, მაშასადამე, ჯაშუშობას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიების მიმართო. საბჭოთა მესვეურები ბრალს ამერიკის შ. შტ–ის მთავრობას სდებენ იმ მოტივით, რომ ვითომ ეს უკანასკნელი კორეის სამგზავრო თვითმფრინავს იყენებდა სადაზვერვოდ. საბჭოები ბოლოს და ბოლოს ამერიკელების ამ სადაზვერვო ვერსიას ჩაეჭიდენ, რადგანაც ეს შეიძლება უფრო დამაჯერებელი გამოდგეს თუ მსოფლიო საზოგადოებისთვის არა, თვით საბჭოთა მცხოვრებლებისთვის მაინც.

რა თქმა უნდა, ამერიკის მთავრობა 296 უმანკო ადამიანის სიცოცხლეს არ გარისკავდა

თავისუფლების ტრიბუნა №41 სექტემბერი 1983 Septembre Tribun de la Liberte №41
ი. 2/84
**************************************************************************************

სადაზვერვო-საჯაშუშოდ მაშინ, როცა მის განკარგულებაშია სტრატოსფეროს თა-ნამგზავრთა სისტემა და სამხედრო სადაზვერვო ავიაცია და თუ პროვოკაციას მართლა ჰქონდა ადგილი, როგორც ამას საბჭოთა პროპაგანდა ავრცელებს, მაშინ იგი საბჭოთა მთავრობის საქმეა.

პრეზიდენტმა რეიგანმა, ამის შესახებ სხვათა შორის, განაცხადა: რუსები სხვანაირი ხალხია, ისინი ჩვენსავით პატივს არ სცემენ ადამიანების სიცოცხლეს; თუნდაც დავუშვათ და, როგორც ისინი აცხადებენ კორეის თვითმფრინავს მართლაც დაზვერვა ეწარმოებინა, განა ამ შემთხვევა-შიაც შეიძლებოდა სამგზავრო თვითმფრინავის დამსხვრევაო. საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავე-ბი,–აგრძელებს პრეზიდენტი:– ყოველდღიურად არა ერთხელ არღვევენ ჩვენს საჰაერო საზღვრებს, მაგრამ ჩვენ აზრადაც არ მოგვივა მათი დამსხვრევაო.

ჩვენ ჩვენი მხრით ამერიკის პრეზიდენტის სიტყვებს დავუმატებდით: საბჭოთა ხელისუფალთ რო-გორ შეუძლიათ პატივი სცენ უცხოელთა სიცოცხლეს, როცა ისინი არავითარ ფასს არ ადებენ საკუთარი ხალხის სიცოცხლეს.

უბედურება იმაშია, რომ დათმობა-დათმობებით თავისუფალ სამყაროს პასუხისმგებლებმა მსოფ-ლიო იქამდე მიიყვანეს, რომ დღეს იური ანდროპოვს თითი ატომ-ბირთვულ ბომბების ღილაკისა-კენ აქვს გაშვერილი და ქვეყანას აპოკალიპსით ემუქრება თუ ვინმემ რამე გაბედა ანდროპოვი არც ისე უჭკუოა არ იცოდეს: „ძალა შეიქმნს სიყვარულსა“ და, მაშ, რაღად უნდა გვიკვირდეს, გერმანიაში რომ „პაციფისტები“ გამრავლებულან და ნიკარაგუელ „სანდინისტებს“ ნიუ-იორკის მსოფლიო ფორუმი ანტიამერიკული პროპაგანდის ტრიბუნად რომ გადაუქცევიათ?!

დასავლეთის„ სტრატეგები“ ფიქრობდენ ატომური ბომბების შანტაჟით მშვიდობა ეყდნათ. მათ მხედველობიდან გამორჩათ, რომ რუსებსაც არ ეძინათ, რომ ისინი შანტაჟის მაესტროები არიან და, რომ ისინი შანტაჟს მშვიდობისათვის კი არ გამოიყენებდენ, არამედ მოწინააღმდეგის სამა-რცხვინოდ გასაშიშვლებლად.

გულბათ გულბათიშვილი

*** *** ***

## შემოწირულებათა სია ( ფრანგულ ფრანკებში )

| | | | |
|---|---|---|---|
| მართა სტურუა | 50.00 | სანდრო ბარათელი | 342.00 |
| ილია თაყაიშვილი | 100.00 | თამარ ბერიძე | 100.00 |
| ილია მელია | 200.00 | თამარ საბახტარიშვილი | 100.00 |
| მელიტონ ყდენტი | 150.00 | მირიან მელუა | 100.00 |
| ოთარ პატარიძე | 300.00 | ბონდო კეკელია | 155.00 |
| ვარლამ ანთელავა | 200.00 | ნამო გოგუაძისა | 100.00 |
| ნიკო ბედელაძე | 100.00 | ვიქტორ ინაშვილი | 150.00 |
| თათრახან ანთაძე | 100.00 | დიმიტრი გოგიშვილი | 160.00 |
| თამარ ლაღიძე | 50.00 | ვალია კედია | 100.00 |
| სტანისლავ მამულაშვილი | 100.00 | მანია ყაველაშვილი | 100.00 |
| მიშა გაფრინდაშვილი | 300.00 | გერასიმე ბოლქვაძე | 500.00 |
| მიხეილ გოცირიძე | 500.00 | გიორგი ნაკაშიძე | 909.00 |
| ილია კუპუხიძე | 598.00 | გრიგოლ წერეთელი | 100.00 |
| დავით ვაშაძე | 300.00 | გიორგი გორგიშელი | 400.00 |
| | | ილო ემუხვარი | 100.00 |

ლეონ კაკულია– ილია სალუქვაძის მოსახსენებლად 317.00

გიორგი ნანაძე– დათიკო ერქომაიშვილის მოსახსენებლად 500.00

ქრისტეფორე იმნაიშვილი–ვალიკო ჯუღელის, ნოე ხომერიკის და ბენია ჩხიკვი-შვილის მოსახსენებლად 500.00

---------------

ჯამი 7.781.00

ყველას, ყველას უსაზმნო მადლს გწირავს თქვენი „თავისუფლების ტრიბუნა“.

**************************************************************************************

Redacteur: G. Tsereteli. 8,Rue des Marchais. 75019 Paris. Tel: 607 - 08 - 14.

Edition hors commerse